619
1964

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# დროშა

№ 9 სექტემბერი 1964







ამ ქარხანას ექვსი წელი შეუსრულდა დაბადებიდან; ასეთი მცირე ასაკის მიუხედავად, მას კარგად იცნობენ ჩვენს რესპუბლიკაში, მთელს საბჭოთა კავშირში; და არა მარტო ჩვენში, არამედ საზღვარგარეთაც. მისით კმაყოფილნი არიან, ენდობიან; მის პროდუქციაზე ლამაზად არის ამოტვიფრული მისი სახელი: ბათუმის ქარხანა „ელექტროკარი“.

ეს სწორედ ის ქარხანაა, სადაც იქმნება სხვადასხვა ტიპის ელექტროკარები, გამწეები, ურიკები, რომლებსაც ერთი შეხედვით თითქოს შეუმ-

# ბათუმი

ჩნეველი, მაგრამ მეტად საჭირო და საპატიო ადგილი უჭირავთ ჩვენს სახალხო მეურნეობაში, ტრანსპორტში.

ზღაპრული დევგმირივით იზრდება ეს ქარხანა; თუ თავის არსებობის პირველ წელს სულ რაღაც თორმეტიოდე ელექტროკარის გამოშვება შეძლო, შარშან უკვე ორი ათას ხუთასამდე გაზარდა მათი რაოდენობა, წელს კი სამი ათასამდე ელექტროკარის გამოშვებას აპირებს. ეს, მართლაც, გოლიათური ნაბიჯებია, რომლებშიც ჩაქსოვილია ასობით ძალ-ღონით სავსე, მცოდნე, მუყაითი ადამიანის შრომა, ფიქრი და მისწრაფებები.

აი ერთი მათგანი, მწნეხავი-ზეინკალი მურმან მამალაძე (ფოტო № 1). იგი ამ ქარხნის დაარსების დღიდან აქ მუშაობს და ყოველდღიურ დავალებას **150-160** პროცენტით ასრულებს. გარდა ამისა, მურმანი საამქროს აგიტატორიც და სახელმწიფო-პარტიული კონტროლის საგუშაგოს წევრიც გახლავთ.

ეს ახალგაზრდა კაცი კი გედევან ჟორდანიაა, პროფესიით მღარავი (ფოტო № 2). „გედევანი ჩვენი ქარხნის თვალიაო“, — ამბობენ მასზე ამხანაგები. გედევანი დაუსწრებლად სწავლობს თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეორე კურსზე, არჩეულია ქარხნის საწარმოო კომიტეტის წევრად და, რითაც ყველაზე უფრო გამოირჩევა


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# დროშა

№ 9 (158) სექტემბერი, 1964 წ.

გამოცემის XIV წელი.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი




ამხანაგებს შორის, გეგმებს მუდამ ერთიორად ასრულებს. ამიტომ არის, რომ ქარხნის გარდამავალი ალამი თითქმის სულ მუდამ მასთან იმყოფება. ერთი ჩვეულება აქვს გედევანს, შეყვარებულია ქაღალდის ქუდზე. აქ ჯერ არავის ისე არ უნახავს, რომ თავზე არ ეხუროს ასეთი ქუდი. რომ მოიხადოს, ამხანაგები ვერც კი იცნობენ.

ქარხნის კოლექტივმა გამოუშვა ახალი გამწე, რომელსაც მისაბმელით შეუძლია ათ ტონაზე მეტი ტვირთის ტარება. ამ უნიკალურ გამწეს შექმნაში განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვით საკონსტრუქტორო ბიუროს მთავარ კონსტრუქტორს ალექსანდრე ნემეცსა და მის ახალგაზრდა მეგობრებს — სერგო გრიგოლიას, გიორგი მანჩაკოვსა და ნიკიტა დარმანჟანს. ეს სამი ჭაბუკი ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა სწორედ მაშინ ინახულა, როცა ისინი ახალი მანქანის ტექნიკურ ნახაზებს აზუსტებდნენ (ფოტო № 3).

ყველა ამ სიახლეს „ვიზას“ აძლევენ ქარხნის ექსპერიმენტულ უბანში, რომელსაც ინჟინერი მიხეილ ხვანიძე მეთაურობს. ახლაც უბნის ზეინკალი ზურაბ ვასაძე და ხარატი ვიქტორ ლომთათიძე გულმოდგინედ უკირკიტებენ ელექტროკარის ახალ მოდელს, რათა კონსტრუქტორთა ჩანაფიქრმა ზუსტად და უტყუარად შეასრულოს თავისი ტექნიკური დანიშნულება (ფოტო № 4).




ფოტო თ. ფურცხვანიძისა

# „ელექტროკარი“

ეს კი ქარხნის მზა პროდუქციაა (ფოტო № 5), რამდენიმე ხნის შემდეგ ამ მანქანებით დატვირთავენ გემებს (ფოტო № 6), ვაგონებს და გაგზავნიან ჩვენი ქვეყნის მრავალ კუთხეში, უცხოეთის ბევრ ქვეყანაში, რათა ისინი მხარში ერთგულად ამოუდგნენ ადამიანებს: ნავსადგურების, აეროპორტების, რკინიგზებისა და ავტოსადგურების, საწყობებისა და მრავალი სხვა საწარმოო-დაწესებულებების მუშებს, მტვირთავებს, მოსამსახურეებს.

მეოთხე წელია ბათუმის ქარხანა „ელექტროკარი“ ჩაბმულია სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩეხოსლოვაკიის ქარხანა „მორპალის“ კოლექტივთან. გასულ წელს ამ შეჯიბრებაში ელექტროკარელებმა თავი ისახელეს და გაიმარჯვეს.

მუშაობაში შეუმჩნევლად იწურება დღე. ზღვიდან წამოუბერავს საღამოს ნიავი და მკერდს გაუგრილებს ნაჯაფ ადამიანებს. ისინი თოლიებივით სხდან ძველი მანქანების ნაწილებზე (ფოტო № 7) და დღევანდელი დღით კმაყოფილნი მშვიდად აბოლებენ. მათ ზურგს უკან კი ყრუდ ხმაურობს ზღვა, თითქოს მარჯვენას ულოცავსო ამ გამრჯე ადამიანებს.





საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

# ხელი ლიახვის

ბორის ჩხეიძე

ფოტო თ. არჩვაძისა



გორის საკონსერვო ქარხანაში.



## თუშურქუდიანი კაცი

— გორული ატამი?! აბა რას ამბობთ! იმაზე უკეთესი, გემრიელი, სურნელოვანი, დედამიწის ზურგზე სხვა არსად არის. არა, მარტო სიტკბოზე არ გეუბნებით! ტკბილი ატამი ქვეყნად ბევრია, ნუ აურევთ ერთმანეთში სიტკბოსა და საამურობას, — ამბობს ერთი თუშურქუდიანი კაცი, რომელიც გორელებთან საუბარშია გართული სასტუმროს წინ.

— ნეტავი როდის შეამოწმა მთელი დედამიწის ზურგი, ასე დაბეჯითებით რომ ამტკიცებს გორული ატმის დარი ქვეყანაზე არსად არისო, — ცოტა არ იყოს დაცინვის კილოთი გადაულაპარაკა ერთმა მსმენელმა მეორეს და თანაც ეჭვით გახედა გაბედულ „მსოფლიო დეგუსტატორს."

— რა გითხრა, როგორ გაგაგებინო! — აღმოხდა თუშურქუდიანს, — როგორ მიიტან შენ სულსა და გულთან იმ გასაჭირს, რაც ცხოვრებამ მაწვნია, ძმობილო! მთელი თუ არა, ნახევარი დედამიწა მაინც შემოვლილი მაქვს. ატამსაც მაშინ გავუსინჯე გემო. ვიცი და იმიტომაც დამიჟინია: ჩვენებური ატმისთანა არსად სხვა მხარეში არ მოიძებნება.

— რად ედავებით, მართალს ამბობს, შემოწმებული აქვს — ჩაეშველა გლეხს მეორე ახალგაზრდა.

ზოგმა გაიცინა ამაზე. ბევრი კიდევ რაღაცის თქმას ელოდა მოსარჩლისაგან და მანაც არ დააყოვნა.

თუშურქუდიანი მოხუცი მართლაც დიდხანს ათრია ბედმა ქვეყნის დაულეველ გზებზე. პირველი მსოფლიო ომის ჯარისკაცი კარპატებთან ავსტრიელებს ტყვედ წაეყვანათ, მერე როგორღაც ტრიესტში მოხვედრილიყო, საცოდავს აქედანაც დაეკრა ფეხი და წასულიყო, სამშობლოსაკენ მიდიოდა თავისი ჭკუით, მაგრამ ისევ აურია ბედმა გზა-კვალი და იმდენი ატარა, ბიზერტაში მოხვდა. გემიდან რომ გადმოვიდა, ერთხანს პორტში დაეხეტებოდა, მერე არაბები მიეშველნენ. ბაღებში სამუშაოდ წაიყვანეს. კარბელ ბიჭს ეხერხებოდა ბარის, ცელის, ნამგლის მოქნევა, ვენახის სასხლავი მაკრატლის და შესაწამლი აპარატის ხმარება. ის რომ ბარის კაპს ფეხს დააჭერდა, ტარს დააწვებოდა, ლოდისოდენა ბელტს ამოატრიალებდა, „ჰერი, ჰერი, ჰო!" — ბარისტრის ამ სიმღერას შემოსძახებდა, არაბები პირდაღებული შესცქეროდნენ და უსმენდნენ, უკვირდათ ეს რა ყოფილან გურჯებიო. კარბელმა ბიჭმა ქართული სიმღერა არაბებსაც ასწავლა; თითქოს სანაცვლოდ, მასპინძლები ყაურმასა და ფლავს სხვაზე მეტს მას მიკერძავდნენ. ერთმა კეთილისმყოფელმა გურჯის გაარაბებაც კი სცადა, ამისათვის, მისი რწმენით, მამაკაცისათვის ყველაზე უფრო მაგარი მისაბმელი თოკი მონახა: იქაური გოგო შერთეს ცოლად. არა ჰგავდა ის ქალი გუგუთაანთკარელ თამრო ტატიურს, რომელზედაც მისი გორიდან წასვლის წინა დღეებში დედ-მამას ბელგა გაეცათ. აბა რაღა გააჩერებდა ბიზერტის მახლობლად! დაივიწყა იქ შერთული ცოლიც, იქ მოწყობილი კერაც და ისევ გამოიპარა, გამოჰყვა გზებს, აფრიკის ჩრდილოეთ ნაწილის სახელმწიფოები შემოიარა, სომალსა და აბისინიაშიც იყო. სამშობლოში დაბერებული, გატეხილი დაბრუნდა ქალაქ ალეპოდან. ბედნიერებას ხომ შინაც ვეღარ ეწია. თამრო ტატიურს არ მოეცადნა. გათხოვილიყო. გული მაინც აღარ გაიტეხა, ჩამოვიდა და ისევ თუშური ქუდი დაიხურა. ესეც მონატრებოდა.

— ატამს რად ჩააცივდით, სხვა ხილეული? — შეეკითხნენ ბოლოს.

— სხვა ხილიც ჩვენი უკეთესია, თუნდაც ვაშლი და მსხალი.

— ქვეყანა, ქვეყანა როგორიღაა ჩვენი სხვასთან შედარებით?

— მე მგონია მთელი დედამიწის ზურგი შემოვიარე-მეთქი... — განაგრძო თუშურქუდიანმა, — ხელში ბარი, ნამგალი მეჭირა. სხვა არაფერი. ღვთის მადლსა და ადამიანის სინდისს გეფიცებით, ისეთი ქვეყანა, როგორიც მტკვრის ხეობა, არსად არ არის არც სილამაზით, არც ჰაერის მარგებლობით, არც ჯანით, არც ხეხილის და ხორცეულის გემოთი, არც პურითა და ღვინითა.

— იქ როგორღა ცხოვრობდი? — შეეკითხნენ ძალზე დაინტერესებულები.

— რა გამაძლებინებდა. ჰოდა, ერთხელ საბჭოთა საკონსულოსთან გავიარე თუ არა, ვეღარ მოვითმინე, და ქუდმოხდილი შევედი. ძალიან მწარედ გამომიწია გულმა აქეთ.

— ღმერთმა ხელი მოგიმართოს! — ეუბნებოდნენ თუშურქუდიან გლეხს იმ ღრმა რწმენით, რომ თვითონაც ასე მოიქცეოდნენ.

## მიწაში ჩარჩენილი ფესვები

ეს მდინარეები კავკასიის მაღალ მწვერვალებში იბადებიან, კლდეებზე კისრისტეხით ეშვებიან და მოაქვთ მთის ქანების ნაფქვავი; ლოდებზე ხტუნვისაგან თეთრი, ახლად მოწველილი რძის ფერი გადასდევთ. ამიტომ რძემდინარეებს ეძახიან, თავისებური ერბო და სიმსუქნეც აქვთო, იტყვიან ლიახვის ხეობელები. ამ მდინარეთა შორის ზოგი დიდია, ზოგი პატარა. სახელებიც ამის მიხედვით დაურქმევიათ. უფრო გრძელს, წყალუხვს დიდი ლიახვი ჰქვია, უფრო მცირეს პატარა ლიახვს უწოდებენ. ეს ორი ლიახვი ცხინვალის ბოლოს, ტყვიავთან, გიჟი ძმებივით ეხვევიან ერთურთს. პატარა ლიახვის ცოტა აღმოსავლეთით მეჯუდა ჩამოდის.

„მეჯუდამ თქვა, მოვდიდდები, ლიახვსა დავედარები", ამაზეა ნათქვამი ხალხური ლექსი.

ამ მდინარეების ნაპირის მცხოვრებლები დაგარწმუნებენ ერთ რამეში: მათი სიტყვით, ქართლის ხილეულის საამურობა მთებიდან წყლებს მოაქვთ, მეცნიერებისათვის უცნობ რაღაცა წამალივით. ეს წამალი მცენარეს ფესვებში უმალვე შეუდის, იქიდან რტოებით ნაყოფში გადადის და აქაური ხილის მაღალხარისხიანობის მიზეზიც ეს არისო. ეს ერთხელ ხალხში დაბადებული აზრი თუ რწმენა, თუმცა არავის დაუმტკიცებია, დოსეველ კოლმეურნეებსაც ისე უდავოდ მიაჩნიათ, როგორც არბოელებს და კარბელებს.

ამ სოფელთა შორის მერეთი, წინათაც და ახლაც, ყველაზე მოწინავედ ითვლება. ორასამდე კომლი ცხოვრობს პატარა ლიახვის რუ-წყალის ფშნებზე. ყველა აქაურის, თუნდაც იგი მათემატიკის დოქტორი იყოს, პირველი სიყვარული და გატაცება ხილია. როგორც თუში თუ მთიული გულგრილად ვერ ჩაუვლის სერებზე თეთრად შეფენილ ცხვრის ფარას, რა ხელობისაც არ უნდა იყოს, ისე აქაური კაცი ოცნებაშიც კი თეთრად და ალისფრად გადაპენტილ, აყვავებულ ხეხილის ბაღებსა ხედავს.

— ეს მართლა ასეა? — ვეკითხები მერეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს გიორგი ბაიაძეს.

— დიახ, სულ მართალი მოუხსენებიათ, — ამბობს იგი — ამ მიდამოებმა მრავალი მათემატიკოსი, ლიტერატორი, ინჟინერი აღზარდა. მერე რა? არც ერთმა მათგანმა კავშირი არ გაწყვიტა იმ ფესვთან, მამა-პაპათა მიწასთან რომ აკავშირებს. გაზაფხულზე ჩამოდიან, ბარავენ, ახალი ვაშლის, ატმის, ქლიავის ნორჩებს რგავენ, და ამას ისე აკეთებენ, თითქო ღვთისმსახურების წესებს ასრულებენო.

— რამდენიმე მათგანი მაინც დამისახელეთ, — ვეუბნები და ბლოკნოტს ვიმარჯვებ ჩასაწერად.

— რომელი ერთი ჩამოგითვალოთ? ფურცელაძეები, ბაიაძეები, გორგიშელები, მახარაშვილები, გუდაძეები, ელიაშვილები, წიქარიძეები, გუგუტიაშვილები, ჯავახიშვილები, ტატიურები, ბესტავაშვილები... ამ გვარების შთამომავალნი, აქ დარჩენილნი თუ ქალაქად წასულნი, ერთი „ავადმყოფობით" არიან შეპყრობილნი: ხეხილი უნდა დარგონ, შვილივით მოუარონ. მერეთელი კოლმეურნე თუ მუშა-მოსამსახურე, განურჩევლად ასაკისა, ხილის მოვლა-პატრონობის მცოდნეა. ვის არ ეხერხება მწარეზე კვირტის მყნობა, რწყვის წესები, ნიადაგის მომზადება-შერჩევა. ხილეულში, ნამეტნავად ვაშლებში, მრავალი სხვადასხვა ნაყოფის მომცემი ჯიშებია. საუკუნეებით მათ თავს ევლება აქაური კაცი, და ახლა ხომ, როცა ასე აყვავდა ქართლისა და მთელი საქართველოს მიწა-წყალი, ამ საქმეს უფრო მეტი მადლი დაედო. ჰოდა, უფრო მეტი მოდის აბილაურიც და თურაშაულიც, კეხურაც და ხანდაკურაც. ეს ძველი ქართული ჯიშებია, რომლებიც ხშირადაა მოხსენებული ძველ წყაროებში. აბა თუ გინდათ ის ხილთა ქებანი გადაიკითხეთ, ჩვენს პოეტებს წარსულში რომ დაუწერიათ. აყვავებულ თუ ნაყოფ დამძიმებულ ხეხილს ისევე უმღერიან, როგორც ლამაზ ქალსა და ლურჯ ზეცას.

ამ მიწამ და სარწყავმა მკვიდრ ჯიშებს შეუმეზობლა, მერე შეუსისხლხორცა მზის საფიცხარზე შეწითლებული, ოდნავ თავბოლოებში შიგნივ, მუცლისკენ შეწეული, ბრტყელი შამპანური რენეტი — იგივე ბროდსკი, ზამთრის ოქროს პარმენი ანუ შაფრანი, ბელფლორი, კანადური რენეტი — ანტონოვკა, თეთრი და წითელი კალვილები, ბანანი.

მერეთელები, და არა მარტო ისინი, მეცხრამეტე საუკუნეში შეეთვისნენ ამ უცხოელებს. როცა ისინი საქართველოში მოიტანეს, მხოლოდ გარეგნული შესახედაობით ეჯიბრებოდნენ ადგილზე დახვედრილ მასპინძლებს: აბილაურს, კეხურას, თურაშაულს. ახლებური სიტკბო და გემო კი ამ ხილს ქართულმა მიწამ, წყალმა და ჰაერმა მისცა. ეს მხარე განთქმულია კურკოვანებითაც. შორს გავარდნია სახელი აქაურ ბესტავაშვილის ქლიავებსა და თეთრ

ატამს, თუმცა მერეთელები ამ უკანასკნელს მცირე რაოდენობით აშენებენ. აქ მთავარი ვაშლია და ახლა მას ვენახიც ემატება მეორე და მთავარ კულტურად.

## მერეთული შვინდი

ქართლელი კოლმეურნეები განაგრძობენ წინაპრების დაწყებულ საქმეს — აუმჯობესებენ ხეხილს, ცდილობენ ახალი ჯიშები გამოიყვანონ. გიორგი ბაიაძე გვიამბობს:

— კოლმეურნეებმა სულ იციან რამდენი ძირი ველური პანტა, მაჟალო, ბალამწარა, ბალღოჯი დგას ქალებსა და ფშნების ნაპირებზე, მაღლა მთებსა და ხატის ტყეებში. დროდადრო მათ ნაყოფს კრეფენ, დასამყნელი საძირის თესლად იყენებენ. ბევრნი ცდილობენ შეაჯვარონ ევროპული ჯიში ადგილობრივთან ან ადგილობრივი ისევ ადგილობრივთან. თუნდაც ივანე ბაიაძის და სანდრო ზარიძის ამაგი რად არ ღირს: მიწისა, წყლისა, მცენარის ყადრის მცოდნე გლეხები იყვნენ, თავსა და სიცოცხლეს ერჩიათ სამშობლო მხარე, მოყვასისათვის გარჯა და შრომა. გონებაც უჭრიდათ, მარჯვენა ემორჩილებოდათ, მაგრამ ქებას ნახვა სჯობია, წავიდეთ, ვნახოთ ჩვენი ბაღები.

მიჰყვებით მერეთის ბაღებს, და ყოველ ნაბიჯზე ხედავთ რა დიდი საქმე გაუკეთებიათ იმ ადამიანებს. ივანე ბაიაძეს და სანდრო ზარიძეს ერთმანეთში კარგი მეზობლობა, ძმაკაცობა, ამხანაგობა და ურთიერთ მოკრძალება ჰქონიათ. ნამყენების გაშენებასაც ერთად იწყებდნენ, შრომაც ერთად და მეზობლად ჩვეოდათ. არა ერთხელ ძმურად გაუმაგრებიათ სარწყავი არხის სათავე ქსუისის ბოლოზე, როცა მას პატარა ლიახვი გაგლეჯდა უწყალოდ; მინდვრად თუ მთაში მხარდამხარ დადიოდნენ, აკვირდებოდნენ ბალახს, ხესა და ბუჩქს. ერთხელ მათი ყურადღება შვინდმაც მიიქცია. აკი გაზაფხულზე ქვეყანას პირველი ის მიესალმება ხოლმე ოქროსფერი ყვავილით.

— სანდრო! ჰეი, სანდრო! — გადმოგვცემენ მათ შელაპარაკებას მერეთელები, — კაცო, ე შვინდს ნეტავი არაფერი დაემყნობა? ენრე, გაუთლელი, ტყიურად უნდა გადავვირჩეს?

ვებს ცაში აჰყვებიან ხოლმე, დასცქერიან ზემოდან თავიანთ ხელით გამშვენიერებულ, მოწყობილ მიწა-წყალს, დასცქერიან და გული სიხარულით ევსებათ: მეურნეობაში ყველაფერი — გზა, ნარგავი, ქარსაფარი, რუ, არხი, სამოსახლო, ყვავილნარი — ლარსა და ხაზშია გამოჭერილი. ყველა მცენარეს — ვაშლს, მსხალს, ატამს, ფშატს, შვინდს თავისი ადგილი აქვს მიჩნეული, მეზობელს არ ეცილება.

ბაღების უმეტესი ნაწილი დასრულებული, ნაყოფის მომტანი ხეხილია. ბოლო ათიოდე წელიწადშიც ბევრი გაშენდა. ახალშენ ვაშლსა და მსხლებს შორის გამორგულია თხუთმეტი ათასი ძირი ატენური ვარდისფერი და ბესტავაშვილის თეთრი ატამი. მისი მესამედი უკვე იძლევა მოსავალს. ორმა მესამედმა კი წელს გამოიღო ნიშანი. ატამს სხვა ხილთა შორის გამორგვის წესით აშენებენ ყველა საბჭოთა მეურნეობაში და საკოლმეურნეო ნაკვეთებზეც. ვინა თქვა ხიდისთაური ატამი შემცირდაო, პირიქით, ის ახლა უფრო მოშენდა, უფრო გამრავლდა, მას ხომ განსაკუთრებული გემო და სურნელი აქვს. გორულმა ატამმა მთელ საბჭოთა კავშირსა და მისი საზღვრების იქითაც გაითქვა სახელი. და რაღა გასაოცარია თუ გორის საკონსერვო ქარხანაც სულ უფრო მეტსა თხოულობს ამ ნედლეულს.

ამ ვეებერთელა რთულ მეურნეობას სათავეში გივი აბალაკი უდგას. მან ბავშვობიდან კარგად იცის ქართლის მიწისა და ნარგავ-ხეხილის ზნე და ასავალ-დასავალი.

ორი ათას ჰექტარ სახილე მეურნეობას, რომელიც უფრო ფაბრიკას ან ქარხანას მოგვაგონებს, ახლა ქიმიის ჯადოქრული ძალაც მიემატა; აქაც სულ უფრო და უფრო მეტ სასწაულებს ახდენს ქიმია. ხეხილის მავნე ჭიასა თუ მწერს აღარ გააჭაჭანებს, ნიადაგსაც ახალ ღონეს მატებს.

და ამიტომ ბრეთის საბჭოთა მეურნეობის ხეხილები

სწორედ ასეთი კაცია შოთა ბედიანიშვილი, მეურნეობის აგრონომი, სულ ხეხილის ბაღშია, სულ ცის ქვეშ — ამიტომ არის მზისგან ასე გარუჯული. ამ კაცს აბარია სამას ოთხმოცდათოთხმეტი ჰექტარი ძველი და ახალი ხეხილი. მოვა რამე ამ მიწაზე, მისი ხეირი და თავგზიანობაა, მოსცდება — ესეც მისი ბრალია! კარგად უმუშავნია და ამიტომაც გაბედულად ეტყვის ხოლმე საბჭოთა მეურნეობაში თუნდაც შემთხვევით შემოსულ სტუმარს:

— აჰა, ძმობილო, ეს არის ჩვენი მეურნეობა. თუ ხეხილს რამე ზადს ატყობ, მითხარი... ღონე და საშუალება მოგვეპოვება, რომ ნაკლი იქვე აღმოვფხვრათ, სადაც მან თავი იჩინა.

## ქარხანა ატმის ქვეყანაში

საიდანაც არ უნდა გახედო გორს, ქალაქის შუაგულში ცადაწვდილ რკინის მაღალ მილს დაინახავ. მარწყვის შემოსვლიდან დაწყებული ბაღებში ხილის გამოლევამდე და ბაღჩეულის შენახვამდე მილი განუწყვეტლივ ბოლავს. გორში ლითონის გამოდნობა არ სწარმოებს, არც რკინეულის დამუშავებას მისდევენ. ბოლი საკონსერვო ქარხნიდან ამოდის, რომელზედაც ამბობენ, მალე ადგილს იცვლის, ქალაქის გარეთ დიდ, ცარიელ მინდორზე გადავა და წელიწადში ორმოცდაათ მილიონ ქილა ჯემს, კომპოტს, მურაბას, მწნილეულს და პიურეებს გამოუშვებსო.

ქარხანა წარმატებით მუშაობს. ამზადებს თეთრი, გვერდწითელი, შავი ბლების კომპოტებს. მალე მათ მიემატება ქლიავები, მერე, სულ ბოლოს, გორულ-ხიდისთაური ატამი. ბოსტნეულის დაკონსერვებაც პარალელურად ხდება.

ქარხანაში ისეთი სისუფთავეა, აფთიაქი გეგონებათ. მისი ხელმძღვანელები თუ მუშები, უმთავრესად ქალები, ფარმაცევტებს და ექიმებს მოგვაგონებენ, როცა თავიანთი თეთრი ხალათებით საამქროებში გამოჩნდებიან და ხელებს დაიკაპიწებენ. აი ისინიც — მარიამ ყანჩაველი, იულია აკოფაშვილი, ჟუჟუნა ასკილაშვილი — ეს კომუნისტური შრომის ბრიგადირები არიან და ყველას მაგალითს უჩვენებენ. მათ სათავეში მარიამ ჟიჟილაშვილი უდგათ, მთავარი საამქროს ინჟინერი.

# ხეობაში



— მაშ, კაცო! რამდენჯერ მიფიქრია, რა მოვუხერხომეთქი. მერე და, როგორ უყვართ ბალღებს წითლად დახუნძლული შვინდის ხე. კერკიც ჩინებული იცის, ტყლაპიც ტყემალზე უკეთესი გამოდის. არაყსაც აკი ხდიან, თანაბარ წონაში ჭაჭისოდენად მუშაობს, — პასუხობდა სანდრო.

— შვინდის მაშარაბიც კარგია, ღმერთმანი. არ გისინჯავს ზამთარში?

— ნამდვილად... ყველა სხვა კენკრას და ტყემლის საწებლებს შვინდისა ჯობია!

— შვინდის შეჭამადი, გაგრძელებულ ყინვიან ზამთარში, როცა კაჭკაჭი ლამის არის კაცს უბეში ჩაუძვრეს?

— ნიგვზით შენელებული? — ეკითხება სანდრო. — რა დასამალია, მაგით დავზარდე ბალღები, მითხარი, რა სჯობია იმათ შეხედვას. ჩემები რომ არიან, იმიტომ კი არ ვაქებ!

დიდხანს იფიქრეს სანდრომ და ივანემ: ამყნიდნენ, აჯვარებდნენ, სცდიდნენ. ბოლოს მიაღწიეს მეგობრებმა საწადელს. გამოიყვანეს ბაღის შვინდი. თვითონ მცენარე ისევ ბუჩქად დარჩა, ნაყოფი კი შეიცვალა, საოცრად შეიცვალა. გარეული, ტყის შვინდის ნაყოფი ლობიოს მარცვლისოდენაა. ივანე ბაიაძის და სანდრო ზარიძის გამოყვანილი შვინდის ნაყოფი კი ნავარგევი ჭანჭურისოდენაა, ხშირად მასზე უფრო მსხვილი, წითელი, ტკბილი და რბილი. გიორგი ბაიაძემ უმალვე პლანტაციაში გაიტანა, მწკრივებად ჩარგო, მოვლა არ დააკლო, ტყიურ კენკრას სამეურნეო-სამრეწველო ხარისხი მიანიჭა.

ახალი შვინდის ნარგავები ჯერ ყველგან არ არის გავრცელებული, ნაყოფიც ცოტა შემოდის თბილისის ბაზარზე. ამიტომაც ძვირად ფასობს. ტყის შვინდთან შედარებით ერთიოთხად მეტი ღირს. დიასახლისები, თბილისის ბაზარზე სამურაბედ ხილს რომ ყიდულობენ, ახალ შვინდის შემომტანებს უსაყვედურებენ:

— განა შეიძლება შვინდი ასე ძვირად ღირდეს!

— ესა, — განმარტავენ შემომტანები — მერეთული შვინდია. ჯერ იქაც არ იცნობს მას ყველა. თითო ძირი გვიდგას ეზოში. ძვირი იქნება, მაშ როგორ! მოვა დრო და გაიაფდება.

## მწყობრში ჩადგა ქიმია

მტკვრის ხეობაში, თბილისსა და ტაშისკარს შორის, ბევრი კარგად მოწყობილი საბჭოთა მეურნეობა შეგხვდებათ. ერთი მათგანი, ქარელის გასწვრივ, მტკვრის მარცხენა მხარეზე, სოფელ ბრეთის მახლობლად მდებარეობს. ბრეთელები ხშირად მეურნეობის დამხმარე თვითმფრინა-



ბრეთის საბჭოთა მეურნეობა. მარცხნიდან — მუშა შ. მღებრიშვილი, სამმართველოს მებაღეობის აგრონომი რ. გოგიაშვილი, ბრიგადირი ო. ხომეზური.

ჯანიანად გამოიყურებიან, ვერსად შენიშნავთ წვერწამხმარ ვაშლებს, ბევრგან ბაღის მოუვლელობის გამო რომ მოჩანან სხვაგან; ძველ ნარგავებს სალთვისის არხიდან რწყავს წყალი. მეორე მხრით, შარა გზის პირისაკენ, ახალ ნარგავებს, ტაშისკრის ჩაბეტონებული არხი ასაზრდოებს მტკვრის წყლით. ეს არხები, ბრეთის მეურნეობიდან გასულნი, ბებნისს, რუისს და ურბნისსაც თამამად ყოფნის.

სარწყავი წყალი — უხვად, მიწა — მაღალი ხარისხის, ქიმია, მექანიზაცია, შერჩეული, გამოცდილი ხეხილის ჯიშები! — კიდევ რაღა უნდა საქმესო, იკითხავთ.

— საქმეს მონდომებული, გულმხურვალე მუშაკი უნდა. ისეთი, ვისაც გარჯა და ამაგი არ ეზარება!

ბოსტნეულის გადამმუშავებელი საამქრო ქარხანაში პირველ საამქროდ არის მიჩნეული. იგი ამზადებს მწნილეულს კომბოსტოსაგან, ამუშავებს პომიდორს, ბადრიჯანის კერძს. ამათ მომხმარებელი სიამოვნებით ეტანება.

ნეტავი კიდევ რაღა უნდა ვთქვათ ამ ატმის ქვეყანაზე! აქ ხეხილის სურნელით გათანგულია წელიწადის ყოველი დრო და დღე. ჯერ ისევ შორს, შარაზე შემოგეგებება მათრობელა სუნი შაფრანისა, ბროდსკისა, აბილაურისა, თურაშაულისა; ამ მხარეში მუდამ ნელსურნელება, სიამეთა ძალი და მადლი ტრიალებს წელიწადის ყოველ დღესა და ამინდში.

# ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲒᲖᲘᲗ

პირველი ინტერნაციონალი მუშათა კლასის მედგარი ბრძოლის სახელოვანი წარსულია, რომელიც მძაფრად ეხმაურება მის აწმყოსა და ბრწყინვალე მომავალს. მისგან, როგორც მაღალი მთის ანკარა წყაროსაგან, უდიდეს მდინარედ აზვირთდა საერთაშორისო მუშათა და კომუნისტური მოძრაობა.

პირველი ინტერნაციონალი მსოფლიო მუშათა კლასის პირველი მასობრივი რევოლუციური ორგანიზაცია იყო, რომელიც თავის რიგებში ათეულ ათასობით მებრძოლს აერთიანებდა. ინტერნაციონალის შექმნა განაპირობა მუშათა დემოკრატიული მოძრაობის იმ აღმავლობამ, რომელიც დაიწყო გასული საუკუნის 50-იანი წლების დასასრულსა და 60-იანი წლების დასაწყისში. მისი შექმნის ინიციატივა ეკუთვნოდათ მსოფლიო პროლეტარიატის ბელადებს — კ. მარქსს და ფ. ენგელსს.

პირველი ინტერნაციონალი, მუშათა საერთაშორისო ამხანაგობის სახელწოდებით, შეიქმნა 1864 წლის 28 სექტემბერს, ლონდონში გამართულ კრებაზე, რომელსაც ესწრებოდნენ ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიის და სხვა ქვეყნების მუშათა წარმომადგენლები. „კომუნისტური მანიფესტის" შემდეგ რევოლუციური პროლეტარიატის უმნიშვნელოვანეს პროგრამულ დოკუმენტს წარმოადგენდა კ. მარქსის მიერ დაწერილი პირველი ინტერნაციონალის „დამფუძნებელი მანიფესტი". მასში დასახული იქნა პროლეტარული მოძრაობის უმნიშვნელოვანესი მიზანი — პოლიტიკური ბრძოლით კაპიტალის ბატონობის დამხობა და მუშათა კლასის ძალაუფლების დამყარება.

პირველი ინტერნაციონალის წესდება მარქსმა შეადგინა. მასში აღნიშნული იყო, რომ მუშათა საერთაშორისო ამხანაგობა სხვადასხვა ქვეყნების მუშათა შეერთებისა და მათ შორის თანამშრომლობის ცენტრად უნდა გახდეს. ინტერნაციონალის უმაღლეს ხელმძღვანელ ორგანოდ გამოცხადებული იქნა კონგრესი. კონგრესებს შორის მიმდინარე მუშაობას ანხორციელებდა გენერალური საბჭო, რომლის ადგილსამყოფელი ლონდონში იყო.

პირველმა ინტერნაციონალმა დიდი გავლენა მოახდინა მუშათა მასებზე. მისი სექციები არსებობდნენ ინგლისში, გერმანიაში, საფრანგეთში, იტალიაში, ესპანეთში, პორტუგალიაში, ბელგიაში, დანიაში, ავსტრიაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ავსტრალიაში, შვეიცარიაში, პოლონეთში და მრავალ სხვა ქვეყნებში. მართალია, რუსეთში მუშათა კლასი ის-ის იყო ყალიბდებოდა, მაგრამ რუსმა რევოლუციონერ-ემიგრანტებმა შექმნეს ინტერნაციონალის რუსული სექცია, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ: ნ. უტინი, ე. დმიტრიევი, ა. კორვინ-კრუკოვსკი, ე. ბარტენევი, ა. ტრუსოვი და სხვ.

პირველი ინტერნაციონალი კონგრესებს ყოველწლიურად იწვევდა. მარქსი, ენგელსი და მათი მიმდევრები კონგრესებზე შეუპოვრად იბრძოდნენ მუშათა მოძრაობაში წვრილბურჟუაზიული შეხედულებების წარმომადგენელთა წინააღმდეგ და იცავდნენ მეცნიერული კომუნიზმის თეორიას. ჟენევის (1866 წლის სექტემბერი), ლოზანის (1867 წლის სექტემბერი) და ბრიუსელის (1868 წლის სექტემბერი) კონგრესებზე მარქსმა და მისმა მომხრეებმა გამანადგურებელი დარტყმა აგემეს პრუდონისტებს. პრუდონისტები გამოხატავდნენ წვრილი მესაკუთრეების ინტერესებს, მათ არ სურდათ ებრძოლათ მუშების მდგომარეობის გაუმჯობესებისა და კაპიტალის ბატონობის დამხობისათვის. ამიტომ ინტერნაციონალის ჟენევის კონგრესმა განსაკუთრებული დარტყმა წარმართა პრუდონისტების წვრილბურჟუაზიული რეფორმისტული პროგრამის წინააღმდეგ და მიიღო მარქსის მიერ მომზადებული რეზოლუცია.

პირველი ინტერნაციონალის კონგრესები მუშათა კლასს კონკრეტულ საბრძოლო პროგრამას უსახავდნენ. საგაფიცვო მოძრაობისადმი ხელმძღვანელობის და სხვადასხვა ქვეყნების მუშათა ძმური ურთიერთდახმარების ორგანიზაცია ინტერნაციონალის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა იყო. 1867 წელს, როცა საფრანგეთში გაფიცვები დაიწყო, გაფიცულთა დასახმარებლად ჩავიდნენ ინტერნაციონალის მიერ წარგზავნილი ინგლისელი მუშები. მათ შეაგროვეს სახსრები და საშუალება მისცეს ფრანგ ძმებს აეძულებიათ მეპატრონეები დათმობაზე წასულიყვნენ.

1871 წელს პარიზის კომუნის დღეებში პირველი ინტერნაციონალი გამოვიდა კომუნარების დასაცავად. ინტერნაციონალის გამოჩენილი მოღვაწეები პარიზის ბარიკადებზე იბრძოდნენ. ინტერნაციონალის გენერალური საბჭოს დავალებით მარქსმა დაწერა „სამოქალაქო ომი საფრანგეთში", სადაც ახსნა კომუნის, როგორც ისტორიაში პირველი პროლეტარული დიქტატურის მთავრობის არსი და, ამასთან ერთად, კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა მისი შეცდომები.

პირველი ინტერნაციონალი თავისი არსებობის წლებში (1867-1872 წ. წ.) პროლეტარული მოძრაობის მძლავრ საერთაშორისო ძალად გადაიქცა, რომელმაც გააერთიანა მშრომელთა მრავალი მოწინავე რაზმი. ამ დროიდან დიდად გაიზარდა მუშათა კლასის ხელმძღვანელი როლიც; „პირველმა ინტერნაციონალმა, — აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, — საძირკველი ჩაუყარა მუშათა საერთაშორისო ორგანიზაციას კაპიტალზე მათი რევოლუციური იერიშის მოსამზადებლად".

მიუხედავად იმისა, რომ პირველმა ინტერნაციონალმა მოკლე ხანს იარსება, მან დიდი გავლენა მოახდინა მთელი მსოფლიოს მუშათა, დემოკრატიულ და ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაზე. მისი მოღვაწეობის უშუალო შედეგს წარმოადგენდა ევროპისა და ამერიკის მრავალ ქვეყანაში სოციალისტური მუშათა პარტიების შექმნა.

კ. მარქსი და ფ. ენგელსი თანამიმდევრობით იცავდნენ საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ერთიანობას და მკვეთრად ილაშქრებდნენ როგორც აშკარა რეფორმისტების, ისე ყველა ჯურის მემარცხენე ავანტიურისტული ელემენტების წინააღმდეგ, რომლებიც თავიანთ ოპორტუნიზმს „ულტრარევოლუციური" ფრაზებით ფარავდნენ.

პირველი ინტერნაციონალის სახელოვანი ტრადიციები გზას უნათებენ თანამედროვეობის მძლავრ მოძრაობებს. „თანამედროვე ეპოქის ცენტრში, — ნათქვამია მუშათა და კომუნისტური პარტიების 1960 წლის მოსკოვის თათბირის განცხადებაში, — დგას საერთაშორისო მუშათა კლასი და მისი მთავარი ქმნილება — სოციალიზმის მსოფლიო სისტემა, რომელიც წარმოადგენს მშვიდობის, დემოკრატიის, ეროვნული განთავისუფლების, სოციალიზმისა და პროგრესისათვის ბრძოლაში კაცობრიობის გამარჯვების საწინდარს".

სამწუხაროდ, პირველი ინტერნაციონალის დაარსების დღიდან ასი წლის შემდეგაც საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში კვლავ გაისმა თანამედროვე ოპორტუნისტებისა და „მემარცხენეობის" სენით შეპყრობილი ავანტიურისტული ელემენტების ხმა, რომლებსაც თავის დროზე გამანადგურებელი პასუხი გასცეს მეცნიერული სოციალიზმის დიდმა ფუძემდებლებმა.

თანამედროვე რევიზიონისტები და გამთიშველები ჩინეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობიდან ყოველ ღონეს ხმარობენ იმისათვის, რომ ძირი გამოუთხარონ საერთაშორისო პროლეტარიატის ერთიანობას, რომელსაც დასაბამი მისცა პირველმა ინტერნაციონალმა — მუშათა საერთაშორისო ამხანაგობამ, დააკნინონ საერთაშორისო მუშათა კლასის როლი მსოფლიოს რევოლუციური გარდაქმნისათვის ბრძოლაში, დაუპირისპირონ ამ ბრძოლას ამერიკის, აფრიკისა და აზიის ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლები, გადააქციონ სოციალიზმის მსოფლიო სისტემა მეორეხარისხოვან ძალად და „საკუთარ ძალებზე დაყრდნობის" დროშით გაწყვიტონ მოძმე სოციალისტურ ქვეყნებს შორის ურთიერთკავშირი და განხეთქილება შეიტანონ მსოფლიოს მუშათა და კომუნისტურ პარტიებში.

მაგრამ ჩინელ სექტანტთა და გამთიშველთა ყველა ამ უბადრუკ ცდას ისეთივე ბედი ეწვია, რა ბედიც ეწვიათ მათ იდეურ წინაპრებს ჯერ კიდევ ასი წლის წინ, პირველი ინტერნაციონალის წინააღმდეგ ბრძოლაში.

მსოფლიოს მუშათა და კომუნისტური პარტიები მკაცრად გმობენ ჩინელ „ულტრარევოლუციონერთა" გამთიშველ პოლიტიკას და კიდევ უფრო მტკიცედ ამჭიდროებენ თავის რიგებს მარქსისტულ-ლენინური ინტერნაციონალიზმის დროშის ქვეშ.

პირველი ინტერნაციონალის რევოლუციური ტრადიციები, აღდგენილი და შემდგომ განვითარებული ჯერ დიდი ლენინისა და მესამე კომუნისტური ინტერნაციონალის მოღვაწეობაში, ხოლო შემდეგ თანამედროვე კომუნისტური მოძრაობის თეორიასა და პრაქტიკაში — ურყევი საფუძველია კაცობრიობის იმ ნათელი მომავლისა, რომელზეც ოცნებობდნენ და რომლისთვისაც თავდადებით იბრძოდნენ მეცნიერული სოციალიზმის დიდი დამაარსებლები და მათი ერთგული თანამებრძოლნი.

**ვ. რეხვიაშვილი**

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# ᲚᲔᲜᲘᲜᲣᲠᲘ ᲒᲕᲐᲠᲓᲘᲘᲡ ᲔᲠᲗᲒᲣᲚᲘ ᲯᲐᲠᲘᲡᲙᲐᲪᲘ

## Გ. Თ. ᲡᲢᲣᲠᲣᲐᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ 80 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

იმ ქართველ პროფესიონალ-რევოლუციონერთა შორის, რომლებიც უყოყმანოდ გაჰყვნენ დიდი ლენინის გზას და მთელი თავიანთი შეგნებული ცხოვრება მშრომელთა თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის ბრძოლას შეალიეს, ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უჭირავს გიორგი თევდორეს-ძე სტურუას.

ღარიბი გლეხის შვილი, იგი ჭაბუკობიდანვე ჩაება მუშათა რევოლუციურ მოძრაობაში, ჭაბუკობიდანვე ეზიარა მარქსიზმ-ლენინიზმის მძლეთამძლე იდეებს, რომელთა განხორციელებისათვის არ იშურებდა არც ძალას, არც ენერგიას. იგი იყო ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების თვალსაჩინო მოღვაწე, შესანიშნავი კონსპირატორი და პროპაგანდისტი, შემდგომში—საბჭოთა სახელმწიფოს აქტიური მშენებელი. მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე გ. სტურუა ერთგულად ემსახურებოდა მშრომელ ხალხს და კომუნისტური პარტიის საქმეს, საბჭოთა სახელმწიფოს განმტკიცებისა და კომუნიზმის დიადი იდეების განხორციელების საქმეს.

1905 წლის დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების დროს გიორგი სტურუა იარაღით ხელში იბრძოდა მოსკოვში, კრასნაია პრესნიას ბარიკადებზე, აჯანყების დამარცხების შემდეგ კი მუშაობდა პეტერბურგში, ლეგალურ ბოლშევიკურ გაზეთ „ვოლნას" სტამბაში. პარტიის დავალებით იგი აარსებს არალეგალურ სტამბას მოსკოვში, შემდეგ იწყებს არალეგალურ მუშაობას ბაქოში, მონაწილეობს ბაქოს მუშათა გრანდიოზულ გაფიცვებში 1914 და 1917 წლებში. ამ ხნის მანძილზე მეფის მთავრობის განკარგულებით მას მრავალჯერ აპატიმრებენ, ასახლებენ ციმბირში, მაგრამ ოხრანკის აგენტები მაინც ვერ ახერხებენ გასტეხონ მგზნებარე რევოლუციონერის ნებისყოფა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გიორგი სტურუა ხელმძღვანელ პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო და პროფკავშირულ სამუშაოზეა. იგი იყო საქართველოს სსრ სურსათის სახალხო კომისრის მოადგილე, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი, აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი, საქართველოს კპ ცენტრალური საკონტროლო კომისიის პარტკოლეგიის თავმჯდომარე, საქართველოს იუსტიციის სახალხო კომისარი, საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

მშრომელი ხალხისადმი სამსახური, კომუნისტური პარტიის საქმისათვის თავდადებული ბრძოლა — ასეთი იყო გიორგი სტურუას სახელმძღვანელო პრინციპი ყველა პოსტზე მუშაობის დროს. სადაც უნდა ყოფილიყო, იგი ჩვეული ენთუზიაზმითა და გატაცებით მუშაობდა სოციალიზმის მშენებლობის ლენინური გეგმის, პარტიის გენერალური ხაზის განხორციელებისათვის, სოციალიზმის მშენებლობაში მშრომელთა ფართო მასების ჩაბმისათვის, საბჭოთა ახალგაზრდობის სოციალისტური პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით აღზრდისათვის. მთელი მისი ცხოვრება იყო პარტიისა და სამშობლოსათვის თავდადებული სამსახურის მკაფიო მაგალითი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ომი ჯუნგლებში

## პარტიზანი მღერის თავისუფლებაზე

ჯუნგლებში უცებ ღამდება. ღამე კი ბნელია, ცა კუპრივით შავი და ალბათ ამიტომ ჩანან ვარსკვლავები ასე დიდები. ჯუნგლებში კოცონები ანთია, ბევრი კოცონებია, გეგონებათ ამ ღრანტეებში უამრავი ვარსკვლავები მიმოუფანტავთო.

კოცონებს შეიარაღებული ადამიანები შემოსხდომიან. ისინი სამხრეთ ვიეტნამელი პარტიზანები არიან, ანუ, როგორც მათ დასავლეთის პრესა უწოდებს, ვიეტკონგელები. მათ ეს-ეს არის მაგარი დარტყმა აგემეს მტერს და ახლა გათენებისა და ახალი ბრძოლის მოლოდინში ისვენებენ. ზოგი ვახშამს იმზადებს, ზოგი იარაღს წმენდს; ზოგსაც გულში ავტომატი ჩაუხუტებია და ტკბილი ძილისთვის მიუცია თავი.

ერთ მათგანს საკრავი მოუმართავს, სიმებს ნელა აყოლებს თითებს და ღიღინებს. ეს დენ ვან ხეუა, პარტიზანთა განთქმული მზვერავი. ის ჯერ მხოლოდ ოცდაექვსი წლის არის, მაგრამ ამხანაგები უკვე ძველ და გამოცდილ მეომრად თვლიან... დიდი ტკივილი აქვს გულში ვან ხეუს, ტკივილი და უსაზღვრო სიძულვილი იმათ მიმართ, ვინც ფეხქვეშ გათელა მისი სამშობლო, გროშების ფასად გაყიდა იგი და სისხლი და სიკვდილი მოუტანა ხალხს. გენერალ კხანის ნაძირალებმა, რომლებსაც ამერიკელი კაპიტანი მეთაურობდა, გადაბუგეს ვან ხეუს სოფელი; მის უმცროს ძმას ხმლით გააგდებინეს თავი, მოხუც მამას წამებით ამოხადეს სული, დები კი სადღაც წაიყვანეს.

და განა მარტო დენ ვან ხეუს დაატყდა თავს ეს უბედურება, მისი მეგობრებიდან კაცი არ არის, რომ შურისძიების ცეცხლი არ უგიზგიზებდეს გულში. მეგობრები კი ვან ხეუს ბევრი ჰყავს, ათეულ ათასობით თანამებრძოლი, ასეულ ათასობით თანამოაზრე, ყველა პატიოსანი ვიეტნამელი. ამიტომ ჟღერს მისი სიმღერა ასე ამაღელვებლად, ასე გადამდებად, ასე ძალოვნად:

„ჯუნგლებში დიდი ხანია სიმშვიდე აღარ არის, — მღეროდა ვან ხეუ, — დაფრთხნენ ფრინველები, დაფრთხა ნადირიც, რადგან აქ გამოჩნდნენ ნამდვილი მხეცები, კხანის პირსისხლიანი აფთრები, რომლებსაც აყლაყუდა იანკი მეთაურობს. ისინი სწვავენ ჩვენს სოფლებს, ხოცავენ ჩვენს ძმებსა და შვილებს. მათ სურთ სისხლი გამოსწოვონ ჩვენს ქვეყანას. მაგრამ ამ მიწაზე ვცხოვრობთ ჩვენ, ამ ტყეებსა და ველებს ვპატრონობთ ჩვენ, ამ მდინარეებზე დავცურავთ ჩვენ იმ დროიდან, როცა ჯერ დონგ-ნაი დაბადებულიც არ იყო, ახლა ჩვენ ხელში გვიჭირავს თოფი და ვებრძვით კხანსა და იანკის, რომ ჯუნგლებში დაბრუნდეს სიმშვიდე, რომ მტერი შთანთქას მღვრიე სონგბამ და კვლავ გამეფდეს თავისუფლება, რომელიც ჩვენი ავტომატების ლულებით მოგვაქვს".

ჯუნგლებში უცებ ღამდება. ღამე ბნელია, თვალგაუვალი და ამიტომაც ჩანან ტყეში კოცონები ასე დიდები, ასე მოგიზგიზენი...

## რა ღირს ერთი დღე სამხრეთ ვიეტნამში?

ამ მრავალტანჯულ პატარა ქვეყანაში კვლავინდებურად გრძელდება ომი. ამერიკის შეერთებული შტატები სამხრეთ ვიეტნამში იყენებენ კოლონიალიზმის ყველაზე სისხლიან ტერორისტულ მეთოდებს, აიარაღებენ მთელს არმიას, გამოჰყავთ ბრძოლის ველზე ასობით ვერტმფრენი და რაკეტებით აღჭურვილი რეაქტიული თვითმფრინავი, მაგრამ ვერაფერს ხდებიან ამ ქვეყნის ეროვნულ-განმათავისუფლებელ ფრონტთან, რომელიც უკანასკნელ ხანებში ბრწყინვალე გამარჯვებებს აღწევს და ამასთან, სულ უფრო, აძლიერებს თავის პოლიტიკურ გავლენას.

როგორც გაზეთ „ვაშინგტონ პოსტის" კორესპონდენტი უორენ უნა აღნიშნავს, ამჟამად სამხრეთ ვიეტნამში 16 ათასზე მეტი ამერიკელი სამხედრო „მრჩეველია". ბედმოცარული და აწ განსვენებული ნგო დინ დიემის ახლანდელი მემკვიდრის გენერალ კხანის არმია 240 ათას კაცს ითვლის, რომელსაც ემატება თვითდაცვისა და სამოქალაქო გვარდიის ნახევრად გასამხედროებული კორპუსის 200 ათასი წევრი. ეს არმია შეიარაღებულია უახლესი ამერიკული სამხედრო ტექნიკით. ამერიკულმა „დახმარებამ" სამხრეთ ვიეტნამში სისხლიანი რეჟიმის განმტკიცებისათვის მიაღწია უზარმაზარ თანხას — სამ მილიარდ დოლარს ანუ 1.500.000 დოლარს დღეში, მაგრამ საქმეს მაინც ვერაფერიეშველა. პირიქით, ადრე თუ ბრძოლებში მონაწილეობას იღებდნენ პატრიოტთა მცირერიცხოვანი, დაქსაქსული რაზმები და ისიც ტყეებისა და ჭაობების საფარქვეშ, ახლა შესანიშნავად ორგანიზებული, კარგად შეიარაღებული ბატალიონები ღია ბრძოლაში გამანადგურებელ ლახვარს სცემენ მოწინააღმდეგეს. ამას მოწმობს თუნდაც ის, რომ ამ ომს ახლა ყოველ კვირას ეწირება 20-30 ამერიკელი „მრჩეველი", ერთიორად მეტი, ვიდრე შარშან, და ათჯერ მეტი, ვიდრე 1961-1962 წლებში.

დასავლეთის პრესის ცნობებით, სამხრეთ ვიეტნამის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ფრონტის ძალები შედგება 140-180 ათასი კაცისაგან, რომელთაგან 40 ათასი წარმოადგენს საუცხოოდ გაწვრთნილ პროფესიულ მებრძოლთა ბირთვს. ამას გარდა, „ნიუ-იორკ ტაიმსის" კორესპონდენტის ბოლდუინის სიტყვებით რომ ვთქვათ, მათ „დახმარებას უწევს მოსახლეობის ძალიან დიდი ნაწილი, აგრეთვე საიგონის ინტელიგენცია, რომელიც აპატიურად არის განწყობილი ამ ომისადმი და გენერალ კხანის მთავრობას ოპოზიციაში უდგას". ასეა თუ ისე, ფაქტი ფაქტად რჩება, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი ფრონტის ძალები დღეისათვის უკვე კონტროლს უწევენ ქვეყნის ვრცელ რაიონებს და რომ მათი დარტყმები სულ უფრო ძლიერი და გამანადგურებელი ხდება.

შეშფოთებული იანკები ყოველ ღონეს ხმარობენ მდგომარეობის გამოსასწორებლად. შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრი რობერტ მაკნამარა ამ ბოლო დროს უკვე მეხუთედ იყო სამხრეთ ვიეტნამში (აღსანიშნავია, რომ ამ მოგზაურობის დროს მინისტრს მუდამ ტყვიაგაუმტარი ჯავშანჟილეტი ეცვა). პრეზიდენტმა ჯონსონმა საიგონში შეცვალა ელჩი და იქ გაგზავნა გენერალი ტეილორი, რომელსაც მსგავს პოლიტიკურ და სამხედრო ავანტიურებში დიდი გამოცდილება აქვს. სენატმა ამ ომისათვის დამატებით კიდევ ასზე მეტი მილიონი დოლარი გამოყო. ამ დღეებში გენერალ კხანს კვლავ გაუგზავნეს 600 ინსტრუქტორი, ჰაუბიცები, ჯავშანტრანსპორტიორები, ვერტმფრენები და უახლესი რეაქტიული თვითმფრინავები, მაგრამ არავის ეჭვი არ ეპარება, რომ სამხრეთ ვიეტნამის ხალხს ვერავითარი ძალა გეზს ვეღარ შეაცვლევინებს.

## მისტერ სტივენსონის ოინები

ყოველივე ამის შემდეგ ვაშინგტონის წარმომადგენელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მისტერ ედლაი სტივენსონს ეყო იმდენი ცინიზმი, რომ განეცხადებინა:

— ამერიკის შეერთებულ შტატებს არ შეუძლიათ პასიურნი დარჩნენ, როცა სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია შეიარაღებულ აგრესიას განიცდის!

სწორედ ამაზეა ნათქვამი, ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო. ერთადერთი შეიარაღებული უცხოელები სამხრეთ ვიეტნამში, ლაოსსა თუ ტაილანდში ამჟამად მხოლოდ ამერიკელები არიან. ვის აგრესიისაგან იცავენ ისინი ამ ქვეყნებს? გამოდის, რომ სამხრეთ ვიეტნამელებს იცავენ სამხრეთ ვიეტნამელებისაგან, ლაოსელებს — ლაოსელებისაგან. ჰოდა, ამას ხომ, უბრალოდ, სხვის საქმეში ცხვირის ჩაყოფა ჰქვია.

მაგრამ „ძია სემს" სულ სხვა მუცლის გვრემა აწუხებს. საქმე იმაშია, რომ სამხრეთ ვიეტნამის ჩრდილოეთი ნაწილი ესაზღვრება სამხრეთ ლაოსს, სამხრეთ ნაწილი კი, მთელს აღმოსავლეთ კამბოჯას. სამხრეთ ვიეტნამელი პატრიოტების განადგურება შეერთებულ შტატებს იმის საშუალებას მისცემს, რომ გაუსწორდეს სამხრეთ ლაოსელ პარტიზანებს, რომლებსაც თავიანთი ქვეყნის საკმაოდ დიდი ტერიტორიები აქვთ დაკავებული. ეს წარმატება ამერიკელებს გაუხსნის სამხრეთ ვიეტნამ-ლაოს-ტაილანდის საზღვრებს, რაც საუცხოო პირობაა საჭიროების შემთხვევაში ამ სამი ქვეყნის მარიონეტული არმიების გადასროლ-გადმოსროლისათვის. ეს კი პენტაგონს ხელფეხს გაუხსნის უფრო ეფექტური და თავისუფალი საომარი მოქმედებისათვის ლაოსის ეროვნულ-განმათავისუფლებელი არმიისა და ჩრდილოეთ ვიეტნამის წინააღმდეგ. ამასთან, აღმოსავლეთიდან, ჩრდილოეთიდან და დასავლეთიდან მტრული ქვეყნებით გარშემორტყმული ნეიტრალური კამბოჯა „ვეღარ გაუძლებს ამერიკელთა ცდუნებას და მორჩილ ზვარაკად გადაიქცევა". ყოველივე ამის შედეგად სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია გახდება შეერთებული შტატების მყარი და საიმედო პლაცდარმი საბჭოთა კავშირისა და მისი მეზობელი ქვეყნების წინააღმდეგ.

ეს შორს გამიზნული სამხედრო სტრატეგიული მიზნები, რა თქმა უნდა, არ ამოწურავს ვაშინგტონის იდუმალ ზრახვებს. მას როდი ავიწყდება ამ ქვეყნების ზღაპრული სიმდიდრენი, აურაცხელი წიაღისეულნი, უამრავი ნედლეული, რომლებიც ოდითგანვე მადას უღვიძებდა და ახელებდა ყველა დროისა და ყველა ჯურის მტაცებლებს.

გენერალური ასამბლეის უშიშროების საბჭოს ტრიბუნაზე გამომდგარი სტივენსონი კი გულში მჯიღის ცემით გაიძახის: „სანამ ამ რაიონის ხალხები ჩვენგან დახმარებას მოითხოვენ, ჩვენ უსიტყვოდ გავუწევთ მათ ამ დახმარებას!" რომელ ხალხებზეა აქ ლაპარაკი? უშიშროების საბჭო, პირიქით, ახლა განიხილავს კამბოჯის საჩივარს, კამბოჯისა, რომელსაც არა თუ არ სურს ვაშინგტონის „დახმარება," არამედ სპეციალურად აცხადებს პროტესტს იმის წინააღმდეგ, რომ მის საზღვრებს, ამერიკელთა მეთაურობით, სისტემატურად ესხმიან თავს სამხრეთ ვიეტნამის ჯარები. „იუმანიტე" წერს: „რომ არ ჩავთვალოთ მარიონეტული დიქტატორების მცირერიცხოვანი ხროვა, რომელიც საიგონში ხელისუფლების სათავეში ამერიკული ხიშტების წყალობით არის მოქცეული, არავის არასოდეს არ უთხოვია შეერთებული შტატებისათვის დახმარება".

წყალწაღებული ხავს ეჭიდებოდაო, ნათქვამია. თვით ამერიკის მმართველ წრეებშიც იშვიათად ნახავთ ისეთ კაცს, რომელიც სამხრეთ ვიეტნამში ომს წაგებულად არ თვლიდეს. სენატორმა უეინ მორზემ ამ ომს „უსამართლო და უიმედო" უწოდა. „ჩვენ ვერ გავიმარჯვებთ სამხრეთ ვიეტნამში, — განაცხადა მორზემ, — თუ არ გავაფართოვეთ ომი ამ ქვეყნის ფარგლებს გარეთ, მაგრამ თუ იგი გავაფართოვეთ... ამერიკის შეერთებული შტატები აღმოჩნდებიან ჩათრეულნი ომში არა მარტო სამხრეთ ვიეტნამში, არამედ ლაოსში, ჩრდილოეთ ვიეტნამსა და ტაილანდში. ასეთი ჩარევა შეერთებულ შტატებს დაუჯდება აურაცხელ მსხვერპლად. მას შეიძლება მოჰყვეს მხოლოდ საბოლოო უკანდახევა".

რომ იტყვიან, კომენტარიები ზედმეტია.

ა. სეხნიაშვილი



# ტელეფონი

მოთხრობა

ეთერ ჯაიანი

ტელეფონის ზარი ლიას ძილში ჩაესმა. კიდევ გამეორდა, გაელვიძა, მაგრამ თვალები არ გაუხელია, გაუნძრევლად იწვა და ელოდა როდის შეწყდებოდა რეკვა. საათს შეხედა, ათი სრულდებოდა. ტელეფონი რეკდა და რეკდა. ის კვლავ გაუნძრევლად იწვა და ელოდა როდის შეწყდებოდა მოსაბეზრებელი ზარი. ანდა რატომ უნდა წამომხტარიყო და ღამის პერანგის ამარა გულისხეთქით მივარდნილიყო ტელეფონთან. ალბათ სამუშაოდან აწუხებდნენ, სხვა ვინ იქნებოდა? ან ვიღაცამ შეცდომით თუ აკრიფა მისი ნომერი, დღის საათებში ხაზები მუდამ გადატვირთული იყო, ხშირად ერთ ნომერს კრეფდნენ და მეორე უერთდებოდა.

ტელეფონი კვლავ დაუინებით წკრიალებდა; ის კი გაუნძრევლად იწვა. როგორც იყო, ჩაჩუმდა ზარი და ლია ზანტად გადაბრუნდა მეორე მხარეს, მაგრამ ძილი აღარ უნდოდა. უცებ გაახსენდა, რომ ტელეფონის წკრიალმა საამო სიზმარი გააწყვეტინა. ვერა, ვერაფრით ვერ გაიხსენა სიზმარში სად იყო ან რა ხდებოდა, ოღონდ ის კი მოაგონდა, რომ გოგიმ ჩასჩურჩულა: „გარეთ დამელოდე“. ერთბაშად მისი სიახლოვე იგრძნო, თითქოს ისევ პირისპირ იდგნენ და ისევ ცხადად ხედავდა. მოგონებამ საშინელი ტკივილი და, ამავე დროს, სიამოვნება მოჰგვარა. სიზმარი ალბათ რამეს ნიშნავს, აბა, ისე რატომ გამოეცხადებოდა მძინარეს? თუმცა რა? სიზმარი მაინც სიზმარია. გოგი მისთვის აღარ არსებობს, მასზე არც ფიქრობს, აგერ უკვე ათ წელზე მეტია ერთმანეთს დაშორდნენ.

მას შემდეგ რამდენმა წყალმა ჩაიარა, მაგრამ რა შეიცვალა? არაფერი. ოღონდ მთელი ეს დრო ლიამ მოანდომა შინაგან ბრძოლას. ჯერ იყო და სასოწარკვეთილი აქეთ-იქით აწყდებოდა, მერე ათასგვარ გეგმებს აწყობდა, რომ გოგი ისევ დაებრუნებინა, მაგრამ მასთან ერთხელ დალაპარაკებაც კი ვერ მოახერხა, ზედმეტადაც მოეჩვენა — დარწმუნებული იყო, რომ გოგის მისი ნახვა დანამდვილებით აღარ უნდოდა.

ლიაც თავს ძალას ატანდა აღარ ეფიქრა, აღარ მოეგონებინა მისი სახელი, მისი სიახლოვე. როგორც კი მოენატრებოდა, ნახვის სევდა და სურვილი მოერეოდა, მაშინვე საქმეს მიეძალებოდა, ან მეგობრებთან შეივლიდა და როგორმე გულს გადაატანდა. ბოლოს და ბოლოს გრძნობას ხომ არ შეეწირებოდა და სიყვარულს ხომ არ გადაჰყვებოდა? ერიდებოდა ყველა იმ ქუჩას, ყველა იმ კუთხეს, რაც კი მას მოაგონებდა. არც იმ ადგილებს ეკარებოდა, სადაც გოგი ხშირად დაიარებოდა. შეუმჩნევლად იმ მეგობრებთანაც კი გაწყვიტა ურთიერთობა, რომლებთანაც მას ხვდებოდა. იმ მაღაზიებშიც კი იშვიათად შედიოდა, სადაც ყოველ ცისმარე დღეს ერთად შეეხეტებოდნენ ხოლმე.

ერთხელ ცალთვალა პურის გამყიდველმა კიდეც ჰკითხა, შენსა და იმ ყმაწვილს შორის შავმა კატამ ხომ არ გაირბინაო? რა მშვიდად გაუღიმა ლიამ უარყოფის ნიშნად და მარჯვედაც მიაგება პასუხი, მაშინ ერთად ვსწავლობდით, ახლა სხვადასხვა ინსტიტუტებში ვმუშაობთ და ერთმანეთს ისე ხშირად ვეღარ ვხვდებითო. მეპურემ ცალი თვალით გამჭოლავი მზერა ესროლა მაშინ და ლაპარაკი ბაზრის ფასებზე გადაიტანა.

ლიამ განზრახ სხვა ინსტიტუტში დაიწყო მუშაობა, რომ გოგის აღარ შეხვედროდა. ყველა გზა მოიკვეთა, რომ მასზე აღარ ეფიქრა, ნელ-ნელა კიდეც შეეგუა იმ აზრს, რომ გოგი მისთვის აღარ არსებობდა, თითქოს აღარც ახსოვდა: მაგრამ, ეს სიზმარი საიდანღა გაჩნდა? რა ბედნიერი იყო სიზმარში, მისი გახსენებაც კი ახლა სიამოვნებას ჰგვრიდა. ნეტა არ გაეწყვიტათ! მაგრამ უფრო ის ფიქრი აწამებდა, რომ ეს იყო მხოლოდ სიზმარი...

ტელეფონმა ისევ დაიწკარუნა. ალბათ ინსტიტუტიდან ურეკავენ, რაღაც კომისიას ელოდებოდნენ. ლია გამოერკვა ბურანიდან, წამოხტა, თბილ საშინაო ჩუსტებში ფეხები ჩაჰყო, ხალათი მოისხა და ტელეფონთან მიირბინა.

— გისმენთ! — ოდნავ ნამძინარევი ჩახლეჩილი ხმით გასცა პასუხი.

— ქალბატონი ლია ბრძანდებით?

— დიახ, ვინ მელაპარაკება?

— სტამბიდან გირეკავთ, მთავარი კორექტორი ვარ. თქვენს შრომაში ფორმულებია და რამდენიმე წინადადება უცხო ენაზეა და, თუ შეიძლება, დღეს ხუთ საათამდე აუცილებლად შემოიარეთ და აწყობილი გვერდები შეამოწმეთ.

— გასაგებია... ოთხი საათისათვის რომ მოვიდე, გვიან ხომ არ იქნება?

— არა, პირიქით, ძალიან კარგია.

— მაშ ოთხზე მოვალ.

— ჩვენ აქ ვიქნებით. ოთახი № 11. კარგად ბრძანდებოდეთ.

— ოთხზე მოვალ, ნახვამდის.

ლიამ ყური დაჰკიდა. ეს ერთი დღე ჰქონდა თავისუფალი, შრომა სასწრაფოდ უნდა დაემთავრებინა, ინსტიტუტში განთავისუფლებაც ითხოვა, წინა ღამით საწერ მაგიდას თავაუღებლივ, დილის ოთხ საათამდე უჯდა, დღეს მთელი დღე შინ ყოფნას აპირებდა, და აჰა, ეს დღეც გაუტყდა. გულდაგულ როცა მუშაობდა, ჰირივით ეზარებოდა სახლიდან გასვლა, მაგრამ ახლა სხვა გზა არა ჰქონდა. სასწრაფოდ დაფაცურდა, დაიბანა, ისაუზმა, ჩაიცვა და საწერ მაგიდას მიუჯდა იმ ვარაუდით, რომ ოთხ საათამდე დრო მაქსიმალურად გამოეყენებინა. ერთ ხანს გარინდებული დაჰყურებდა გაშლილ ქაღალდებს, ცდილობდა აზრების მოკრებასა და მუშაობის დაწყებას.

კალამი აიღო და ფიგურების ხატვა დაიწყო, ქათქათა ფურცლის ზედა კუთხეში თანდათანობით გაჩნდნენ პატარ-პატარა სამკუთხედები, ოთხკუთხედები, შიგ ჩახატული რომბები; გულგაშლილი ყვავილები, გრძელკუდა და ულვაშებიანი ფისუნიები, ჩაგრძელებული კაცის პროფილები, დახლართული ხაზები, მაგრამ კალამი სიტყვებს არ სწერდა, ფიგურებს სიტყვები ვერ მოჰყვნენ. ლიამ წინა ღამით დაწერილი გვერდები გადმოფურცლა, თვალი გადაავლო, მაგრამ საკუთარი ხელით გამოყვანილი ფორმულები და სიტყვები შორეული და იეროგლიფებივით გაუგებარი ეჩვენა.

ისევ აიღო სუფთა ფურცელი, თითქოს დახატული ფიგურები ხელს უშლიდნენ აზრების დაწყობაში, მაგრამ ისევ ფიგურების ჩხაპნა დაიწყო, ისევ გამოჰყავდა რომბები და ფისუნიები და თან მთელ სხეულში ნეტარებას გრძნობდა. კვლავ სიზმარი ედგა თვალწინ, რა ახლოს იყო გოგი, ღმერთო, ძველებურად შეხვედრაც — დათქვეს, შეხვედრა, შეხვედრა, „გარეთ დამელოდე“, „გარეთ დამელოდე“...

გადაშლილი წიგნები და ქაღალდები ხელუხლებლად ეწყო მაგიდაზე. მართლაც რომ შეხვდეს? ან სადღა ნახავს, უკვე მთელი წელი გავიდა, რაც შორიდან თვალიც არ მოუკრავს. უკანასკნელად ბიბლიოთეკაში წააწყდა შემთხვევით, ცივად მიესალმნენ ერთმანეთს, როგორც უცხონი, შორეულნი, გოგიმ მაშინვე თავი დახარა და მშვიდად განაგრძო კითხვა. არც ლიას შეუხრია წარბი, მის მაგიდას ჩაუარა, მოშორებით დაჯდა, თავისი წიგნები გადაშალა.

აკი მაშინაც ფიქრობდა, ვანიშნებ გარეთ გამოდი, პატარა საქმე მაქვს-მეთქი, აკი გადაწყვიტა ყველაფერს ვეტყვი, ვეტყვი, რომ მართლა მიყვარს და სხვა არავინ ეკარება ჩემს გულს.

მერე ერთბაშად საკუთარი თავი შეზარდა, აბეზარი განზრახვა მაშინვე თავიდან მოიშორა, მოეჩვენა, რომ დიდხანს ნაწვალები, ნათმენი და გულში შენახული გრძნობა სიტყვებით დამცირდებოდა, დაპატარავდებოდა, არარაობას დაემსგავსებოდა, საპნის ბუშტივით ჰაერში გაქრებოდა.

ისიც წარმოიდგინა, რომ გოგი ძველებურად გესლიანად მოუჭრიდა — ახლა მოწყენილი ხარ, თაყვანისმცემლები შემოგაკლდა, ჩემი გათამაშება მოგენატრაო. რატომ, რატომ არასოდეს არ სჯეროდა მისი გოგის?

ლიამ კალამი დასდო და კედელს მიაშტერდა. არა, მაშინ შეცდა, უნდა ეთქვა ყველაფერი, უნდა ეთქვა, მაგრამ რა აზრი ჰქონდა, გოგის უკვე ცოლიც ჰყავდა. ლია ალბათ აღარც აგონდებოდა. მერე რა, რომ ცოლი ჰყავს? ლია გოგის დაბრუნებაზე ხომ აღარ ოცნებობს. მხოლოდ ის ფიქრი არ ასვენებს, რომ გოგის ვერც წარმოუდგენია როგორ ეწამება ლია, როგორ ენატრება, როგორ უყვარს იგი. მისგან აღარაფერი აღარ უნდა, ოღონდ ერთხელ მაინც ნახოს, ერთხელ მაინც გულდასმით უამბოს ყველაფერი, გააგებინოს როგორ შესწირა მასზე ფიქრსა და მოგონებებს მთელი ათი წელი.

არ დაუჯერებს, არა, აზრი არა აქვს ალსარებებს, ზედმეტი სენტიმენტალობაა... მაგრამ ეს სიზმარი? რა ტკბილი იყო, სიზმარში შეხვედრა დათქვეს. ეს სიზმარი რაღას ნიშნავს?

მერე ლიამ წარმოიდგინა, ვითომ ქუჩაში მიდის, უცებ გოგი შეხვდა, მიესალმა ცივად, გვერდით ვიღაც კაცი მიჰყვება, მაგრამ ლიამ მაინც შეაჩერა ფეხი და მისკენ გაემართა. გოგიც შეჩერდა, მხეცი ხომ არ არის. ის კაცი ბოდიშს იხდის და გოგის ემშვიდობება, ლია პირდაპირ ეუბნება: „იცი რატომ გაგაჩერე? მინდა ერთხელ და სამუდამოდ გაიგო რა დღეში ვარ, ეს ცარიელი სიტყვები არ გეგონოს, მოდი, ერთხელ მაინც მოდი ჩემთან“... არა, ასე არ ივარგებს. გოგი არ დაუჯერებს, სჯობს ეშმაკობა იხმაროს და მეგობრულად მიმართოს:

„გოგი, შენთან ერთი სერიოზული საქმე მაქვს

ჩემს შრომასთან დაკავშირებით, მოდი, გამოიარე ჩემთან, როცა თავისუფალი იქნები. როდის? ხვალ, ზეგ, მაზეგ, კვირას?“ „ხვალ“. „კარგი, ხვალ მთელი საღამო შინ ვიქნები, ხვალ გელი“. გოგი არ მოატყუებს, მივა, მაშინ ყველაფერს დალაგებით აუხსნის. ასეა თუ ისეა, ერთხელ და სამუდამოდ უნდა გამოუტყდეს; ამ ათი წლის წინათ არ უთხრა, ახლა მაინც მოახერხებს, მეტის მოთმენა აღარ შეიძლება. გოგიმ უნდა გაიგოს, თუ როგორ ეწამება ლია, იქნებ მასაც რომ ეცოდინება, უფრო დამშვიდდეს ლია, იქნებ სულ მთლად ამოიგდოს გულიდან, სიზმრებშიაც აღარ ნახოს.

მერე თითქოს ოცნებიდან გამოერკვა. ერთბაშად გადაწყვიტა მართლა, დანამდვილებით ენახა. მოდი, ინსტიტუტში დაურეკოს, არა თქვას ვინ არის და იკითხოს. არა, უხერხულია, რამეს იეჭვიანებენ, იტყვიან ვიღაც ქალმა დაურეკაო, შეიძლება ხმითაც იცნონ. იქნებ სამსახურის გათავების დროს ქუჩაში დაელოდოს. ეგეც უხერხულია, ჩვიდმეტი წლის გოგო ხომ არ არის, უკვე თავი დარბაისლურად უჭირავს. უმჯობესია ინსტიტუტში პირდაპირ მივიდეს მასთან, რამე საქმე მოიმიზეზოს, შეხვედრა დაათქმევინოს და მერე, მერე ყველაფერი აუხსნას. ხვალ სამსახურიდან გაივლის, აღარ გადადებს, ხვალ უსათუოდ, თორემ ამდენი წამება აუტანელია, ეტყვის და დამშვიდდება. ხვალ, უსათუოდ ხვალ! იქნებ დღესაც მოასწროს.

საათს დახედა, ოთხი დაწყებულიყო. რაღას მოასწრებს, ამდენ ყოყმანს, წასვლა არ სჯობდა, — სინანულით გაიფიქრა. მაგიდაზე ეწყო გადაშლილი წიგნები და ქაღალდები ხელუხლებლად. მთელი დღე ამაოდ დაკარგა, ვერაფერს თავი ვერ მოაბა. რამდენი დღე დაღამებია ასე შინაგან ჭიდილში!

საათს კვლავ დახედა. წასვლის დრო იყო. წამოდგა, ფარდა გადასწია, მზე ანათებდა, მაგრამ მაინც ყინავდა, ცივი იანვარი იდგა. სარკესთან მივიდა, ჩაიხედა, პუდრი გადაისვა სახეზე, თმები გადაივარცხნა, საფეთქელთან ორი ჭაღარა თმა შენიშნა, ბუნძგლიანი თბილი ქუდი დაიხურა, ბეწვის ქურქი ჩაიცვა. კიდევ ერთხელ შეათვალიერა თავისი თავი სარკეში, მშვიდი და აუღელვებელი სახე ჰქონდა. „საოცარია, სახეზე არასოდეს არაფერი მეტყობა“, გაიფიქრა და სახლიდან გავიდა.

* * *

სტამბის კარი მშვიდად გამოიხურა. სამსახურის გათავების დრო იყო და ქუჩაში ხალხი ირეოდა, მიიჩქაროდა, ტრანსპორტი გუგუნებდა. ქუჩას ნელა დაჰყვა. კვლავ გოგის სახე ედგა თვალწინ. ხვალ, ხვალ უსათუოდ მივა მასთან, ერთხელ და სამუდამოდ მოისვენებს, ერთხელ მაინც ნახავს და ეტყვის ყველაფერს. ეს იქნება აღსარება, რომლის თქმაც აგერ უკვე ათი წელია ვერ მოუხერხებია. ახლა უკვე საბოლოოდ გადაწყვეტილია, არავითარ შემთხვევაში უკან არ დაიხევს. ხვალ, ხვალ ისევ გაიგონებს მის ხმას. ნეტა რა ეცმება? ისევ შავ ჯემპრს ატარებს, თუ კოსტუმში, თეთრ პერანგსა და ჰალსტუხში გამოწყობილი დახვდება, მაშინ უფრო ოფიციალური მოეჩვენება, უფრო შორეული. ნეტავ ისევ შავი ჯემპრი ეცვას! უწინ საათს არ ატარებდა, ნეტავ ახლა თუ უკეთია. როგორ არ მოუხდება... ხვალ, უსათუოდ ხვალ...

ხალხი საქმიანი ნაბიჯებით მიდიოდა, ლია მშვიდად მისეირნობდა, ტკბილ ფიქრებში იყო წასული, კმაყოფილების ღიმილი სახეს უნათებდა, ყველაზე უფრო ბედნიერად გრძნობდა თავს. რა საცოდავებია ეს ადამიანები, როგორ გარბიან დაღლილნი, მობუზულნი, — ფიქრობდა თავისთვის, — მათ რა იციან რა არის დიდი სიყვარული. მათგან აშორებდა ხვალინდელი დღე. გაურკვეველი ნეტარების განცდა. იგი, ბოლოს და ბოლოს, მას ნახავდა.

ლურჯებში ჩაცმული კაცი კედელზე აფიშას აკრავდა. ლიას გაახსენდა, რომ ფრანგული ბალეტის გასტროლები უნდა დაწყებულიყო. ახლად გაკრულ სველ აფიშასთან შეჩერდა: „პარიზის „გრან ოპერის“ პრიმა“.. და ჩაკითხვა ვერც მოასწრო. ზურგსუკან ძალიან ახლობელი, ნაცნობი ხმა შემოესმა, უნებურად მიბრუნდა. მის გასწვრივ გოგიმ ფეხი შეაჩერა, ვიღაცა კაცს ემშვიდობებოდა, თითქოს განზრახ ხმამაღლა, რომ ლიას გაეგონა.

ერთი წამით მათ თვალი თვალს გაუყარეს. ლია არც კი მიესალმა, შეშინებულივით პირი იბრუნა, აფიშებს გასცდა და სწრაფად განაგრძო გზა. არა, ფეხი არ არევია, თუმცა კი მოეჩვენა თითქოს ფეხებში რაღაც ებლანდებოდა. მის სახეზე ღიმილი აღარ დაკრთოდა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

## ღამე შუამთაში

შაზე შემოუდგამთ ღვინით სავსე
მთვარის რქა,
მწვანედ ციმციმებენ ცივგომბორის
გრილი სერები;
ჰარიჯა! —
შემოსევიან შუამთას
თელაველები, გურჯაანელები,
თბილისელები.

მღერიან ენები —
ქართული,
რუსული,
საზღვარგარეთული,
შუამთა ვერ იჩივლებს მარტოობას.
ბარბაცებენ კოცონთა სინათლეს შერთული
დაჭყეტილი თვალები ავტოების.

ზარივით ჰაერში დაირხა ქარიშხლად, —
მრავალჟამიერი,
გაფრენილი არწივის თუა ფრთა...
თამადაა,
ვარსკვლავიანი გულისპირი გაიხსნა
და ალავერდთან
ალავერდი გადადის შუამთა.

## გული მეძახოდა შენი

გული მეძახოდა შენი
გაზაფხულის ქარი თუ მზე...
ჰოდა, შენი
ხოდაშენი
მაისს უზის ხელის გულზე.
მთაში თოვლი ისევ გალღვა,
მზე ჰფენს ფერად ფიანდაზებს
და ალაზნის მღვრიე ტალღად
ავზორდები მტვრიან გზაზე.
თავის საქმით გართული მზე
ცის მინდორზე დააბოტებს,
და მერცხლები მავთულებზე
წერენ გაზაფხულის ნოტებს.
მერე ფრთით ცას მოხაზავენ, —
ფრთა გაშალოს სიცოცხლემა!
და კაკლის ქვეშ ძროხასავით
ჩრდილი წევს და იცოხნება.
ვით დამიცხრობს სულის შიმშილს
მიწის სუნთქვა მაჰრისფერი,
ვაჰმე, ემაგ წამწამთ ჩრდილში
ძლივს ვფართქალებ დაჭრილ ფრთებით.
ჰოდა, შენი
ხოდაშენი
ვაზის ცრემლებს მაყრის წყლულზე.
გული მეძახოდა შენი,
გაზაფხულის ქარი თუ მზე...

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

31.7.64. [illegible]

[illegible]



# „ვისრამიანის" მეხუთე გამოცემა

„გაზაფხულისა მტირალნო ღრუბელნო, მოდით და ტირილი ჩემგან ისწავლეთ!" ვისის ამ გულდამწველ სიტყვებს საუკუნეების მანძილზე გატაცებით კითხულობდნენ და იმეორებდნენ ქართველი მკითხველების მთელი თაობები! აღმოსავლური კლასიკური ხანის სატრფიალო რომანი „ვისრამიანი" მუდამ ფართო პოპულარობით სარგებლობდა.

„ვისრამიანი" პირველად ფალაურ ენაზე დაიწერა, შემდეგ, მეთერთმეტე საუკუნეში ახალ სპარსულ ენაზე იგი უთარგმნია სპარსელ პოეტს ფახრ ად-დინ ასად გორგანის. სპარსულიდან, თამარ მეფის ეპოქაში, ქართულად გადმოუთარგმნიათ, მაგრამ დღემდე არაა ცნობილი, თუ ვინ იყო მთარგმნელი „ვისრამიანისა".

ქართულ ენაზე „ვისრამიანი" პირველად დაიბეჭდა 1884 წელს, ილია ჭავჭავაძის, ალ. სარაჯიშვილის და პ. უმიკაშვილის რედაქტორობით. ამჟამად ეს წიგნი მეხუთედ გამოსცა „ლიტერატურა და ხელოვნებამ" ალექსანდრე გვახარიას და მაგალი თოდუას რედაქციით; წიგნს დართული აქვს ამავე ავტორების საინტერესო წინასიტყვაობა, სადაც გარკვეულია „ვისრამიანის" ადგილი ძველ მხატვრულ სამიჯნურო ლიტერატურაში. ამას გარდა, წინასიტყვაობაში გადმოცემულია „ვისრამიანის" სხვადასხვა ენებზე თარგმნის ისტორია. წიგნის რედაქტორია აკად. გიორგი წერეთელი, მხატვრული გაფორმება ეკუთვნის სახალხო მხატვარს ლადო გუდიაშვილს.




# გრიგოლ აბაშიძე

## დაბადებიდან 50 წლისთავის გამო

გრიგოლ აბაშიძე ეკუთვნის სიტყვის ოსტატთა იმ რიცხვს, რომელთაც მუდამ გაბედულად შემოაქვთ ლიტერატურაში ახალი თემები, შემოჰყავთ ახალი გმირები. ეს დიდი ღირსებაა საბჭოთა ეპოქის პოეტისათვის, რომელიც მხოლოდ მაშინ დგება თავისი მოწოდების სიმაღლეზე, როცა თვალს უსწორებს ჩვენს მიმდინარე, მუდამ აღმავალ ცხოვრებას. ლევ ტოლსტოი ამბობდა: არავითარი ფასი და მნიშვნელობა არა აქვს იმ მხატვრულ ნაწარმოებს, რომელსაც რაიმე სიახლე არ მოაქვსო. ამ სიტყვებს უფრო მეტი მნიშვნელობა მიეცა ჩვენს ეპოქაში, როცა საბჭოთა მწერალი, შეიარაღებული ყველაზე მოწინავე მსოფლმხედველობით, ახალ გზებს ჰკაფავს მსოფლიო ლიტერატურაში. ამიტომ საბჭოთა მწერალისათვის სიახლის გრძნობა აუცილებელი თვისებაა.

ჩვენი აზრით, ამ სიახლის გრძნობით უხვად არის დაჯილდოებული გრ. აბაშიძე. ეს ნათლად გამოჩნდა მის პირველსავე ლექსებში, რომლებიც ოცდაათიანი წლების დასაწყისში გამოქვეყნდა. პოეტი გვიხატავდა საბჭოთა ადამიანის ახლებურ დამოკიდებულებას სამყაროსადმი, მის მგზნებარე სიყვარულს სოციალისტური სამშობლოსადმი.

განსაკუთრებით დიდი ამაგი დასდო გრ. აბაშიძემ ქართული ეპიკური პოეზიის განვითარებას. ისტორიულ პოემაში „გიორგი მეექვსე" ის გვიჩვენებს მთელი ქართველი ხალხის გადამწყვეტ შეტაკებას თემურ-ლენგის ურდოებთან; ეს პოემა 1942 წელს გამოქვეყნდა, იგი ყურადღებას იქცევს მკაფიოდ გამოკვეთილი ადამიანური სახეებით. პოეტმა შესძლო დაეხატა ქართველი ვაჟკაცის გვარამის კოლორიტული სახე, შესძლო მოენახა მის სულში ის თვისებანი, რომლებიც მის ნებისყოფას ფოლადის სიმტკიცეს და გაუტეხლობას ანიჭებენ, ისეთ სიმტკიცეს, რომ ეს კაცი არ კრთება თვით სიკვდილის მთესველისა და ხალხთა მმუსრავის — თემურ-ლენგის წინაშე.

„ძლევის ქედში", რომელიც აგრეთვე ომის წლებში გამოქვეყნდა, პოეტი კავკასიონის კალთებზე გამართული ბრძოლების ფონზე გვიხატავს იმ მოდგმის სულიერ სამყაროს, რომელმაც თავისი მკერდით გადაუღობა გზა დასავლეთიდან შემოჭრილი ბარბაროსების ურდოს, და არა მარტო გზა გადაუღობა, არამედ უკუაქცია და დაამარცხა კიდეც.

„ძლევის ქედის" პირველი ტაეპიდანვე იგრძნობა პოეტური აზრისა და გრძნობის სიმწიფე და სისავსე, ჩანს კარგი მხატვრული ხედვა და წარმოდგენის სინათლე. აი თოვლის თეთრ სამოსელში ჩაცმული მწვერვალები კავკასიონისა, მარადისობის ფიქრებში გართულნი ჩაშტერებიან ისინი შავბნელ ხეობებს. უცებ ირღვევა მათი მარადიული დუმილი, კავკასიონის კალთებზე პირველად დაიგრიალებენ ქვემეხები. ირემი წააწყდება ნაღმს. ბილიკზე ჩქარა მებრძოლებიც ჩნდებიან. მოდიან ისინი შეჭურვილნი, ბრძოლისათვის მომზადებულნი. თითქოს ქალარა კავკასიონიც იღვიძებს, და მტრის დასახვედრად ხიშტების ჯაგარს იშლის; ეს არის პირველი სურათი, რომელიც, შეიძლება ითქვას, ჰქმნის მთელი პოემის ტონს. აქ ჩანს მარად თავისუფლებისმოყვარე საქართველო. პოემის მთავარი გმირი გიორგი განზოგადებული სახეა საბჭოთა ახალგაზრდა ადამიანისა, რომელიც აღზარდა ლენინის დიდმა პარტიამ.

პოემაში „ზარზმის ზმანება" მოქმედება უკვე ომის შემდგომ პერიოდში ხდება. ამ პოემაში ყველაზე მკაფიოდ ჩანს გრ. აბაშიძის ეპიკური ნიჭიერების არსებითი მხარე, სახელდობრ ის, რომ პოეტი ძლიერ ძუნწად შეარჩევს ხოლმე ამბებსა და ეპიზოდებს სინამდვილის გადმოცემისას, ე. ი. ხატავს მხოლოდ იმ სურათებს, რომელნიც უკიდურესად აუცილებელნი და საჭირონი არიან. აქედანაა კომპოზიციის სიმწყობრე და მთლიანობა და ეს მით უფრო აღსანიშნავია, რომ საბჭოთა პოეტურ ეპოსში ამ მხარეს ხშირად ნაკლებ ყურადღებას აქცევენ. ახალი პოემა უნდა იყოს ისევე გამართული კომპოზიციურად, ისევე მტკიცედ შეკრული ერთ მხატვრულ მთლიანობად, როგორც იყო აკაკი წერეთლისა და ვაჟა-ფშაველას პოემები. ამ ახალი პოემისათვის ბრძოლის გზაზე „ზარზმის ზმანება" აუცილებლად მნიშვნელოვან ნაბიჯს წარმოადგენს. საყანრო სურათები და პეიზაჟები აქ ზუსტად არის გამიზნული იმისათვის, რათა გადმოგვცეს დედააზრი ნაწარმოებისა: ქართველი დედის სახე ომგადახდილი და ახალი აღორძინების გზაზე დამდგარი საქართველოს ფონზე.

ბოლო წლების მანძილზე გამოქვეყნდა გრ. აბაშიძის ორი ვრცელი ისტორიული რომანი „ლაშარელა" და „დიდი ღამე"; აქაც, ისევე როგორც ლირიკის სფეროში, მწერალმა შესძლო ახალი სახეებით და ახალი ფერებით გაემდიდრებინა თანამედროვე ქართული საბჭოთა ლიტერატურა. თავისი აქტუალობით და მძაფრი ახლებური ჟღერით ყურადღებას იქცევს გრ. აბაშიძის პიესა „მოგზაურობა სამ დროში", რომლის დედააზრი ასეთია: ოსტატის ცხოვრებისა და შემოქმედების აზრი ის არის, რომ იგი მთელი ძალღონით, ენერგიის დაუზოგავად ემსახურებოდეს თავის თანამედროვეობას, თავის ხალხს, თავის დროს — უამისოდ მის სიცოცხლეს აზრი ეკარგება.

თვითონ გრ. აბაშიძის მთელი ცხოვრება შესანიშნავი ილუსტრაციაა ამ დედააზრისა — პოეტი მუდამ მოწინავეთა შორის დგას და თავის სამწერლო და მოქალაქეობრივი ღვაწლით ემსახურება ჩვენი ახალი ცხოვრების, ახალი საბჭოთა კულტურის მშენებლობას.

გ. ნატროშვილი

# [illegible]

ლალა გორდაძე

ნარკვევი

ელვის სისწრაფით მოჯარდნენ ღრუბლები. ჰაერი დაიხუთა, ერთხანს იყო ასე, მერე იჭექ-იქუხა და, თითქოს ცამ პირი გაიხსნაო, თქეში წამოვიდა.

მთელ ღამეს კოკისპირულად წვიმდა.

გათენების ხანს გადაიწმინდა და ცაზე ნამგალა მთვარე წამოიმართა.

თინამ ვეღარ მოისვენა საწოლში, მრწყველებზე ფიქრი აეკვიატა: ვაი, თუ გვიღალატეს ბიჭებმა და წყალი მიგდებული მიატოვესო ვენახში, ვაი თუ... (სეტყვაც იყოო, გაიფიქრა, მაგრამ ხმამაღლა თქმა ვეღარ გაბედა).

რაკი ცისიერი გაირღვა და ღამე გაფერმკრთალდა, ძილგამკრთალი ქალიშვილი ფრთხილად წამოდგა საწოლიდან...

კარის ჭრიალზე მამიდას გაეღვიძა.

— სად მიხვალ შვილო, ამ უთენია?.. ჯერ ავტობუსებიც არ იქნება... ფეხით ხომ არ აპირებ წასვლას!

— საბარგო მანქანა შემხვდება რამე...

— გადაგიყოლა ვენახმა, ნეტავ ამდენს გათხოვებაზე და ქმარ-შვილის მოკიდებაზე ფიქრობდე! — გაადევნა ჩვეულებრივი საყვედური მამიდამ.

— შენ რა იცი, მამიდა, საქვეყნო დოვლათია იმ ვაზში...

— ქმარ-შვილიც ქვეყნის დოვლათია რომ იცოდე!

ჩქარი ნაბიჯებით დასტოვა ეზო, ჭიშკარი ფრთხილად მიიხურა და ქუჩაში გამოვიდა.

— ფეხით ხომ არ აპირებ წასვლასო...—ღიმილი მოერია, — ვითომ რაო, გამიჭირდება, მამიდაჩემო? რას ნიშნავს რომ მოხუცდი და შენი საზომით ზომავ?..

კახეთის გზატკეცილიდან მარცხნივ გადაუხვია, ვარკეთილის საბჭოთა მეურნეობის ვენახებისაკენ. აქ უფრო იგრძნო დილის ნიავის შემოტევა. ჰაერი მკაცრი და ნოტიო ეჩვენა.

დამპალოს გზაზე აქეთ-იქით კოხტად ჩამწკრივებული კაკლისა და მარადმწვანე მცენარეების შრიალი მიაცილებდა. მათ ძირებთან გუბეები დაუყენებია წუხანდელ თქეშს.

სეტყვა მაინც თუ არ ყოფილა...

შეჩერდა. დიდხანს აკვირდებოდა ფოთლებს. უსეტყვოდ გადავრჩენილვართო! — ხმამაღლა უნდოდა ეყვირა გახარებულს. თითქმის სირბილით ჩავიდა ვენახების დასაწყისამდე.

— რამ გაგაჩინა ამ უთენია აქ?! — ეუბნებოდა მეურნეობის დირექტორი იოკიმე კავილაძე და სახეზე ღიმილს ვერ ფარავდა.

— თქვენ, თქვენ პატივცემულო იოკიმე?

იქვე თავშეყრილ, მუხლებს ზემოთ შარვლებაკეცილ მრწყველებს რომ მოავლო თვალი, თინა მაშინვე მიხვდა რაშიც იყო საქმე, მაგრამ მეურნეობის მეორე აგროგანყოფილების უფროსმა ვანო გონაშვილმა მაინც არ დააყოვნა:

— იმარჯვეს ჩვენმა ბიჭებმა. წუხელ, როგორც კი ჰაერი ოდნავ შეიცვალა, მაშინვე გადაუკეტიათ სარწყავები. მიმხვდარან, რომ სასიკეთო პირი არ უჩანდა ამინდს.

— მე კი მთელ ღამეს...

— იმიტომაც გაჩნდი ამ უთენია აქ... ჰაი, დედასა, რა ცუდად გიცვნივართ.

მრწყველებიც აქვე იყვნენ. წვიმაში გალუმპულებს პერანგები გაეხადათ და გასაშრობად ვენახების სარებზე გაეფინათ.

— კარგია უსეტყვოდ გადავრჩით! — თქვა თინამ, რომელიც მთელი ამ ხნის განმავლობაში ვაზის ფოთლებს ჩაჰკირკიტებდა, — ბორდოს ხსნარი კი მთლად ჩამოურეცხავს წვიმას.

— არა, ბიძია, სეტყვას აწი ჩვენთან ხელი არა აქვს... ცაში ახლა ჩვენი ღმერთები დანავარდობენ! — ღიმილით თქვა დირექტორმა და დაუმატა: შენ კი, ჩემო შვილო, ზოია ტაბატაძესაც უთხარი და ამ საღამოს ორივენი მოდით კანტორაში, ორდერები მიიღეთ... თქვენზე ალალია მარტო ბინა კი არა და... (კარგი ქმრებიცო, უნდოდა ეთქვა, მაგრამ თავი შეიკავა, ახლახან ძმაგარდაცვლილს ჯერ შავები არ გაუხდია და გულის ჭრილობა არ გავუხსნაო, გაიფიქრა) — არ ვიცი როდის სჭამთ და სვამთ, ისვენებთ და იძინებთ. ჰოდა, გქონდეთ საკუთარი გასაღები!

— პატივცემულო იოკიმე... — რაღაც უნდოდა ეთქვა თინას, მაგრამ დირექტორმა დაასწრო ისევ.

— არ უნდა ახლა მაგას არაფერი. ასეა გადაწყვეტილი... საღამოს კანტორაში მოხვალთ!..

უხვად ეფინებოდა დილის მზე ზურმუხტისფერ ზვრებს.

ზოიას ნაკვეთებთან მიეფარა თვალს დირექტორი, მრწყველებმა სოფლისაკენ მიმავალ გზაზე გადაუხვიეს, ვანოც მათ გაჰყვა. თინა ფარდულში შევიდა ტანსაცმლის გამოსაცვლელად.

თინას ბავშვობიდანვე უყვარდა ვაზი. საათობით იჯდა ხოლმე ვენახში (ბებიასთან რომ ჩავიდოდა სოფელში),— ვენაცვალე, ყურძენი უყვარსო ჩემს გოგოს, ამბობდა ბებია. ის კი იჯდა და აკვირდებოდა, სწავლობდა ვაზს, ოცნებობდა მომავალზე.

ჯერ ისევ ქუთაისის ქალთა მე-7 საშუალო სკოლის მოსწავლე თინა აბზიანიძე ბიოლოგიის წრეში თემას ამუშავებს „იმერეთის ვაზი".

მოსწავლე გოგონას მოხსენებამ მოწონება და ფრიადი დაიმსახურა. სასკოლო კედლის გაზეთშიც დასწერეს ამის შესახებ.

თითქოს თინას მომავლის გზა ნათელი და გარკვეული იყო, მაგრამ ყველასათვის მოულოდნელად საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი გახდა.

და იყო საუკეთესო სტუდენტიც...

ერთ მშვენიერ შემოდგომაზე იგი ამხანაგებმა კახეთში დაჰპატიჟეს სართვლოდ.

რიონის პირას გაზრდილ ქალიშვილზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ოქროსფერებში გახვეულმა კახეთმა და მწვანეში ჩაფლულმა თვალწარმტაცმა ალაზნის ველმა, ჩაქარვებულმა რქაწითელმა და მანავურმა მწვანემ, ბუდეშურმა და ქინძმარაულმა და...

მშობლებს გაოცებისაგან თვალები გაუფართოვდათ — 1956 წლის ზაფხულში თინამ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მებაღე-მევენახეობის ფაკულტეტის დამთავრების პირველი ხარისხის დიპლომი ჩამოიტანა თბილისიდან.

და აი, თინა უკვე აგრონომია, ნამდვილი აგრონომი...

— ვაზებში გამიშვითო, — ითხოვდა სოფლის მეურნეობის სამინისტროს კადრების განყოფილებაში.

და გაუშვეს თევზი წყალში... გალაღდა, გაიხარა... მალე განყოფილების მმართველად დააწინაურეს. 104 ჰექტარი მსხმოიარე და ახალშენი ვაზი ჩააბარეს. ყველა სამუშაო აგროვადებში ჩაატარა. ეს ციცქნა გოგო ვაჟკაცებს უტოლდება. 30-40 ცენტნერი ყურძნის მიღებაა ჰექტარზე გათვალისწინებული, მის უბანზე კი 45-50 ცენტნერს იღებენ ჰექტარზე.

მერე პირველი ბრიგადა ჩააბარეს თინას.

ბევრი მოჰყავს განცვიფრებაში მის დაუცხრომელ ენერგიას; შეუძლია მთელ დღეს იყოს ბრიგადაში, ესაუბროს მუშებს მიმდინარე სამუშაოების შესახებ, ახალ მიღწევებზე სოფლის მეურნეობაში, ჩვენი პარტიისა და მთავრობის სამშვიდობო პოლიტიკაზე. საოცარია როდისღა ასწრებს ამდენის წაკითხვას, შესწავლას!

— ეეჰ, ჭრაქი! ჭრაქმა არ გაიჭაჭანოს ვენახში!

არა და ხშირი წვიმები დაიჭირა. ვერ იქნა და ვერ შეარჩინა ვაზის ფოთოლს ბორდოს ხსნარი. ერთ დღეს მაინც აცალოს. გამოწერილი ხომ არ არის ყოველ საღამოს წვიმა...

და ღამეები კვლავ და კვლავ თენდება სპეციალური ლიტერატურის, ჟურნალ-გაზეთების კითხვაში, მაგრამ ამაოდ...

დაიცა, დაიცა... ბაბუაჩემო, შენ გენაცვალე, ბაბუ! შენ არ იყავი რომ შაბიამანს დაწოლილი ასხურებდი, ნახევარზე მეტი ზედ რომ გესხურებოდა, ჰოდა...

დიდხანს ისაუბრეს იმ საღამოს მეურნეობის მთავარმა აგრონომმა შოთა მახარაშვილმა და თინა აბზიანიძემ, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. მაშინ თინა ზოიასთან წავიდა.

გაიხარა მეგობარმა, სუფრაც აივანზე გაშალა.

ჩაის შეექცეოდნენ დინჯად. კვლავ მოიქუფრა ზეცამ პირი.

— ვერ იქნა და ვერ გამოიდარა, უნდა ვიღონოთ რამე, თორემ ჭრაქი რომ გაგვიჩნდეს, თავი მოგვეჭრება საქვეყნოდ, ეს წვიმა კი არ გვაცლის...

— არ გვაცლის და ჩვენც ნუ ვაცლით...

— მერე, როდემდე ასე.

— აბა, რა გინდა, მივატოვოთ თუ... — გაცხარდა ზოია.

— არა, იქნებ აჯობებდა გოგირდის შეფრქვევა და ბორდოს ხსნარის შესხურება რომ ქვემოდან მოგვეხდინა, წვიმა ვეღარ ჩამორეცხავს და...

ზოიას კიდეც მოეწონა თინას აზრი, მაგრამ მაინც არ დაეთანხმა,—არ მოხერხდება, დიდი ფართობები გვაქვსო.

მაინც გააკეთა თინამ განზრახული.

მეორე დღეს ალექსი წამალაშვილთან და ვალიკო ბექაურთან ერთად ტრიალებდა მთელ დღეს. ისინი აპარატის ამობრუნებული თავით ასხურებდნენ ბორდოს ხსნარს ვენახში.

იმ ღამესაც მოწვიმა ჩვეულებრივად, მაგრამ წამალი ვეღარ ჩამორეცხა. გაიმარჯვა თინამ.

ნაწვიმარზე ზვრებს შორის ატალახებულ გზაზე შორიდან ძახილით მორბოდა ზოია, თან ბრტყელ-ბრტყელ სიპ ტალახს ისროდა დასველებული ფეხსაცმელებით.

სულს ძლივს ითქვამდა, თინას რომ მოუახლოვდა.

— ამიხსენი თუ და ხარ, როგორ გააკეთე!

— წამოდი, გიჩვენებ! — უთხრა თინამ და თვალი ჩაუკრა მეგობარს, რაც იმას ნიშნავდა, აკი, არ მეთანხმებოდიო!

გვიან ღამემდე მუშაობდნენ მეგობრები და მხოლოდ მაშინ გამოვიდნენ ვენახებიდან, ვარკეთილის კამკამა ლურჯ ცაზე მსხვილ-მსხვილი ვარსკვლავები რომ აენთნენ.

საუბრით გამოვიდნენ ზვრების თავში, გაიხსენეს სტუდენტობის წლები, მეგობრები.

ბევრი კარგი გვსმენია თანამოსაქმეებისაგან ქართველი აგრონომი ქალიშვილის შესახებ, ბევრი კარგი და...

და ვეწვიეთ. საკუთარი თვალით ვნახეთ მისი საქმიანობა.

45 ჰექტარზე მეტი ფართობი უჭირავს პირველი ბრიგადის ვენახებს, რომელსაც თინა აბზიანიძე დღედაღამ თავს დასტრიალებს.

მან იცის, რომ კომუნისტი მუდამ ყველაზე წინ უნდა იყოს!

დიახ, მუდამ მოწინავეა თინა. თავზე ფარფლებიანი ქუდით, ხამი ხელთათმანებით, ვენახებში ათენ-აღამებს, თვითეულ ძირ ვაზთან მიდის და მკურნალის თვალით დასცქერის თვითეულ ყლორტს, მტევანს.

და ვაზიც უმართლებს შრომას და ამაგს ამ გამრჯე და კეთილ ადამიანს.



ზოია ტაბატაძე და თინა აბზიანიძე ვენახში.



## კონსტანტინე გამსახურდია

ჩვენ გვაინტერესებს საბჭოური სომხეთის ხვალე, მიტომაც გვეჩქარება სინთეტიკური კაუჩუკის ქარხანა ვნახოთ.

ძალიან რთულია ჩვენი ეპოქა. კვლავ წამოიჭრა ჩვენს წინაშე უნივერსალურად განსწავლული ადამიანის პრობლემა. ლეონარდო და-ვინჩის დროს ეს შესაძლებელიც იყო და აუცილებელიც. ახლა ყოველი დარგი ისე გართულდა და გაღრმავდა, ერთი სიცოცხლე მხოლოდ შენს დარგში რიგიანად გასარკვევად არ გეყოფა. მთელი შენი სიცოცხლე პოეტიკისა, ესთეტიკისა და ლიტერატურის გამო გიფიქრია და მოდი და თავი გაართვი ისეთი უშველებელი გიგანტის მექანიზმს, როგორსაც ეს სინთეტიკური კაუჩუკის ქარხანა წარმოადგენს.

კაუჩუკის ქარხნის დირექტორი დიდი ენთუზიასტი ჩანს და თავის საქმეზე შეყვარებული კაცი.

მე წინასწარ ბოდიში მოვიხადე, ვაი თუ გაგაცდინოთ-მეთქი, თანაც მორცხვად დავსძინე, კაუჩუკის საქმეებში სრული იგნორანტი ვარ-მეთქი.

ცოდვა ყოველთვის გამხელილი სჯობია, რას იზამ კაცი.

„ნუ გეშინიათ, ყოველივეს მარტივად აგიხსნით, არც მე ვარ მაინცდამაინც გამოცდილი თქვენი პოეზიის ამბებში“, მანუგეშებს დირექტორი.

ადგა, კარადის კარი გამოაღო, ბზიალა, სათამაშოს დარი ნივთები გადმოალაგა, რბილი რეზინის სამელნე, ცალკიდეზე გალაქული თუნუქის ნაჭერი, აგრეთვე გალაქული ხის ნაჭრები, ბარე სამი.

„აი, ბატონო კონსტანტინე, ეს ჩვენი ნაწარმია. რბილი კაუჩუკი, აგერ კაუჩუკის სითხით გასიპული ნაჭრები. თქვენ ალბათ იცით, ჰოლანდია და ინგლისია კაუჩუკის მსოფლიო ბაზრის პატრონები.

თქვენ მოგეხსენებათ, საბჭოთა კავშირს მრავალი ასეული ათასი ტონა კაუჩუკი სჭირია მანქანებისათვის და წარმოების სხვა შეჭურვილებათათვის.

ინგლისს შავი მუშახელის შემწეობით კაუჩუკი ძალიან იაფად უჯდება. ჩვენ ამ მხრივ მას ვერ შევედრებით. საჭირო გახდა ჩვენ შეგვექმნა ისეთი ქარხანა, რომელიც კაუჩუკის ექვივალენტს მოგვცემდა. აი სწორედ ამისთვის ვაშენებთ ამ კომბინატს.

ჩვენ ხელს გვიწყობს ერევნის მახლობლად მდებარე კიროვანის ბუდობები და იაფი ელექტროენერგია“.

ჩვენ ავიყვანეთ დირექტორის „ფორდი“ და შემოვუარეთ გიგანტს.

450 ჰექტარზე გაჭიმულა გიგანტი, თექვსმეტი კილომეტრის მანძილზე.

პარალელურად კეთდება შოსეები, რკინიგზები და ბინები. სამ საათნახევრის განმავლობაში დაგვყვება დირექტორი და ვათვალიერებთ. დიდი ფანტაზია უნდა ჰქონდეს ადამიანს, დეტალურად რომ წარმოიდგინო, თუ რა კეთდება ამ უშველებელ ხარაჩოების ტყით გარსმოვლებულ გიგანტის ფართობზე.

რელსები, ნამორები, ლოდები, მილები, ქვაბები, კაბელები, ქვიშის, აგურის, ტუფის ყორეები, მანქანები, მანქანების ნაწილები.

დირექტორი მიგვიძღვის წინ ენერგიული ნაბიჯით, ავდივართ, ჩავდივართ, ისევ ავდივართ, სჭედენ, თლიან, ხერხავენ, ქლიბავენ, ბურღავენ, სცემენ ჩაქუჩსა და უროს, ეგერ მანქანა მიუშვიათ და გრუხუნებს მოტორი, ეგერ აულაყუდა ელევატორებს უშველებელ ვარხვებსავით დაუბჩენიათ ხახა, რაზრაზით, რახრახით იყრება ქვიშა და ხრეში და ისევ სჭედენ, ქლიბავენ, ხერხავენ, ბურღავენ და ათი ათასი მუშის ხელი ებრძვის ამ ქაოტიურ უწესრიგობას, ირგვლივ დამყარებულს; ავდივართ, შევცქერით, ვუყურებთ, ისევ ჩამოვდივართ და ისევ ავდივართ.

აჰა, აგერ ერთი კორპუსი მოუთავებიათ, დირექტორი გვაჩვენებს უკვე დადგმულ დიზელებს, ღუმელებს, სადნობებსა და ეს გაკრიალებული ჰკვიანი მანქანები იმედს იძლევიან, რომ ასეთივე წესრიგი იქნება მალე მთელი ამ უზარმაზარი გიგანტის ტერიტორიაზე.

„ახლა ჩვენი მუშების საცხოვრებელი ბინები, კლუბები და ბაგები გაჩვენოთ,“ გვეუბნება დირექტორი.

გაკრიალებული ოთახები, იდეალური სისუფთავე — იდეალური წესრიგი. ესეც ბავშვების ბაგები. პატარებს დასვენების საათი ჰქონდათ. ეძინათ პაწიებს საწოლებზე გაშოლტილთ და ესიზმრებოდათ ალბათ ამ საუცხოოდ მოვლილ პაწია ბაღლებს ბაგების კედლებზე დახატული ჩიტუნები...

* * *

საღამოს, სომხეთის მთავრობის თავმჯდომარის ტერ-გაბრიელიანის ოჯახში მიმიწვიეს.

ტერ-გაბრიელიანი შესანიშნავი მოსაუბრეა. ტკბილი, თავმდაბალი, თავაზიანი და უაღრესად კულტურული; ჩვენს ბოლშევიკებს შორის იგი აბელ ენუქიძეს მაგონებს ძლიერ.

მე ისევ თამანიანი მოვიგონე, თამანიანი და სომხური ხუროთმოძღვრების ამბები. ამხანაგმა ტერ-გაბრიელიანმა დამიმოწმა, რომ თამანიანს თავდაპირველად ძალიან გაუჭირვესო საქმე.

„მე დარწმუნებული ვარ ამხანაგო სააკ, სომხეთისა და საქართველოს ხუროთმოძღვრებას საფსებით განსაკუთრებული ყურადღებით მოექცევა საბჭოური მთავრობა; არც ერთს დიდ ავტორიტეტს ბოლშევიზმის თეორეტიკოსთა შორის არსად დაუწერია, რომ ჩვენი მომავალი მშენებლობა ა. წ. ამერიკულ „კონსტრუქტივისტული“ სტილით უნდა წავიდესო. ამერიკის კონსერვები გამიგონია, ამხანაგო სააკ, და სტილის რა მოგახსენოთ! გარდა ამისა, საქართველოს და სომხეთის ხუროთმოძღვარნი თუ ვიწრო კარ-ფანჯრებს უკეთებდნენ სასახლეებს და ეკლესიებს, ეს იმიტომ ხდებოდა, რომ ისინი ჩვენს კლიმატურ პირობებს უწევდნენ ანგარიშს.

ვრცელფანჯრიანი სახლები ცენტრალურ ევროპაში, რუსეთსა და უკრაინაში თუ გამოდგება. ჩვენში მზე საკმაოზე მეტია.

გარდა ამისა, ჩვენ უკვე გავიარეთ გაჭირვების წლები, ახლა ხალხის ესთეტიურ აღზრდაზე უნდა ვიფიქროთ, კმარა ეს ნაცრისფერი, ყრუ კედლები, უსამკაულო კარ-ფანჯარა, ურიკულო აივანი; ჩუქურთმით ამკობდა ჩვენი გლეხი თავის სახლის ფასადსა და აივანს, ისევე როგორც თავის პაჭიჭებს ფერადი შიბებით. არა მარტო ინჟინრები, ჩვენი მხატვრებიც დასატუქსავია. დახედეთ როგორ უშნოდ ხატავდნენ ისინი დამკვრელ და გამომგონებელ მუშებს, რა უშნო ძეგლებს აგებდნენ ჩვენს მოედნებზე მოქანდაკენი. მოვიდა უფრო დაოსტატებული, უფრო კულტურული თაობა და აღორძინდა სომხეთის, საქართველოს დიდი მხატვრობა და ხუროთმოძღვრება“.

ამხანაგი სააკ მიამბობს თუ როგორი ყურადღებით ექცევა სომხეთის მთავრობა ნოხების კეთებას. მთელი სახელოსნოები ჰქონიათ მოწყობილი, მთელი ქვეყნის სხვადასხვა კიდიდან მოუგროვებიათ სომეხი ოსტატები და ამ საქმეს მყარი მომავალი უჩანს.

„განა მარტო ნოხების საქმე, ამხანაგო სააკ, საცაა გადავა ჩვენებური შალის ხელობა, ჩვენ თვალწინ გადაეგნენ თბილისელი ოქრომჭედლები, მეუნაგირეები, ხეზე მომუშავენი, მძერწავები, საქართველოში სავსებით გადავარდა ოქრომკედით ქსოვა, მალათინით ქარგვა... ყური მოჰკარი საქართველოს მთავრობა აპირებსო ამ მივიწყებულ ხელობათა აღორძინებას და ეს სასიხარულოა.

განა ვის ავნებს ქართველმა მუშამ ძველ ქართული ხელოვნებით მოქარგული ბლუზა ან ახალოხი ატაროს, სომეხი გლეხისა და მუშის ქალმა ლამაზი ყაითნით შემკული პერანგი და კაბა ჩაიცვას.

ამ მხრით, უნდა მოგახსენოთ, უკრაინის მთავრობის მაგალითი მისაბაძია. მე ვნახე კიევში ასეთი სახელოსნოები და უკრაინული შინამრეწველობის ნიმუშები თურმე საექსპორტო საქონლად უქცევიათ“.

გვიან ღამემდის ვისაუბრეთ სომხეთისა და საქართველოს წარსულის, აწმყოს და მომავლისათვის.

„როგორც სახელოვანი მამის შვილს გაცილებით მეტი ენერგიის დახარჯვა მოუნდება, რათა მამას გაუსწროს და მტერ-მოყვარეს არ ათქმევინოს, ესაო და კარგი მამის ჯაბანი შვილიაო, ისე ისტორიულ ერებს, მე მგონია ამხანაგო სააკ, ერთი რამ ურთულებს საქმეს. ახალი დროის უებრო დოღში, მათგან მეტს მოითხოვენ; მეტს მოითხოვს უთუოდ ახალი დრო სომხეთისა და საქართველოსაგანაც, რადგან ორი ათასი წელი გადმოგვცქერის არარატისა და ყაზბეგის მწვერვალებიდან“.

---

* დასასრული. იხ. „დროშა“, № 8.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა



# გურამ თიკანაძე



რაოდენად დიდია ფოტოს მნიშვნელობა ჩვენს ცხოვრებაში, ეს საყოველთაოდ ცნობილია; ფოტოსურათი ხშირად დოკუმენტია ეპოქისა, ფურცელია მატიანისა, პროპაგანდის უძლიერესი იარაღია. და, ამას გარდა, ფოტო ჩვენს დროში უკვე სრულუფლებიან ხელოვნებად, მხატვრულ შემოქმედებად იქცა. მთელ მსოფლიოში მას უკვე ჰყავს თავისი გამოჩენილი ოსტატები, რომელთა ნამუშევრები ულრმეს ესთეტიკურ სიხარულს ანიჭებენ მაყურებელს. ამ ოსტატებს თავიანთი შემოქმედებითი ინდივიდუალობა აქვთ, ორიგინალური მიდგომა სამყაროსადმი ე. ი. ის უძვირფასესი თვისება, რომლითაც მხატვრის თვალი გამოირჩევა.

ქართული ფოტოხელოვნების ოსტატთა შორის ერთი უპირველესი ადგილი ეჭირა გურამ თიკანაძეს. ფართო იყო მისი შემოქმედების სარბიელი, მას იცნობდნენ არა მარტო ჩვენში, არამედ საზღვარგარეთაც. მისი ეტიუდები იბეჭდებოდა პოლონური, ჩეხური თუ გერმანული ჟურნალების ფურცლებზე. იტალიაში, მხატვრული ფოტოს საერთაშორისო გამოფენაზე, მან საპატიო პრემია დაიმსახურა.

რა გზით აღწევდა ახალგაზრდა ოსტატი ამ წარმატებებს? მისი ფოტოეტიუდები ხან საუკეთესო ლირიკულ ლექსებს ჰგავდნენ, ხანაც პატარა მოთხრობებს, რომლებიც მუდამ მეტყველებდნენ ავტორის მაღალსა და ფაქიზ გემოვნებაზე. აი, თუნდაც აქ გამოქვეყნებული ეტიუდები: ერთისათვის ავტორს „მთანი მაღალნი“ უწოდებია; დაჰხედავთ მას და ფიქრით უნებურად გადადიხართ ვაჟას სამყაროში; ასევე საინტერესოა „აყვავებული მდელო“, საიდანაც ერთბაშად შემოგანათებენ თვალებში ულამაზესი ალპიური ყვავილები.

აქვეა „დედამ დაიგვიანა“ — ნახირი საძოვრიდან ჯერ არ მოუბრუნებიათ და ხბორები აქეთ-იქით აწყდებიან, დედებს ელიან... მთამსვლელების ცხოვრებაზე მოგვითხრობს ეტიუდი „არაფერი დაგავიწყდეთ, ბიჭებო!“ ალპინისტები უკვე ბარგსა ჰკრავენ, მზად არიან ძნელი ლაშქრობისათვის.

ერთი ასეთი ლაშქრობის დროს გურამი უკან ველარ დაბრუნდა. ეს იყო ამ ერთი წლის წინ.

ჟურნალის ამ ნომერში გამოქვეყნებული სურათები გურამ თიკანაძის უკანასკნელი ნამუშევრების სერიას ეკუთვნის.

დედამ დაიგვიანა...



ეროვნული ბიბლიოთეკა

— არაფერი დაგავიწყდეთ, ბიჭებო!

პატრონი დიდი ხანია ბარში ცხოვრობს.



მთანი მაღალნი.



აყვავებული მდელო.





რ. ნიფონტოვა.



ი. ცარიოვი.

ც. ზარდაძე

მოსკოვის მცირე თეატრის მსახიობები

ვ. დორონინი.



ი. პოდგორნი.



იოსებ ნონეშვილი

# იდგა კოლუმბის ძეგლთან






## I

ერთ დროს მისი იყო
ეს მთა და ბარი,
ეს ტყე,
ეს ველი,
ეს იალაღი.
თვალებში მზე ედგა,
მუხლებში — ქარი,
უბელო ქარაშოტს მოსდებდა ალვირს.
ჰქონდა
სულ პატარა
ფორთოხლის ბაღი,
მაგრამ მისი იყო სამშობლო ვრცელი,
ჰქონდა
სულ პატარა
პალმების თაღი,
მაგრამ მისი იყო ცის ლურჯი ჭერიც.
ღეჭავდა თამბაქოს,
უკრავდა დაფდაფს,
ცეკვავდა ცეცხლთან ცეცხლოვან ცეკვებს.
ხან ზღვის ლურჯ ტალღებში
შლიდა
თეთრ აფრაც,
ხან ჯოგს უმარჯვებდა
ბალახს და ნეკერს.
ხან
ქამანდს
ყიჟინით სტყორცნიდა რემას,
ხან
ისარს ესროდა
ჯუნგლებში ნადირს,
ბრძოლაში იცოდა
მოძმეთა შველა,
შრომაში იცოდა
მიწვევა ნადის.
თავს ედგა
თავისი მფარველი კერპი,
ლოცვით და გუნდრუკით
სწირავდა ზვარაკს.
იყო გულგოროზი,
ჯიუტი,
კერპი,
დუშმანს ატყდებოდა
ზავთად და ზარად.
ვაჟკაცი იყო და
უყვარდა
ძლიერ,
პატარა გოგონა
უყვარდა მაშინ.
სულ პირველ ბილილებს —
გვირილებს,
იებს,
ჩურჩულით
ამბორით
უწნავდა
თმაში.
ძველ გმირთა ძეგლებად
მიაჩნდა მთები
და სულთა სავანედ —
კამკამა ზეცა.
თავზე სირაქლემის
ეკეთა ფრთები,
ტალავრად ყარყუმის
ტყავჯუბა ეცვა.
რომ არ მიმქრალიყო
კერაზე ღველფი,
ცხრა მეს და ცხრა ასულს
უთლიდა აკვანს.
უფროს ვაჟს საავდრო
ღრუბელი ერქვა,
გოგონას ეძახდა:
შორეულ ვარსკვლავს.
ჰფიცავდა,
იცავდა მშობლიურ მიწას,
აჰყავდა ტაძრები,
გაჰყავდა გზები.
ჰფიცავდა,
იცავდა მშობლიურ მიწას,
იქ ეგულებოდა
წინაპრის ძვლები.
გულიც და თვალებიც
ჰქონდა მზით სავსე,
ჰყოფნიდა თავისი მიწაც და წყალიც,
ბედს და უბედობას
უწერდა ცაზე
მთვარე გაბადრული,
ვარსკვლავი მცხრალი.
მზის დიდი საათიც რეკავდა ციდან,
დარი
თუ
ავდარი,
სითბო
თუ
თოში...
სხეულს იღებავდა
ბრძოლის წინ წითლად
და ფიცხლად,
გულფიცხად იბრძოდა ომში.



## II

მაგრამ ეჰ, სად იყო
და სადღა არა,
ბედის,
ავბედითის ბრალია იქნებ.
ცაზე მზე აენთო სისხლიან ფარად
და მტერი გრიალით
გადმოჰყვა ზვირთებს.
არასდროს,
არც ცხადად,
არცარა სიზმრად,
არასდროს
ენახა თვალით ეს ხალხი.
ქარსა და ქარაშოტს
ამოჰყვნენ ზღვიდან
ბრჭყვიალა ბალთებით,
პირქუში სახით.
მათ გულზე ჯვარი
და ხელთ ხმალი
ჰქონდათ,
უღმერთოდ გაჟუჟეს მრავალი ტომი.
დალახვრეს,
დაამხეს ვაჟკაცთა მოდგმა,
მიუვალ მთებამდე
მისდევდნენ ლტოლვილთ.
თეთრები დარახტულ ხომალდებს მოჰყვნენ
და თეთრი ხელებით
შავ სიკვდილს თესდნენ.
ჰოი, სისხლიანი ამბავი ესე
რა ხელმა აღწეროს,
რა ენა მოჰყვეს.



## III

შემდეგ,
საუკუნე დაიძრა მძიმედ
ცეცხლით და
მახვილით,
ძახილით, სახრით...
თავი შეაფარა უღრანს და მღვიმეს
ტყეში
ტყიურებთან დაიდგა სახლი,
შორიდან ესმოდა
ეზოს და ფუძეს
როგორ დაეხვივნენ ზარით და ზავთით.
ველ-მინდვრებს დოვლათი
გააძრეს უცებ,
როგორც მათ მაცხოვარს
გააძრეს კვართი.
ციხეებს,
დილეგებს,
სახლებს
და
ქარხნებს
აგებდნენ,
აღებდნენ ცის მეცხრე კარებს.
შიგ სულშიც ჩაუდგნენ
და ჩაესახლენ
და უცხოდ უქციეს
მშობელი მხარე.
ცალკე მიუღობეს
პატარა ფშანი,
ხევი და ხრიოკი გორმახი მცირე...
და როგორც კოშმარი
სიზმარი შავი
ჟამი ავბედითი
გაგრძელდა ძლიერ.



## IV

... ახლა კი
ზღვა ხალხი ღელავდა ირგვლივ,
ღელავდა
სხვა ხალხი
მღვრიედ და მკაცრად
და ხალხის ტალღებში მოსჩანდა იგი,
როგორც ჩაძირული
ხომალდის ანძა.
ვაითუ ეს არის
თავი და ბოლო...
გულს შავი ნაღველი
ეყრება შანთად.
სულ უკანასკნელი
წვეთია
მხოლოდ,
მალე ეს მღვრიე ზღვა
ჩაყლაპავს, შთანთქავს.
ვაითუ ეს არის
თავი და ბოლო...
არყოფნის აჩრდილი
მოსულა კართან.
სულ უკანასკნელი
წუთია
მხოლოდ,
მალე დავიწყების
დაფარავს კალთა.
ვაითუ ეს არის
თავი და ბოლო...
ხსოვნას მოედება ხავსი და ნისლი,
ვაგლახ...
მუზეუმში დარჩება მხოლოდ,
როგორც ექსპონატი,
ტყავჯუბა მისი.



## V

... ხალხი კი,
ზღვა ხალხი
ღელავდა ირგვლივ.
ღელავდა სხვა ხალხი
მღვრიედ და მკაცრად
და ხალხის ტალღებში
მოჩანდა იგი,
როგორც ჩაძირული ხომალდის ანძა.
გული საგულეში
ბორგავდა კენტად,
ცაზე მზის საათიც გულივით ძგერდა.
რა იყო?
სად იყო?
ვინ იყო ნეტავ?

... ის იდგა ქრისტეფორ კოლუმბის ძეგლთან.

ოთარ დემეტრაშვილი

# ლილი

ნამდვილი ამბავი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცნობი კაცის სურათი

ამძებრო განყოფილების მუშაკებმა იმავე დღეს დაადგინეს, რომ ლილი ჯაყელი რვა ოქტომბერს, დაახლოებით საღამოს რვა საათზე გამოსულიყო სახლიდან. ამ დროიდან მოყოლებული — თბილისის ზღვაში მისი გვამის პოვნამდე — ლილი მხოლოდ ერთმა ნაცნობმა ნახა. ეს იყო ჯაყელების მეზობელი, ახალგაზრდა მასწავლებელი გვანცა ნებიერიძე, რომელიც ლილის შემთხვევით შეხვდა შაუმიანის მოედანზე.

მოწმის ჩვენებიდან გამოირკვა, რომ მკვლელობის ღამეს ლილი კარგ ხასიათზე იყო. მიუხედავად იმისა, რომ ვიღაც შორეულ ნათესავთან მიეჩქარებოდა, იგი რამდენიმე წუთი მაინც შეჩერდა გვანცასთან, მერე ხელის ჩამორთმევით დაემშვიდობა მეზობელს და აეროდრომისაკენ მიმავალ ავტობუსში ჩაჯდა.

ლევან ხარბედიას შეკითხვაზე მოწმემ უყოყმანოდ უპასუხა, რომ ლილის ხელზე ბეჭედი და ოქროს საათი ეკეთა, დიდჯიბეებიან შალის კაბაზე კი სადაფის ღილებიანი ახალი ჟაკეტი ეცვა.

ლილი ჯაყელის კვალი, მართალია, შაუმიანის მოედანთან უგზო-უკვლოდ იკარგებოდა, მაგრამ მოწმის დაკითხვის შემდეგ ზოგიერთი რამ მაინც ნათელი გახდა ძიებისათვის.

პოდპოლკოვნიკმა უკვე იცოდა, რომ სამუშაოზე ქმრის გასტუმრებისთანავე ახალგაზრდა ქალი საგარეოდ გამოეწყო და აეროდრომისაკენ შორეული ნათესავის სანახავად წავიდა.

ადვილი შესაძლებელი იყო, რომ ლილი სწორედ ამ მხარეს შეხვდა ვიღაც ნაცნობს, რომელმაც შემდეგ თბილისის ზღვისაკენ გაიტყუა იგი და გაძარცვის მიზნით დაახრჩო.

ვისთან წავიდა ლილი აეროდრომის მხარეს? რომელ წიგნიდან იყო ამოხეული 879-ე გვერდის ნაწილი, რომელიც დამხრჩვალი ქალის ჯიბეში იპოვეს? — ეს იყო კითხვები, რომლებიც მოსვენებას აღარ აძლევდნენ პოდპოლკოვნიკს და, პირველ რიგში, მოითხოვდნენ მისგან ზუსტი პასუხის გაცემას.

* * *

გაიოზ ჯაყელი ბეჭებში წახრილი იჯდა სავარძელში, წვერგაუპარსავი სახე მუხლებზე დაყრდნობილ ხელებში ჩაერგო და ჩაღამებული თვალებით შესცქეროდა პოდპოლკოვნიკს.

— ადამიანის ცხოვრებაში ხდება ხოლმე ისეთი შემთხვევა, როცა მწუხარებით ველარაფერს უშველი. ლილის დაღუპვის შემდეგ თქვენ მოვალე ხართ მოიკრიბოთ მხნეობა და ყველაფერში გაგვიწიოთ დახმარება...

— მაინც რით შემიძლია დაგეხმაროთ, უფროსო? — რაღაც ცივი, გულგატეხილი ადამიანის კილოთი წამოიძახა ჯაყელმა.

— ძალიან ბევრი რამით... უპირველეს ყოვლისა, ზუსტად უნდა დაგვისახელოთ ყველა ნათესავი და ნაცნობი, რომლებიც შაუმიანის მოედნიდან იქითა მხარეს ცხოვრობენ...

ლევან ხარბედიამ კაბინეტში შემოსულ მდივანს უხმოდ ჩამოართვა ქაღალდები, სწრაფად მოაწერა ხელი და სავარძელში გარინდულ ჯაყელს მიუბრუნდა:

— იცით თუ არა თქვენ, რომ მკვლელობის ღამეს ლილი კარგ ხასიათზე გამოვიდა სახლიდან და აეროდრომის მიმართულებით ვიღაც ნათესავის სანახავად წავიდა?

— ვიცი... გვანცამ ყველაფერი მითხრა...

— მერე?

— რა მერე? მესამე დღეა ვფიქრობ და მაინც ვერ გამიგია, ვისთან უნდა წასულიყო ლილი... შაუმიანის მოედანზე და აეროდრომის მხარეს ჩვენ არც ერთი ნათესავი და მეგობარი არა გვყავს...

ლევან ხარბედიამ გაოცებით შეავლო თვალი მოსაუბრეს.

— იმ დაწყევლილ დღეს, როგორც კი ლილი სამუშაოდან დაბრუნდა, შეუძლოდ იგრძნო თავი და მთელი საღამო თავშეხვეული ტახტზე იყო გაწოლილი... ვერაფრით ვერ მოვიფიქრებდი, რომ ოციოდე წუთის შემდეგ ჩემი ცოლი ჩიტივით წამოხტებოდა ფეხზე და ჟინჟღლიან ამინდში რაღაც საქმეზე წავიდოდა...

— მაინც რას ფიქრობთ, რა საქმეზე შეიძლება წასულიყო ლილი?

—აბა რა ვიცი? — ხელები გაშალა ჯაყელმა, — აკი გითხარით, მთელი საღამო ლილი უქეიფოდ იყო, და, როგორც მე ვიცი, აეროდრომის მხარეს არაფერი საქმე არა ჰქონდა...

პოდპოლკოვნიკი წამოდგა, ჩაფიქრებულმა რამდენჯერმე გაიარ-გამოიარა კაბინეტში და მერე ისევ ჯაყელის წინ შეჩერდა.

— გაქვთ თუ არა რაიმე ეჭვი თქვენს მეუღლეზე?

— რა ეჭვი უნდა მქონდეს, უფროსო?..

— მე მინდოდა მეთქვა, გაქვთ თუ არა საფუძველი, რომ შორეულად მაინც იფიქროთ, ლილი ოდესმე... ასე ვთქვათ... ღალატობდა ოჯახს?

გაიოზ ჯაყელი სწრაფად წამოხტა სავარძლიდან.

— არავითარ შემთხვევაში!.. ჩემი ცოლი პატიოსანი ქალი იყო...

გაიოზ ჯაყელმა დამუშტული ხელი შემართა ჰაერში და ბოლმიანად ჩაილაპარაკა:

— ყველაფერს ვიფიქრებ, ცისა და მიწის გასწორებას ვერწმუნები და იმას კი ვერ დავიჯერებ, რომ ჩემი ლილი როდისმე ღალატობდა ოჯახს...

* * *

სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც ლევან ხარბედიას წარუდგინეს, საბოლოოდ ადასტურებდა, რომ ლილი ჯაყელი ვიღაცამ ყელში ხელების წაჭერით დაახრჩო და შემდეგ მკვდარი გადააგდო წყალში.

გვამის გულმოდგინე დათვალიერებით და ლაბორატორიული ანალიზებით ექსპერტიზამ დაადგინა, რომ ათ ოქტომბერს თბილისის ზღვაში ნაპოვნი ქალის გვამი დაახლოებით ორი დღე-ღამე მაინც უნდა ყოფილიყო წყალში.

ძიებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე მეორე დასკვნას, რომელიც ლევან ხარბედიამ სამეცნიერო-კვლევითი ტექნიკური განყოფილებისაგან მიიღო.

თბილისის საუკეთესო ბიბლიოგრაფები, სამძებრო განყოფილების თხოვნით, რამდენიმე დღე გულდასმით ეძებდნენ თუ საიდან იყო ამოხეული ლილი ჯაყელის ჯიბეში ნაპოვნი ქაღალდი. ამ პატარა, წყლის ზემოქმედებით ნაფლეთებად ქცეულ ნაგლეჯზე, მხოლოდ წიგნის გვერდისა და რამდენიმე სიტყვის ამოკითხვა შეიძლებოდა. მიუხედავად ამისა, სპეციალისტებმა მაინც შეძლეს დაედგინათ, რომ იგი ვასილ ბარნოვის მეორე ტომიდან იყო ამოხეული და 879-ე გვერდის ნაწილს წარმოადგენდა.

* * *

ლევან ხარბედია ყურადღებით უსმენდა სამძებრო განყოფილების მუშაკს კაპიტან არჩილ ლაფაურს.

— ამხანაგო პოდპოლკოვნიკო, შემიძლია უკვე დაბეჯითებით გითხრათ, რომ გაიოზ ჯაყელმა რვა ოქტომბერს, საღამოს რვა საათზე ჩაიბარა ცვლა. დილის სამი საათი სრულდებოდა, როცა იგი გრაფიკის მიხედვით დაბრუნდა გარაჟში და თავისი მანქანა მორიგეს ჩააბარა...

— მრიცხველიც შეამოწმეთ?

— შევამოწმე!.. უწყისების მიხედვით გამოირკვა, რომ „მოსკვიჩის“ მარკის ტაქსი, რომელსაც გაიოზი მართავდა, მთელი ღამე მოუცდენლად მუშაობდა და ცვლაში საშუალო მანძილი — ორასი კილომეტრი გაიარა...

— მეზობლები?

— მეზობლებიც დავკითხე... რამდენიმე მობინადრე, რომლებთანაც საუბარი მქონდა, ერთხმად ამბობენ, რომ ლილისა და გაიოზს მუდამ ტკბილი ცოლ-ქმრობა ჰქონდათ. არავის არ ახსოვს, რომ მათ რაიმე ჩხუბი ანდა სერიოზული უთანხმოება მოსვლოდეთ.

— ცხოვრობს თუ არა ჯაყელის მეზობლად რომელიმე ექიმი, საიდანაც ტელეფონით შეეძლო დაერეკა გაიოზს?

— დიახ, ცხოვრობს. გაიგო თუ არა თავისი ცოლის ამბავი, შეშფოთებული გაიოზი მაშინვე ტელეფონს მიუჯდა და გათენებამდე საავადმყოფოებსა და მილიციის განყოფილებებში რეკავდა...

— ახლა ეს მითხარით, კაპიტანო — ლევან ხარბედიამ პაპიროსის გადახსნილი კოლოფი გაუწოდა ლაფაურს, — გათენების ხანს ასე სახელდახელოდ მაინც რომელმა მეზობელმა დაახვედრა გაიოზს თავისი ცოლის ამბავი?

— ჯაყელების მეზობლად კბილის ექიმი, ვინმე გალინა პოჟარსკაია ცხოვრობს, რომელიც ლილის დაკარგვის ღამეს დღეობას უხდიდა თავის ქალიშვილს. სტუმრების წასვლის შემდეგ დიასახლისი სამზარეულოში ტრიალებდა და ფეხზე დახვდა სამუშაოდან შინ დაბრუნებულ გაიოზს...

---

* გაგრძელება. იხ. „დროშა“, № 8.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არჩილ ლაფაურმა სეიფზე ჩამოდებულ პორტფელიდან რამდენიმე გადაბეჭდილი ფურცელი ამოიღო და პოდპოლკოვნიკის წინ, ერთი-მეორის გვერდით დაალაგა მაგიდაზე.

— ჯაყელის პიროვნების შესწავლა, რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ გრძელდება, მაგრამ, როგორც ეტყობა, ამ ადამიანს არავითარი ბრალი არ უნდა მიუძღოდეს...

— გეთანხმებით, კაპიტანო! ჩვენს ხელში არსებული ყველა მასალა იმაზე ლაპარაკობს, რომ გაიოზ ჯაყელი დამნაშავე არ უნდა იყოს...

— ძიების პრაქტიკაში, — სიტყვა გააგრძელა ხარბედიამ, — ძალზე ხშირია შემთხვევა, როცა დამნაშავე კვალის დაფარვას ცდილობს და ისე იქცევა, რომ მასზე იოტის ოდენა ეჭვსაც ვერავინ მიიტანს. ასე არ არის, ლაფაურო?

— ასეა, ამხანაგო, პოდპოლკოვნიკო!

— რაკიღა ასეა, ჩვენ მოვალე ვიყავით, დამნაშავის კვალის ძებნა, უპირველეს ყოვლისა, გაიოზ ჯაყელის შესწავლით დაგვეწყო... არ გამართლდა ეს ეჭვი, გაიოზი უდანაშაულოა, მაშასადამე, ახლა სულ სხვა პიროვნებებზე და ფაქტებზე უნდა გადავიტანოთ ყურადღება...

ლევან ხარბედია აწკრიალებულ ტელეფონს დასწვდა, სწრაფად აიღო ყურმილი და ფეხზე წამომდგარ ლაფაურს გადაულაპარაკა:

— ხვალ დილით, ზუსტად ათ საათზე ჩემს კაბინეტში შევიკრიბებით და ლეიტენანტ გიგაურთან ერთად დეტალურად შევიმუშავებთ უახლოეს სამოქმედო გეგმას...

* * *

სამძებრო განყოფილების მუშაკებმა დამატებით რამდენიმე მოწმე დაკითხეს, მაგრამ მათთან საუბარს ძიებისათვის ახალი არაფერი მიუცია. პოდპოლკოვნიკისათვის რაიმე ხელჩასაკიდებელი მასალის მიცემა ვერც გაიოზ ჯაყელმა შეძლო, რომელიც მწუხარებისაგან გაოგნებული დადიოდა და წარმოდგენაც კი არ ჰქონდა, ვის შეიძლებოდა მოეკლა მისი ცოლი.

პირველი საეჭვო ნივთიერი საბუთი, რომელიც ოპერატიულმა მუშაკებმა ლილი ჯაყელის სამუშაო მაგიდის უჯრაში იპოვეს, ეს იყო ვიღაც უცნობი მამაკაცის სურათი. მოგრძო ფორმის, ფერადი ფოტოსურათი ლილის გულმოდგინედ შეეხვია ქაღალდში და ძველ საბუთებთან ერთად ჩაეკეტა.

საფეიქრო მრეწველობის კომბინატში, სადაც ლილი ბუღალტრად მუშაობდა, არავინ იცოდა თუ ვინ იყო სურათზე აღბეჭდილი მამაკაცი. ეს ლამაზ-ლამაზი, კოხტად მოყვანილი ტანის ახალგაზრდა ვერც გაიოზ ჯაყელმა და ლილის ახლობლებმა ამოიცნეს.

ლევან ხარბედია უკვე დარწმუნებული იყო, რომ ლილის ქმრისაგან დაფარული რაღაც საიდუმლო ჰქონდა. ამ საიდუმლოს გამო იგი წვიმიან ამინდში დაუზარებლად გამოვიდა სახლიდან და აეროდრომისაკენ ვიღაცის სანახავად წავიდა. ეს „ვიღაცა“ კი, ადვილი შესაძლებელია სწორედ ის ლამაზი, ახალგაზრდა ვაჟკაცი იყო, რომლის სურათს ასე სათუთად ინახავდა ლილი.

ლევან ხარბედიამ ბრძანება გასცა; სურათი რამდენიმე ცალად გადაებეჭდათ და ოპერატიულ მუშაკებს დაუყოვნებლივ დაეწყოთ მუშაობა უცნობის ვინაობის დასადგენად.

თბილისის ზღვასთან დატრიალებული ტრაგედიის შემდეგ ზუსტად ერთი კვირა იყო გასული, როცა კაპიტანმა არჩილ ლაფაურმა პოდპოლკოვნიკს ერთი ახალი, მეტად საყურადღებო ცნობა მოუტანა.

ამ ცნობამ ლევან ხარბედია ააფორიაქა, იგი იძულებული გახდა მთლიანად შეეცვალა ზოგიერთი ბრძანება და ახალი გზით წაეყვანა ლილი ჯაყელის საიდუმლოებით მოცული მკვლელობის საქმის გამოძიება.

## დამნაშავის ცაცია

— გაქვთ თუ არა ახალი ცნობები? — ლევან ხარბედიამ მოღუშულად შეხედა ლაფაურს.

— დიახ, მაქვს! ვიდრე ყველაფერს დაწვრილებით მოგიყვებით, პირველ რიგში, მინდა მოგახსენოთ, რომ ლილი ჯაყელი არც თუ ისე კარგი რეპუტაციის ქალი ყოფილა, და, როგორც გავიგე, ღალატობდა თავის მეუღლეს, ახალგაზრდა ინჟინერი, ვინმე გია ვასაძე ჰყვარებია...

— ვინ მოგაწოდათ ეს ცნობები, ლაფაურო?

— თქვენი დავალებით ხელმეორედ დავკითხე ლილი ჯაყელის რამდენიმე თანამშრომელი. ერთი ახალგაზრდა ფეიქარი ლია ობოლაძე, როგორც გამომიტყდა, პირველ ხანებში ლილის სახელს უფრთხილდებოდა და არაფერს ამბობდა მეგობარზე. ამ დაკითხვაზე კი ობოლაძე დავაჯერე, რომ მის სწორ ჩვენებას დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია ძიებისათვის და რაც კი იცოდა, ყველაფერს გულწრფელად მომიყვა...

ლაფაურმა ჩაახველა, ხრინწიანი ყელი ჩაიწმინდა და ისე განაგრძო:

— კომბინატის თანამშრომლებს ლილი ჯაყელი და გია ვასაძე რამდენჯერმე დაუნახავთ ქალაქის მიყრუებულ უბნებში და ღრმად არიან დარწმუნებულები, რომ მათ შორის რაღაც საეჭვო კავშირი არსებობდა...

— მოახერხეთ თუ არა პირისპირ გენახათ ეჭვმიტანილი ვასაძე?

— ინჟინერი ვასაძე მეორე დღეა რაც სამუშაოზე არ გამოცხადებულა და არავინ იცის იმისი ასავალ-დასავალი... ჯერჯერობით იძულებული ვიყავი, კადრების განყოფილებაში მისი საალრიცხვო ფურცელი მომეთხოვა და შიგ ჩაკრული სურათის მიხედვით შემესწავლა ვასაძის გარეგნობა.

— მერე?

— გია ვასაძე სუსტი აღნაგობის, ქერათმიანი კაცი გახლავთ და არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იმ მკვრივად ჩადგმულ, შავგვრემან ახალგაზრდას შევადაროთ, რომლის სურათი ლილის სამუშაო მაგიდის უჯრაში ვიპოვეთ...

გაოცებულ პოდპოლკოვნიკს არჩილ ლაფაურმა ხმის ამოღება აღარ დააცალა და ისევ განაგრძო:

— დიახ, ამხანაგო პოდპოლკოვნიკო, ეს ორი პიროვნება ნამდვილად სხვადასხვა ადამიანები არიან, მიუხედავად ამისა, მაინც არსებობს საფუძველი, რომ სერიოზული ეჭვი ვიქონიოთ ვასაძის მიმართ.

— უფრო კონკრეტულად, კაპიტანო!

— ინჟინერი ვასაძე რამდენიმე წელია რაც მეორე ცოლს გაეყარა და ამჟამად მამისეულ კერძო სახლში მარტოდმარტო ცხოვრობს... ეს სახლი კი, საინტერესო სწორედ ეს არის, აეროდრომისკენ მიმავალ გზაზე მდებარეობს...

— გარდა ამისა, — ლაფაურმა ოდნავ აუწია ხმას, — როგორც გადმომცეს, ვასაძე წიგნების დიდი მოყვარული ყოფილა და ადვილი შესაძლებელია, რომ მის ბიბლიოთეკაში სხვა წიგნებთან ერთად, ბარნოვის მეორე ტომიც დევს, რომელსაც 379-ე გვერდის ნაწილი აკლია...

— ასეთი ცნობების შემდეგ, ისღა დაგვრჩენია, კაპიტანო, რომ წუთიც აღარ დავკარგოთ უქმად და დაუყოვნებლივ დავიწყოთ ვასაძის ბინის გაჩხრეკა.

* * *

უკვე ბინდდებოდა, როცა სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების მანქანა ხის მესერით შემორაგულ ეზოსთან შეჩერდა.

ოპერატიულ მუშაკებს გია ვასაძის სახლი დაკეტილი დახვდათ. არც ერთმა მეზობელმა არ იცოდა, თუ სად უნდა ყოფილიყო ინჟინერი.

ათიოდე წუთის შემდეგ სამძებრო განყოფილების თანამშრომლებმა, მეზობლების თანდასწრებით, ვასაძის სახლის კარი გახსნეს. ოთახში პირველი ლევან ხარბედია შევიდა. პოდპოლკოვნიკმა სწრაფად გაიარა ვიწრო დერეფანი, მისაღები ოთახის კარი შეაღო და მაშინვე გაქვავებულივით ერთ ადგილზე შეჩერდა.

მსხვილ თოკზე, რომელიც ჭაღის დასამაგრებელ კაუჭზე იყო გამობმული, პიჟამოში გამოწყობილი ქერათმიანი ახალგაზრდა კაცი ეკიდა. ჩამომხრჩვალის გვამს მარყუჟის კვანძის ადგილზე ოდნავ გვერდზე მოქცეოდა თავი და გაღებულ პირიდან კბილებშუა გამოჩრილი ენა მოუჩანდა.

— ეს კაცი გია ვასაძე გახლავთ! — ოდნავ გასაგონი ხმით ჩაილაპარაკა არჩილ ლაფაურმა და გულხელდაკრეფილ პოდპოლკოვნიკს ამოუდგა გვერდში.

(გაგრძელება იქნება)





**ნინო დოლიძე**

# რა ნახა თინიკომ

იუმორესკა

— თინიკო, შენ გენაცვალე, სადა ხარ, სად დაიკარგე, სულ აღარ ჩანხარ?

— ო, ჩემო კარგო! — ეხვევა მეგობარს ზორბა ტანის, ფაშფაშა, ასე ორმოცდაათ წელს კარგა გადაცილებული თინიკო, — განა არ იცი, უცხოეთში ვიმოგზაურე, ევროპის ირგვლივ, მაშ!

— როგორ, როდის? — გაოცებით ეკითხება მეგობარს თმაშევერცხლილი ქალი. თინიკოს კი მჭახე სპილენძისფრად აქვს შეღებილი საგანგებოდ დახვეული და პრეტენზიით მოდაზე ავარცხნილი თმები.

— ო, რა ვნახე, რა განვიცადე... გადარევას ვარ! სავსე ვარ, სავსე შთაბეჭდილებებით. არ ვიცი საიდან დავიწყო, რომელი ერთი მოგიყვე...

თინიკო უხვად დაუჯილდოებია ბუნებას: დიდი ცხვირი, განიერი გულ-მკერდი, ფართოდ გაშლილი თეძოები, დიდი ხელები და კიდევ უფრო დიდი ფეხები, ძლივს ჩატენილი ვიწრო ფეხსაცმელებში, რის გამო უფრო დიდები და ულაზათონი ჩანან. ეს ფართო ტერფი რომ ამ ვიწრო, ცხვირწაწვეტილ ფეხსაცმელში ჩაეტიოს, საჭიროა ფეხსაცმელი სამი ნომრით მაინც მეტი იყოს. შედეგი? — ლურსმანივით ქუსლი რომ აგერ აქ არტყამს, ფეხსაცმლის ჭვინტი სადღაც შორს, ძალიან წინ სცემს. და ისე ირყევიან ეს უსუსური ქუსლები, თითქოს საბრალოები როიალის ფეხებს შეუყენესო. ნეტა რამდენ ხანს გაუძლებენ ეს ფეხსაცმელები ამ „კოხტა“ ფეხების პატრონს.

მისი მეგობარი ტანმორჩილი, კოხტა აღნაგობის ქალია. სადად და ლამაზად აცვია, ჭკვიანურ სახეზე ოდნავი ირონია ეტყობა, მაგრამ თინიკო ვერაფერს ამჩნევს.

— კი მაგრამ, როგორ გაბედე, შენი გულის მქონემ, ასეთი მოგზაურობა, მერე როგორი მაღალი წნევა გაქვს!

— ო-ო, ჩემო კარგო, რა შუაშია აქ გული, ან წნევა! ნეტა ვინ იტყვის უარს ასეთ მოგზაურობაზე, თუ კი საშუალება აქვს! მაგრამ ვისაც არ აქვს ეს საშუალება, რა ქნას, ხან გულს მოიმიზეზებენ და ხან რას, — ჩაჰკრა ფაშფაშამ თავის მეგობარს და რომ ამ ნისკარტის სიმწვავე ოდნავ მაინც გაექარწყლებინა, კიდევ უფრო გაიბადრა და რაღაც მეტისმეტად ტკბილი ხმით დაუყვავა: — ახ, როგორ გამიხარდა, რომ გნახე, ჩემო კარგო... ნეტა რას ვდგევართ ამ შუა ქუჩაში, შევიდეთ სადმე კაფეში, ერთი კარგად ვილაპარაკოთ.

ვიწრო ქუსლებმა საეჭვო ჭრაჭუნი მორთეს, მაგრამ ამჟამად გაუძლეს და მეგობრები კაფეში აღმოჩნდნენ.

— მოგვეცით რამე, გეთაყვა, ყავა და რამე ისეთი, მსუბუქი... ჰმ, — ჩაიცინა ფაშფაშამ, — ყავა, თორემ, ერთბაშად არ მოგართვან ისეთი, როგორიც იქ... იცი, როგორი კაფეებია პარიზში, ან რომში?... უშველებელი რგვალი ტუჩები მოწრუპა და ამხელა სახეზე ცოტა არ იყოს, უპროპორციოდ ვიწრო, ღრმად ჩამჯდარი თვალები აგდებულად მოავლო არცთუ ისე ულაზათო კაფეს კედლებს.

— მერე ხალხი! რა ლამაზები არიან!

კვირა საღამო იყო. კაფე სავსე იყო არწივებივით მოხდენილი ბიჭებით და წელწვრილი, ჟუჟუნა თვალებიანი გოგონებით.

— ჰმ, — ჩაიცინა თმაშევერცხლილმა,— გაიხედე ერთი, ვითომ ესენი ულამაზოები არიან? მგონი ყავასაც არა უშავს რა, ა, რას იტყვი?

— კარგი ერთი, — შეაწყვეტინა ფაშფაშამ, და რომ საბოლოოდ ჩაეჩუმებინა თანამოსაუბრე, მთავარი კარტი ამოიღო.

— იცი, იტალიაში ივი ვნახე. ჰმ, იცი რა ბიჭია!

— ივ მონტანზე ამბობ? ბიჭი? ის ხომ უკვე ხნიერია. მერე იტალიაში? იქნებ საფრანგეთში ნახე?

— ახ, ჩემო კარგო, ვარჩევ როგორმე საფრანგეთს და იტალიას, — ზვიადად შეაჩერა ფაშფაშამ. — იცი, ლამაზების კონკურსი იყო იტალიაში. ივეც იქ იყო. ხნიერიო? ხნიერი კი არა, ისეთი ბიჭია, რომ... მის გვერდით სოფი ლორენი იჯდა, იცი, აი ამხელა პირის ნახევი აქვს და მაინც ულამაზესი ქალია... მისი მეუღლეც იქ იყო, სიმონა სინიორე, ისიც კაი ქალია. მათთან ახლდათ ერთი სულ ახალგაზრდა, იტალიელი გოგონა. ამბობდნენ, მისს იტალია გახდებაო... იყო ჩამჯდარი ივი ამ ულამაზეს ქალებში და ჰერი!.. აი ცხოვრებაც ამას ჰქვიან!

— ვითომ ეგ არის მთავარი?

— კარგი ერთი, თუ გიყვარდე, შენც ნუ დამიწყე ჭკუის სწავლება, შინაც მეყოფა! ეგ არიც ცხოვრება, აბა მაშ·რა, ჩაჯდე სახლში და მიაჩერდე ერთ ვიღაც ბერიკაცს, გარეთ არ გაიხედო?!

გამხდარს მოაგონდა ფაშფაშას ქმარი, უკვე ხანდაზმული, დინჯი, პატივცემული მოღვაწე.

— ან პარიზი, მონმარტრი... რა საინტერესოა! — გაიძახოდა ფაშფაშა. — პოეტები, მხატვრები პირდაპირ ქუჩებში წერენ და ხატავენ...

— კარგი, ეს ჩვენც ვიცით, მეტი კიდევ რა ნახე?

— რა ვნახე? ყველაფერი ვნახე! „ლასკალაში“ ვიყავი, როგორ აცვიათ! ქალები სულ დეკოლტეთი. აი, აქამდე, — თავის განიერ მკერდზე მოისვა ხელი. — აბა ჩვენ რომ ვიხუთებით ამ შეკრულ კაბებში... ჰმ, რა ვნახე? შენ ის თქვი, რა არ ვნახე! რა მაღაზიები! რა ვიტრინები! ხა-ხა-ხა! — გადაიხარხარა უცებ, — აბა ჩვენებს კი არ გვანან!

— უხერხულია, — ჩაულაპარაკა გამხდარმა, — გვისმენენ ახალგაზრდები...

მართლაც და კაფეში მყოფი ხალხი ძალაუნებურად უსმენდა ამ ლაქლაქს.

— აჰ, დიდი ამბავი! — ბინუნშიაც არ ჩააგდო ფაშფაშამ, — ისმინონ, რა...

ერთი ახალგაზრდა ყურადღებით დააცქერდა თინიკოს, მერე მეგობარს წასჩურჩულა: „იცი, ვისი ცოლია?..“ „რას ამბობ? საბრალო!.. — აღმოხდა მეორეს და უმალვე დასძინა: — კი, მაგრამ, ის დალოცვილი ჩვენ რომ უბრალო შეცდომის ან უტაქტობისათვის ისე მკაცრად გაგვკიცხავს ხოლმე, თავის სახლში ვერაფერს ხედავს, ნეტა?“ „იქნებ კიდეც ხედავს, მაგრამ რა ქნას?“—მხრები აიჩეჩა ახალგაზრდამ.

ყმაწვილები მეტის ყურადღებით დააცქერდნენ ფაშფაშას. ის კი გაიძახოდა:

— როგორი ნივთებია! მე უკვე ველარ ვიტან ამ ჩვენს გერმანულ კაბინეტებსა და ჩიპინდელს. მოდერნ, მოდერნ, ძვირფასო! მარტო მოდერნ! სულ უნდა გავყარო ყველაფერი სახლიდან. ხა-ხა! ჩვენი ტორშერები, რასა გვანან! იცი, როგორი სანათურები აქვთ, ვერც კი შენიშნავ, ჭერში, ან კედლებში დატანებული დღის სინათლე...

— დღის სინათლე? — მხრები აიჩეჩა გამხდარმა, — აბა, აიხედე მაღლა! მაგის სანახავად ასე შორს როგორ მიდიოდი...

— ახ, შენც ერთი, დაგიჩემებია. არაფერი გინახავს და გაჩუმდი! — გაუწყრა ბოლოს მეგობარი, — თვითონ უნდა ნახო, განიცადო!

გამხდარს უკვე აშკარად გაეცინა.

მართლაც, რა ბევრი რამ უნახავს და განუცდია ჩვენს თინიკოს. ხუმრობა საქმე ხომ არ არის, დღის სინათლე ღამით... მერე, ნეტავი რა დაუჯდა მის დარბაისელ მეუღლეს ეს უხვი შთაბეჭდილებანი?



## სადოქტორო დისერტაცია

ხანდახან მართლაც საკვირველ თემას აირჩევენ ხოლმე დისერტაციისათვის; ამ მხრივ ყველას გადააჭარბა ერთმა იაპონელმა სწავლულმა, რომელმაც დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „როგორ კბენს ადამიანი ადამიანს“. რაკი იცოდა, რომ „მეცნიერების განვითარება“ ექსპერიმენტოდ შეუძლებელია, დისერტანტი თვითონ კბენდა მოხალისე-ენთუზიასტებს, რომლებმაც გადაწყვიტეს „კბენითი მეცნიერების“ სასახელოდ გაეწირათ თავიანთი სხეულის რბილი ადგილები.

დისერტანტი იკბინებოდა წამზომით ხელში — თვითეული კბენა გრძელდებოდა ზუსტად ათი წამი. მერე ნაკბენ ადგილებს უღებდნენ ფერად ფოტოებს და მათგან თაბაშირის ტვიფარებს აკეთებდნენ. რამდენიმე ხნის შემდეგ ფოტოგადაღება მეორდებოდა. ბოლოს შედგენილ იქნა გრაფიკები იმისდა მიხედვით, თუ როგორ შეიცვალა ფერი ნაკბენმა ადგილმა კბენის შემდეგ სხვადასხვა დროის მანძილზე.

გადაწყვეტილია ამ დისერტაციის გამოყენება კრიმინალისტიკაში და... იმ პროფესიონალ მოჭიდავეთა გამოსავლინებლად, რომლებიც ჭიდაობის დროს შეუმჩნევლად კბენენ თავიანთ მოწინააღმდეგეებს.



## ყინული... ჯიბეში

თურმე შეიძლება სიცივის დამუხტვაც. ინჟინერმა ჰოფმანმა (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა) გამოიგონა სწორედ ასეთი აკუმულატორი, რომელმაც წარმატებით გაიარა ყველა გამოცდა. ეს არის ჰერმეტიულად დახურული პაკეტი, ავსილი სპეციალური მასით (მისი შემადგენლობა ჯერ ცნობილი არ არის). თუ ამ პაკეტს განსაზღვრული დროის მანძილზე მაცივარში დადებთ, იგი 10-12 საათის განმავლობაში სიცივეს გამოსცემს. ასეთი პაკეტი შეიძლება გამოიყენოთ გზაში, პროდუქტების შესყიდვის დროს, შეიძლება ატაროთ სამსახურშიც, საუზმესთან ერთად, რათა საჭმელს შეუნარჩუნოთ სიახლე და გემო. პაკეტის დამუხტვა სიცივით მრავალჯერ შეიძლება.

# აკაკის პირადი მიმოწერა

▲ აკაკი წერეთლის
▲ ნაწერების
▼ მე-15 ტომის
▼ გამოცემის
▼ გამო

ეროვნული ბიბლიოთეკა

შალვა რადიანი

მეთხუთმეტე ტომით დასრულდა დიდი ქართველი მწერლის აკაკი წერეთლის თხზულებათა კრებულის აკადემიური გამოცემა. არსებითად ამ გამოცემაში თავმოყრილი, სისტემატიზირებული და კომენტირებულია სახელოვანი მწერლისა და მოაზროვნის თითქმის ყველა ნაწარმოები, რაც მან შექმნა ნახევარი საუკუნის მანძილზე. ამ გამოცემის რედაქტორებმა ფრიად სერიოზული და მნიშვნელოვანი მუშაობა ჩაატარეს იმისათვის, რომ რაც შეიძლება სრულად ყოფილიყო თავმოყრილი და ნაჩვენები აკაკი წერეთლის მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობა. ამ მწერლის ნაწარმოებები ასე ერთად მანამდე არ ყოფილა გამოცემული.

მე-15 ტომის პირველი ნაწილი მოიცავს მწერლის ეპისტოლარულ მემკვიდრეობას, ხოლო მეორე ნაწილი—აკაკის მიერ რუსულ ენაზე დაწერილ ნაწარმოებებს. პირველ ნაწილში წარმოდგენილია პოეტის პირადი წერილები დედისადმი, და-ძმებისადმი და საზოგადო მოღვაწეებისადმი (ა. ფურცელაძე, კ. ლორთქიფანიძე, ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, ს. მესხი, ი. გოგებაშვილი, ექ. გაბაშვილი და სხვ.). ეს პირადი წერილები, ერთად თავმოყრილი, პირველად ქვეყნდება. ამ ტომის დაბეჭდვის შემდეგ აღმოჩნდა ა. წერეთლის 98 პირადი წერილი, რომლებიც მიწერილია შვილისა და მეუღლისადმი. ეს წერილები ჩვენი ქვეყნის გარეთ იყო დაცული და მხოლოდ ამ რამდენიმე თვის წინათ ჩამოიტანა ისინი ბესო ჟღენტმა უცხოეთიდან. ამით კიდევ უფრო შეივსო ა. წერეთლის ეპისტოლარული მემკვიდრეობა.

პირადი წერილების გამოქვეყნებას მრავალმხრივი მნიშვნელობა აქვს მათი ავტორის ბიოგრაფიისათვის, მწერლის სულიერი ინტერესების გასაგებად; ეს შესანიშნავი ადამიანური დოკუმენტები ნათელყოფენ დიდი მგოსნის მიერ განვლილ ნარეკლიან გზას; ეს წერილები გვიჩვენებენ თუ რამდენად თავდადებით ემსახურებოდა აკაკი თავის ქვეყანასა და ხალხს. ი. გოგებაშვილისადმი მიწერილ წერილში იგი ლაპარაკობს ქართველი ხალხისადმი თავისი განუსაზღვრელი სიყვარულის შესახებ და დაასკვნის: „ის ნიშანი, რომლის გამოც მე ქართველი მიყვარს მის წარსულში, რომლის გამო საყვარლად და სასურველად წარმოვიდგენ მომავალში და რომლის ნიშნებსაც ახლანდელებში ვეძებ, არ ყოფილა გამქრალი და მაშასადამე, წარსულისა და მომავლის კავშირი განუწყვეტელი ყოფილა".

ი. გოგებაშვილისადმი მიწერილ სხვა წერილში ა. წერეთელი აცნობს „დედაენის" ავტორს თავის შემოქმედებით მუშაობას: „ჯერ-ჯერობით „მედია" გავათავე. კარგი იქნება თუ არა, რა მოგახსენო, მაგრამ მე კი მეტად კმაყოფილი ვარ. ეგება, მიტომაც, რომ ამდენი არც ერთ ჩემ თხზულებაზე არ მიშრომია, ვაი თუ მეც იმ დედასავით მომივიდა, რომელიც ამტკიცებდა, რომ ეს ჩემი შვილი ყველა შვილებზე უკეთესი უნდა იქნეს, რადგანაც ძალიან დიდხანს მტკიოდა მუცელიო. ვათავებ „ბაში-აჩუკს" და მერე შევუდგები „ვეფხისტყაოსნის" შესახებ შენიშვნების წერას".

წერილებიდან ნათელი ხდება ისიც, თუ რაოდენი სიძნელის გადალახვა უხდებოდა ა. წერეთელს თავისი ნაწერების წიგნად გამოცემის დროს; აკაკი წერს: „მე მინდოდა „ჩემი თავგადასავლის" დაბეჭდვა და რადგანაც თვითონ საშუალება არა მქონდა ჩემი ფულით დამებეჭდა, გამოვაცხადე, რომ ვისაც სურს შეძენა, ხელი მოაწეროს და ერთი მანეთიც წარმოადგინოს მეთქი, ამგვარად შეგროვდებოდა რამე და გამისტუმრებდა ქაღალდისა და სტამბის ხარჯს. მაგრამ წარმოიდგინე, რომ ამდენი ხანია, თითქმის 7 თვეა, და მთელ საქართველოში მხოლოდ 38 ხელისმომწერი და მსურველი გამოჩნდა, მეტი არა". აი, ასეთ სავალალო პირობებში უხდებოდა მოღვაწეობა, ქართველ მწერალს!

ა. წერეთელი ენერგიულად იბრძოდა და იღწვოდა მდიდარი ქართული სიტყვიერების შეგროვებსა და ჩაწერისათვის. ამ მიზნით მან დააარსა ჟურნალი „კრებული". „პირველ ენკენისთვეს უნდა გამოვიდეს ჩემი „კრებული", — წერდა იგი,—არა თუ ერთი თვის, ასე გასინჯე, ერთი წლის მასალაც კი მაქვს მზად. გამოგიტყდები და გეტყვი, მარტო მისთვის, რომ ჩემი ნაწერები გამომეცა, მე არ ვიტვირთებდი ამ ძნელ საქმეს, მაგრამ ჩემი უმთავრესი წამახალისებელი ზეპირსიტყვაობაა. ამას უნდა შევწირო ჩემი უკანასკნელი ძალღონე და გავუკვლიო გზა... ხელმომწერლების იმედი არა მაქვს. დიდი პროპაგანდაა ჩვენებისგან, რომ ვერ გამოსცემსო, და ათასგვარ მიზეზს ასახელებენ!.. მაგრამ მე ამითი გული არ გამიტყდება, მით უფრო, რომ ერთი წლის სახსარი გამოსაცემად ხელთ მაქვს და შემდეგისთვისაც იმედი მაქვს ლუკმა პური დავიკლო და გამოცემას მე ხელი არ შევუშვა, გინდ სულაც არ მეყოლონ ხელისმომწერლები. რაც რომ არ იყოს რა, საწყალი, დაბალი ხალხი ხომ წაიკითხავს და ჩემთვის სწორედ ეს არის დიდი სანატრელი".

პირად წერილებში ერთგვარი კრიტიკული ტონიც გაისმის თავისთავის მიმართ. ცნობილია, რომ 1909 წელს ა. წერეთელმა დასწერა პოემა „ვორონცოვი", მაგრამ შემდეგ აღარ მოსწონებია მას ეს ნაწარმოები. „გუშინ გავათავე პოემა „ვორონცოვი" და შევატყვე თავს, რომ ძალიან შორს ჩავგორებულვარ თავდაღმართში" (გვ. 122).

გასული საუკუნის 80-იან წლებში მიწერილ პირად წერილში ა. წერეთელი აღტაცებით ლაპარაკობს ნიკო ნიკოლაძის ლიტერატურულ-კრიტიკულ მოღვაწეობაზე, იხსენებს ცნობილ ჟურნალს „სოვრემენნიკს" და რუსული რევოლუციურ-დემოკრატიული აზროვნების წარმომადგენლებს — ბელინსკის, ჩერნიშევსკის, ანტონოვიჩს, რომლებთანაც ბევრი საერთო ჰქონდა გამოჩენილ ქართველ მოაზროვნეს. „შენმა სტატიებმა ძველებურად ამიძგერეს გული", წერს აკაკი ნიკოლაძეს.

ამ ტომის მეორე ნაწილში მოთავსებულია ა. წერეთლის მიერ რუსულ ენაზე დაწერილი პუბლიცისტური წერილები და დრამატული ნაწარმოებები. ესენიც ერთად პირველად არის თავმოყრილი და გამოქვეყნებული, მათში ა. წერეთელი ეხება თავის დროის მრავალ მნიშვნელოვან პრობლემას, იცავს ქართველი ხალხის ეროვნულ მეობას და, ამავე დროს, დიდ პატივისცემასა და სიყვარულს ამჟღავნებს სხვა ერების გამოჩენილი, მოწინავე შვილებისადმი. ამ მასალებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სიტყვა სვანების პროცესზე. როგორც ვიცით 1871 წელს სვანეთში გლეხთა საერთო აჯანყებამ იფეთქა, რომელიც 1876 წლამდე გაგრძელდა. მეფის მთავრობამ აჯანყების მეთაურები შეიპყრო და გაასამართლა. აკაკიმ თავის თავზე აიღო აჯანყებაში მონაწილე სვანების დაცვა, პოეტი ცდილობდა ელემენტარული სამოქალაქო უფლებებისათვის მებრძოლი ადამიანები დაეხსნა სიკვდილით დასჯისაგან. მან თავისი შესანიშნავი სიტყვით მიაღწია ამას.

დიდად საინტერესოა წერილი გამოჩენილი რუსი პოეტის, რევოლუციონერ-დემოკრატის ნეკრასოვის დასაფლავების შესახებ და მოგონება უკრაინელი ხალხის დიდ პოეტზე—ტარას შევჩენკოზე.

ასეთია ამ ტომის შინაარსი და ხასიათი.

შევნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ ზოგჯერ კომენტარი ძალზე მოკლეა, რაც არ იძლევა იმის საშუალებას მკითხველმა სრულად გაითვალისწინოს ის საკითხი ან პიროვნება, რომლის შესახებაც საუბარია წერილში; ზოგჯერ კომენტარში არ არის გახსნილი წერილში ნახსენები პიროვნება; არის უხეში კორექტურული შეცდომებიც. მაგალითად, კომენტარების 108 გვერდზე დავით სარაჯიშვილის დაბადება-გარდაცვალების თარიღი ასეა დასახელებული: 1898-1911 წელი. გამოდის, რომ დავით სარაჯიშვილი გარდაიცვალა 13 წლისა.

წიგნის 270-ე გვერდზე მიხ. თამარაშვილის გარდაცვალების თარიღად აღნიშნულია 1918 წელი. ნამდვილად კი იგი დაიღუპა 1911 წელს, 15 სექტემბერს.

მიუხედავად ყოველივე ამისა, ა. წერეთლის მე-15 ტომი, სხვა ტომებთან ერთად, ფრიად საგულისხმოა; ამ ტომის ღირსებასა და მნიშვნელობას აძლიერებს ის გარემოებაც, რომ მასში მოთავსებული მდიდარი მასალები ერთად პირველად არის თავმოყრილი.



## ახალი ბეტონი

რკინა-ბეტონის ფილის გასაკეთებლად საჭიროა არმატურის — მავთულის კარკასის შეკვრა, რომელიც რკინა-ბეტონს სიმტკიცეს სძენს. მაგრამ მუდამ აუცილებელია ძვირადღირებული არმატურა? კანადელმა მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ არ არის აუცილებელი. მათ დაამზადეს რკინა-ბეტონი, რომელშიც არმატურის მაგივრობას სწევდა წვრილად დაჭრილი და ბეტონში არეული მავთულის ნაჭრები. შედეგებმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ახალი ბეტონი ორჯერ უფრო მტკიცე გამოვიდა, ვიდრე ძველი მეთოდით დამზადებული. ასეთი ბეტონი, როგორც ფიქრობენ, განსაკუთრებულად პერსპექტივიანია საგზაო მშენებლობაში.



## ფერადი რენტგენი

რენტგენით გადაღებული სურათები, როგორც ვიცით, შავთეთრია. მაგრამ ისინი თურმე შეიძლება ფერადიც იყოს. ამერიკელმა გამომგონებელმა ბერნარდ ფაინმა უკვე შეიმუშავა ასეთი მეთოდი.

მართალია, რენტგენის სურათები ვერ მოგვცემენ ისე ზუსტ ფერებს, როგორც ფოტოგრაფია, მაგრამ არასრული ფერებიც კი საშუალებას იძლევა უკეთ გავარჩიოთ სურათზე სხვადასხვაგვარად შეფერადებული ორგანოები ან გარეშე სხეულები, რომლითაც დაინტერესებულნი არიან რენტგენოლოგი და ექიმი.

საინტერესოა, რომ ფერად რენტგენს შეუძლია აღმოაჩინოს სხეულში მოხვედრილი მინის ნამცეციც კი, რომელიც ჩვეულებრივი რენტგენისთვის გამჭვირვალე და მიუწვდომელია.

ამრიგად, ახალი გამოგონება დიდად აფართოებს რენტგენის მოქმედების არეს ადამიანთა მკურნალობის საქმეში. ზემოხსენებული ექსპერიმენტი სულ მალე სამედიცინო პრაქტიკაში დაინერგება.





ეროვნული ბიბლიოთეკა

გულნარა ბახტაძე

# ტოკიოს ბილეთები







იმ დღეს ივრის წყალი უნდა გაეშვათ თბილისის ზღვის ასავსებად და თითქმის არავინ დარჩენილა ქალაქში, რომ იქით არ გაქცეულიყო.

ერთი ცნობილი მწერალი რატომღაც წინადღით ჩასრიალდა მანქანით სამგორში. ეს მაშინვე შეიტყვეს მისმა მეგობრებმა და თანამოკალმეს შარი მოუდეს. წინა დღით იმიტომ წავიდა სამგორში, რომ მერე დაიკვეხოს—რაღა არ მინახავს ქვეყანაზე, ზღვის ფსკერზეც კი სუფრა გამიშლიაო!

ოთხი წლის წინათ, ტოკიოში ჩასული ქართველი ტურისტები მეიძის მშვენიერ პარკში დასეირნობდნენ. ამ პარკის მიდამოებში მდებარეობს ტოკიოს ეროვნული სტადიონი. გიდმა იქით გაიშვირა ხელი, მერე რამდენიმე ტურისტი გაიყოლია თან. სულ მალე სტუმრებმა ტოკიოს განთქმულ ეროვნულ სტადიონზე ამოჰყვეს თავი.

— აი, აქ ჩატარდება მომავალი ოლიმპიური თამაშობები!—თქვა სიამაყით გიდმა.

ეს სტადიონი იაპონელებმა მესამე აზიური თამაშების წინ გააშენეს. სტადიონი იტევდა ორმოცდაათი ათას მაყურებელს. ახლა აქ მიმდინარეობდა სტადიონის რეკონსტრუქცია, იაპონელები უკვე შესდგომოდნენ სამზადისს, აფართოებდნენ სტადიონს, რომ ოლიმპიადის დღეებში მასზე ოთხმოცი ათასი გულშემატკივარი დატეულიყო. ერთი ქართველი ტურისტი, სპორტის დიდად მოტრფიალე, შიგ შუაგულ მოედანზე იდგა. მან კარგა ხანს უცქირა სტადიონის ლამაზ სარბენ ბილიკებს, მწვანე მინდორს, ფართო დასაჯდომ ცარიელ ადგილებს და ამოიოხრა.

—ეჰ, —თქვა მან,—რა იქნება, რომ დღეს იმართებოდეს აქ ოლიმპიური თამაშები? ხომ ვნახავდით! ერთი ცალი თვალით მაინც შემახედვინა როგორ გააკრავს ჩვენი გივი იაპონურ ხალიჩაზე კაცურა მოტოს.

მაშინ სპორტულ მსოფლიოს ეს ორი სახელი ეკერა პირზე.

მე მწერლისა და ზღვის ფსკერის ამბავი მომაგონდა. ვუამბე მას და გავამხნევე—გულს ნუ გაიტეხ, ფეხი ხომ დაგიდგამს ტოკიოს სტადიონზე? მაშ ვითომ შეჯიბრებისთვისაც გიყურებია. ასე რომ, შენც შეგიძლია იტრაბახო—ტოკიოს ოლიმპიადაზე ვიყავიო.

იმას სულაც არ ეხუმრებოდა, მწარედ გაიცინა და მითხრა—ვინ დამიჯერებს?

— რატომაც არა, — დავამშვიდეთ ჩვენი თანამგზავრი—ჩვენ ხომ მოწმენი ვართ, რომ შენ და ოთარმა შემწვარი ბაყაყიც და უხსენებლის სუკიც მიირთვით, თუმცა მინდიასავით ბრძენი ვერც ერთი ვერ გახდით. შენ თქვი და ჩვენ ყველაფერზე დაგემოწმებით, ბატონო, ნუ გეშინია!

იმ მწერლის არ იყოს, მეც იქ გახლდით, იაპონიაში, სპორტის იმ მოყვარულთან ერთად. ახლა იქნებ ისიც არ დამიჯერონ, რომ ტოკიოს ტელევიზიაშიც გამოვედი და ტელემაყურებლებს ვესაუბრე; ახლა ალარაფერია გასაოცარი,—ეგ კი არა, იმასაც დაგიჯერებენ, რომ შენ ასულხარ ტოკიოს კოშკ კოტოკიროზე, რომელიც კიბის 1886 საფეხურს ითვლის, ასულხარ ამ კოშკზე 17 წუთში, რადგან ალმართი არ ჩაგეთვლება, თუ ამ დროში არ ჩაეტიე! რატომაც არა? აგერ ახლახან არ იყო, მსახიობმა პოპოვმა ყირა რომ გაჰიმა ეიფელის კოშკზე? დიახ, ყველაფერი შესაძლებელია. მაგრამ ტყუილად არ იფიქრო, ვინმემ დაგიჯეროს, რომ შენ ოლიმპიურ თამაშებს დასწრებიხარ ტოკიოში.

თბილისის სტადიონის ბილეთს ძმა ძმისთვის ვერ იმეტებს და მამა შვილისათვის. ტოკიოს ოლიმპიურ ბილეთს რომელი ჭკუაზემყოფელი დაგითმობს? ეგ კი არა და, თვითონ იაპონელები დარჩნენ უბილეთოდ. ბილეთები საიდუმლოდ დაგზავნა ტოკიოს ბანკმა საზღვარგარეთ, დაგზავნა ჩვეულებრივ კონვერტებში, რომლებსაც არ დაუსვეს არც ტრადიციული ოლიმპიური ბეჭდები და არც საორგანიზაციო კომიტეტის შტამპი. კონვერტები შენიღბეს ჩვეულებრივი ფასიანი წერილების სახით, ქურდობა რომ თავიდან აეცილებინათ. სიფრთხილეს თავი არა სტკივაო და ყველა გაგზავნილი ბილეთი მიკროფირით გადაიღეს—უცხოელები არ შემოძვრნენ ყალბი ბილეთებითო.

აი რა სიძნელეების წინაშე დგას ტოკიოს ოლიმპიადაზე წასვლის მოსურნე. მაგრამ როგორადაც ძნელი არ უნდა იყვეს ბილეთის შოვნა, რა საიდუმლოებითაც არ უნდა იყოს მოცული მისი დაგზავნა, დღეს ტოკიოს ბატალიას ესწრება უამრავი უბილეთო მაყურებელი, ზის იგი თავის სახლში, თუ ცხვარს მწყემსავს იალაღებზე.

ზემოდან ქვემოთ: სამი ჩემპიონი ერთი ოჯახიდან — გურამ სალარაძე (შუაში), მამა — რევაზ სალარაძე (მარჯვნივ) და ბიძა—იორამ სალარაძე; ზარიბეგ ბერიაშვილი; რომან რურუა სტუმრად პიონერთა სასახლეში; შოთა ლომიძე მეუღლესთან ერთად საკუთარ ბაღში; მარჯვნივ გურამ სალარაძის საყვარელი ილეთი.

ბრძოლაში ჩასაბმელად ტოკიოს ესტუმრა ყველა კონტინენტის ასობით რჩეული სპორტსმენი. ბრძოლაში მჯობნის მჯობნი უნდა აირჩეს, უკეთესზე უკეთესი. ქართველებს ყველაზე მეტად მაინც თავისიანებზე შესტკივათ გული, ისინი თავიანთ ფალავნის ბედზე სწუხან; აი ისინი.

## კვიცი გვარზე ხტის

იყო დრო, როცა რევაზ სალარაძეს თბილისელები თავისი ბიჭობით იცნობდნენ. სილამაზეში და ვაჟკაცობაში ტოლი არ ჰყავდა.

ხანში შევიდა ძველი მოჭიდავე. სამაგიეროდ, შვილი გაჰყვა მის კვალს. ვისაც ეს ორი სალარაძე ერთად უნახავს, უთუოდ შეამჩნევს—რევაზს წლებისთვის კი არ დაუთმია თავისი ჯანი და სილამაზე, გურამისთვის გადულოცნია.

თბილისელებმა გურამ სალარაძე იმ დღეს იწამეს, როცა ერთხელ ცირკში გამართულ პაექრობაზე ოცი წლის გურამმა მარდად აატრიალა ხალიჩაზე მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის იმამ ჰაბიბის დაკუნთული სხეული და ირანელთა კერპი დაამარცხა.

სულ მალე ამის შემდეგ—საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის წარჩინებული სტუდენტი გურამ სალარაძე ჰელსინკში გამართულ მსოფლიო ახალგაზრდობისა და სტუდენტთა ფესტივალიდან ოქროს დიდი მედლით მკერდდამშვენებული დაბრუნდა.

სულ უფრო და უფრო შორს ვრცელდებოდა გურამ სალარაძის სახელი. გურამ სალარაძე საქართველოს ჩემპიონი... სსრ კავშირის ჩემპიონი... მსოფლიო ჩემპიონი. ვინლა წავიდეს ტოკიოში უკეთესი, თუ გურამი არა? ოლიმპიური ასპარეზობის წინ გურამი ბევრს ფიქრობდა იქ მოსალოდნელ ბრძოლებზე და ხშირად სოფია აგონდებოდა, როცა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ პაექრობაში დერმენჯიევს აჯობა. ბულგარელებმა ვეღარ დამალეს თავიანთი აღტაცება, მიცვივდნენ ქართველ ფალავანს და გამარჯვების კვარცხლბეკზე შესვეს. იმ წუთებში გურამს ნაცნობმა მელოდიამ მოსტაცა ყური. თავბრუ დაესხა. ქართველი ფალავნის პატივსაცემად უკრავდნენ მისი სამშობლოს ჰიმნს. ანძაზე წითელი დროშა აფრიალდა.

გურამს თვალწინ ახლა ტოკიო ედგა. და უკვე ესმოდა როგორ უკრავდა ორკესტრი ჰიმნს მისი გამარჯვების აღსანიშნავად. გურამს ეღიმებოდა. თავის თავის რწმენაა ეს, თუ გამარჯვების დიდი სურვილი?

ერთიც და მეორეც ყველა დაბრკოლების გადალახვის საწინდარია.

## რომან რურუა

რომან რურუა... რომან რურუა—ისმის უკანასკნელი სამი წლის მანძილზე სპორტის ახალი ვარსკვლავის სახელი. მის ძალასა და ტექნიკას აღტაცებაში მოჰყავს შინაურებიც და გარეშენიც. ოცდაორი წლის ფალავანი თვრამეტჯერ შეხვდა მსოფლიოს მრავალი ქვეყნის უძლიერეს ფალავნებს და ორჯერ დამარცხდა მხოლოდ.

რომან რურუას თაყვანისმცემელია ყველა ვისაც მისი ლამაზი ბრძოლისათვის უყურებია. მოსკოველები მოწმენი ყოფილან იმისა, თუ როგორ გააკრა რომანმა საჭიდაო ხალიჩას ჩვენი ქვეყნის უძლიერესი ფალავნები: ი. გრიგორიევი, ვ. კაციუბა, ს. აგამოვი და ა. კაპალოვი.

სპორტის მოყვარულნი უკვე უამრავ წერილებს უგზავნიან რომანს, ამხნევებენ და ზოგიერთი აქედანვე რჩევასაც აძლევს—თანაც ყველა იმედოვნებს—იციან, რომანი კვლავ ასახელებს თავის ქვეყანას.

## მოლდავეთში მონათლული

ის იყო შოთამ საშუალო სკოლა დაამთავრა, უმაწვილობას გადააბიჯა, რომ ბიჭი სამხედრო სამსახურში, მოლდავეთში გაიწვიეს. ერთ დღეს შოთა ლომიძე სამხედრო ნაწილის უფროსმა დაიბარა. უფროსმა მუშტრის თვალით გასინჯა თავისი ჯარისკაცი და უთხრა: ხვალ ჩვენი ნაწილი შეჯიბრებაში გამოდის და უნდა იჭიდაო.

შოთა დაიბნა. პასუხი დააყოვნა. ჭიდაობა? სადაური მოჭიდავეა შოთა ლომიძე? საყულიაში ერთი გოგია-ბიჭი იყო, მოისულელებდა, ის წაუქცევია და კიდევ მეზობლის პატარ-პატარა ბიჭები.

—უნდა იჭიდაო, გესმის ლომიძე!—კვლავ გაიმეორა უფროსმა.

შოთა გამოფხიზლდა,—არის უფროსო!—დაიქუხა მან და გამოიჭიმა — მაგრამ, რომ არ ვიცი ჭიდაობა?

ეტყობოდა უფროსი არ მოელოდა ასეთ პასუხს, ჯერ გაოცებული სახე მიიღო, მერე წარბები შეიკრა და დაუყვირა:

—მაშ სადაური ქართველი ხარ, ლომიძე? ვინ მოგცა მაშინ ლომის გვარი? უარი არ გამაგონო, უნდა იჭიდაო!

მეორე დღეს სამხედრო ნაწილი ასახელა შოთა ლომიძემ. ცოტა ხნის შემდეგ ოლქის ჩემპიონი გახდა, დიდხანს არ გაუვლია, რომ შეიარაღებული ძალების პირველობის პრიზიორად მოგვევლინა, შემდეგ მოლდავეთის ჩემპიონატის პრიზიორად.

და როცა 1959 წელს, ხალხთა მეორე სპარტაკიადაზე მოლდავეთის სახელით ხალიჩაზე ქართველი შოთა ლომიძე გამოვიდა, ყველამ იცოდა, რომ ამ ფალავანს მოპირისპირე ადვილად ვერ გაუმკლავდებოდა. მოლდაველები ცალკე იკვეხოდნენ:—დახეთ, რა მოჭიდავე გამოვზარდეთო, საყულიელებს კი გუნებაში ეცინებოდათ.

## ზარიბეგი გულდაწყვეტილია

ტოკიოს სტადიონი სავსეა. დღეს, ათ ოქტომბერს, აქ იხსნება ოლიმპიური თამაშები. აგერ, ორმოცდაათი დღის წინ, ოლიმპოს მთაზე მზის სხივებით ანთებულ ჩირაღდანს მოარბენინებს სტადიონის სარბენ ბილიკზე ცხრამეტი წლის ჭაბუკი. ოთხმოცი ათასი კაცი ფეხზე ამდგარი ელის ოლიმპიური ცეცხლის გამოჩენას.

ეს ის მეჩირაღდნე როდია, რომელმაც ოთხი წლის წინ „ფორო იტალიკოს" სტადიონზე გამართულ ოლიმპიურ თამაშობებზე შემოიტანა ჩირაღდანი. მას პოლიციელები გამოუდგნენ, ცეცხლი გამოგლიჯეს და კინწისკვრით გააგდეს სტადიონიდან. ეს გახლდათ უბილეთოებს შორის ყველაზე გონებამახვილი ბიჭი.

ახლა ნამდვილ მეჩირაღდნეს მიესალმება სტადიონი. ვის ხვდა წილად ბედნიერება ეს ჩირაღდანი შემოეტანა? ოლიმპიადის მონაწილეს, ცხრამეტი წლის ესინარი საკაის; ესინარი დაიბადა სწორედ იმ დღეს, როცა ხიროსიმაზე გასკდა ატომური ყუმბარა. გადარჩა ესინარი იმიტომ, რომ იგი ცხოვრობდა ხიროსიმიდან 60 კილომეტრის დაშორებით.

ოლიმპიური ჩირაღდანი ესინარიმ უნდა აანთოს.

ოლიმპიადის ცერემონიალს ესწრება პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი, სსრ კავშირის არა ერთგზის ჩემპიონი, ოლიმპიადის მონაწილე ზარიბეგ ბერიაშვილი.

ზარიბეგს ჰკითხეს — ისურვებდი ესინარის ბედს?

ზარიბეგს გაეცინა. — არა ძმაო, არც ხიროსიმას მიდამოები მინდა და არც ჩირაღდანი. ერთზე კი მწყდება გული: ათ სექტემბერს ოცდახუთი წელი შემისრულდა, რა იქნებოდა ათ ოქტომბერს დავბადებულიყავ?

— რათა?

— ოქტომბერში დაბადებულებს იაპონელები საჩუქარს მიართმევენ. ვეებერთელა ტორტს, რომელზედაც ფუძიამას მთა არის გამოსახული. მერე რა მადა მაქვს ბრძოლის შემდეგ! მითუმეტეს თუ ხასიათზე ვარ, რას გადავსანსლავდი ნამცხვარს თავის ვულკანიანად?

ეროვნული ბიბლიოთეკა

**დავით ხუროძე**

## შენი სინათლით სავსე ფანჯარა

შენი ფანჯარა—ოცნების მახე,
გამომიტაცეს ლექსის ქარებმა...
რატომ მახარებს ფერმკრთალი სახე,
ან რად მათრთოლებს ეს მდუმარება...
ან რად ვმღელვარებ, როცა გავივლი,
არ მიკელაპტრებს შენი თვალები,
დგას ფანჯარაზე ბნელში ყვავილი
შენ კი, მზის შუქო, სად მემალები!
ისე კარგი ხარ, რას შეგადარო...
სიყვარულია? არა, არ მჯერა,
მაშ რატომ გახდა ჩემი სადარო
შენი სინათლით სავსე ფანჯარა!
ვინ ხარ, არ ვიცი, გოგო შავთვალა,
ან რა თილისმა შემომაპარე,
მაგრამ ოცნება ვინ დამიშალოს,
აფეთქებულხარ ლექსში აპრილი...
იქნებ შორიდან მოელი საქმროს,
მე კი ოცნება მეიმედება,
ვდგევარ სარკმელთან, სინათლეს აქრობ
და ღამე ჩემთვის უფრო ბნელდება...
შენი ფანჯარა — ოცნების მახე,
გამომიტაცეს ლექსის ქარებმა,
გხედავ? — მახარებს ფერმკრთალი სახე,
არ ხარ? — მათრთოლებს ეს მდუმარება...

**ბერდია ბერიაშვილი**

## თბილისს

ცა ყვავილთა ფიქრებს გაცრის,
ვარდის საბანს გადაგხურავს,
ოჰ, ნეტავ კი იყო კაცი,
გადაგკოცნოს კაცმა ძმურად.
ყოველ დილით ათას ფრთოსანს,
შენს ბუდიდან როცა აშლი,
ფოთოლსაც კი აქცევ მგოსნად
და მგოსანმა რა ქნას მაშინ?!..
შენ გიგალობს ყველა ოდეს,
მთიდან მთამდე, ზღვიდან ზღვამდე.
ყველა ბულბულს მინდა ვჯობდე,
სარაჯიშვილს მინდა ვგავდე!
სარაჯიშვილს მინდა ვგავდე,
ვანოს ხმა ხომ ჰქუხდა მეხად,
იმ სალამურს ვკოცნი, ადრე
შუაზე რომ გადიტეხა.
ლექსის ტრფიალს სხვა რა უნდა,
მეც მსურს ვჭექო ხმით, მეხურით.
დე, უდროოდ გატყდეს თუნდა,
შემდეგ ჩემი სალამურიც.
მე აკაკის ხმასაც ვნატრობ,
აკაკიც ხომ ბულბულია,
საქართველოს არ უგალოს,
თქვი ის გული, რა გულია, —
ქვა გულია!
ვუმღერ თბილისს, გულის კარი
გავუხსენ მის ახალ ბურჯებს,
მოდის სიტყვის ნიაღვარი,
ტყვიაც ვეღარ დამამუნჯებს!
მაშ, სიმღერა მსურდეს ოდეს,
დიდო მთებო, მიგდეთ ყური,
არასოდეს გატყდებოდეს,
ნეტავ ჩემი სალამური!

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბლ. ბიბლიოთეკა

# იეთიმ გურჯის გამოუქვეყნებელი ლექსები



ეროვნული ბიბლიოთეკა

იეთიმ გურჯის ლექსები, რევოლუციის შემდგომ წლებში, სულ სამჯერ გამოიცა: პირველად—1928 წელს (34 ლექსი, შემდგენელ-რედაქტორი შ. აფხაიძე, ტირაჟი 3.000), მეორედ — 1956 წელს (52 ლექსი, შემდგენელი, წინასიტყვაობის ავტორი და რედაქტორი ან. თევზაძე, ტირაჟი 120.000) და მესამედ — 1960 წელს (72 ლექსი, შემდგენელი ა. ბარნოვი, ირ. აბაშიძის წინასიტყვაობით, რედაქტორი ი. გრიშაშვილი, ტირაჟი 20.000). ამ გამოცემების მთლიანი ტირაჟი მყისვე გაიყიდა.

მეორე გამოცემაში, მცირე რედაქციული შესწორებით, მთლიანად შევიდა 1928 წლის გამოცემის ლექსები, ხოლო პირველად გამოქვეყნდა 18 ლექსი, რომელთაგან ნაწილი გადმოვიღეთ საქართველოს ლიტერატურულ მუზეუმში დაცულ იეთიმ გურჯის არქივიდან, ნაწილი კი გადმოგვცა პოეტმა-აკადემიკოსმა ი. გრიშაშვილმა.

1960 წლის გამოცემაში შესულია წინა გამოცემების 47 ლექსი, ხოლო 25 გამოქვეყნებულია პირველად. ისინი შემდგენელს ა. ბარნოვს, როგორც მგოსნის პირად მეგობარს, თვითონ ჰქონია შენახული. აქ უნდა შევნიშნოთ, რომ მეორე გამოცემის ხუთი ლექსი რატომღაც არ შეუტანიათ ახალ კრებულში.

იეთიმ გურჯის ლექსების ჩემი რედაქციით გამოსვლის შემდეგ, 1956 წლის ზაფხულში ჩემთან მოვიდა თბილისელი ხანდაზმული მოქალაქე გიორგი ტერტეროვი, გამეცნო იეთიმ გურჯის ძველ მეგობრად, გადმომცა მოსწავლის რვეულში თავისი ხელით ჩაწერილი იეთიმ გურჯის რამდენიმე ლექსი და მთხოვა, ეს ლექსები მგოსნის კრებულისათვის დამემატებინა. ცხადია, ეს მაშინ არ მოხერხდებოდა, რადგან წიგნი უკვე გამოსული იყო.

აღნიშნულ რვეულში მეტად გაურკვევლად, მკრთალი ფანქრით, ჩაწერილი იყო ცხრა ლექსი. რვეულში აღმოჩნდა ორი ფურცელი იეთიმ გურჯის „დავთრისა“, რომელიც დაცულია ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში. ამ ფურცლებზე თვით იეთიმ გურჯის ხელნაწერი ლექსებია: პირველი (ფანქრით) „სულის მეგობარს“, 1932 წლის 23 ნოემბრით, ხოლო მეორე (მელნით) „სამძიმრის ლექსი“, 1934 წლის 25 თებერვლით დათარიღებული. რვეულში ჩაწერილ ლექსებს კი თარიღები არა აქვს.

„დავთრის“ ფურცლებმა, აგრეთვე სტილმა და წერის მანერამ, დაგვარწმუნა, რომ ლექსები იეთიმ გურჯს ეკუთვნის. ერთი, სახელდობრ „საქართველოს მწერლებს“, ა. ბარნოვსაც ჰქონია შენახული და გამოაქვეყნა კიდეც 1960 წლის გამოცემაში (გვ. 46). რომ მცოდნოდა, „საბჭოთა მწერალი“ ხელახლა ბეჭდავდა იეთიმ გურჯის ლექსებს, აღნიშნულ რვეულს უთუოდ გადავცემდი შემდგენელს.

სამწუხაროდ, ჩემგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, აქამდე ვერ მოვახერხე ჩემს ხელთ არსებული იეთიმ გურჯის უცნობი ლექსების გამოქვეყნება. ახლა ისინი გადავათეთრე და რამდენიმე მათგანს ვთავაზობთ მკითხველს.

ანდრო თევზაძე

## ჩემი ანდერძი

გმირი ვარ, ქართლის შვილი ვარ,
გული მაქვს ფოლადისაო,
მამულისათვის ფარად ვარ,
მეხად დამცემი მტრისაო.

აღარ მეღირსოს სამარე,
გულს მიწა დასაყარათა,
თუ რომა მოძმის წუხილი
მიმაჩნდეს გასახარათა.

მიმუხთლოს წყვილმან თვალებმან,
ველარ ვიხილო ნათელი,
თუ არ დავიწვა მოძმისთვის,
როგორც რო წმინდა სანთელი.

მგლებმა ანდერძი ამიგონ,
გავხდე ყვავების წილია,
თუ მომესმას და მიამოს,
მოძმის კვნესა და ჭირია.

თუ რომ გაცრუვდეს, გამტყუნდეს
ჩემი თქმული და ქადილი,
სული სატანამ ამართვას,
გავხდე ტურების სადილი.

თუ დამიჭიროთ მუხთლობა,
სულ აღარ მომცეთ სალამიც,
მარჯვენა მკლავიც გამიხმეს,
გაოხრდეს ჩემი კალამიც.

ჩემი ანდერძი ეს არის,
მტკიცედ მაქვს გულში დებული,
სამარეთ შიგან ჩასვლამდის
არ მექნეს დავიწყებული.

## წელიწადის ოთხი დრო

წელიწადი, თორმეტი თვე
ოთხ სამეფოს შეადგენსა,
ერთი ჰყინავს, ორი ბრწყინავს,
მეოთხე ხალხს მოალხენსა.
ზამთარ მეფე იანვარი
ყოჩაღია, ბრაზიანი,
სურს რო ქვეყანა გაცარცოს,
ყველასათვის სურს ზიანი.
მაისმა და აპრილ მეფემ
ერთმანეთს რომ მისცენ მხარი,
ზამთარ მეფეს დაამარცხვენ,
სამივ ერთად მეომარი...

## რასტი

შენმა ენამ, სილამაზემ შამიპყრო,
ყმაწვილობით დღემდი შენ გემსახურე,
შენმა რწმენამ სალოცავად დამიპყრო,
ვარდს გიფენდი, მე კი ძეძვი ვიხურე.

შენს სურათსა მე ხატად ვატარებდი,
გინათებდი, სანთელივით ვდნებოდი,
შენსა სახეს სუყველას ვაყვარებდი,
რა ვიცოდი, თუ მე ბნელში ვრჩებოდი.

შენს წალკოტის ღობედ ვიყავ ქცეული,
გდარაჯობდი, ვიყავ ყარაულათა,
შენ აშენდი, მე ვარ ჩამოქცეული,
არც გინდივარ ახლა ეზოს მურათა.

არ გემდური, მაგრამ კარგს არას შვრები,
ერთი მაინც მოიგონე ასშია,
აბა კარგად დაუკვირდი, რას შვრები,
თბილად გძინავს, მე კი მცივა კარშია.

მე მიყვარხარ და კიდეც მეყვარები,
დაუკვირდი, თუ ჯიგარი გაბია,
შენსა ლხინში მიმიხურე კარები,
იეთიმ გურჯსა ენა აღარ მაბია.



# „წინაპრები და მეგობრები“

ჩვენში ხშირად ლაპარაკობენ ლიტერატურული კრიტიკის ჩამორჩენაზე. მართლაც, ჩვენი კრიტიკა ჯერ კიდევ ვერ დგას სასურველ დონეზე; ჩვენი დრო, ჩვენი ხალხი უფრო მეტს მოითხოვენ მისგან

მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, თითქოს ჩვენს კრიტიკას ქართული საბჭოთა კულტურის მშენებლობაში თავისი წვლილი არ შეეტანოს. ჩვენ უფრო მეტს მოვითხოვთ ჩვენი კრიტიკოსებისაგან, თუმცა თვალს არც იმაზე ვხუჭავთ, რაც მათ კარგი გაუკეთებიათ.

ჩვენმა კრიტიკოსებმა და ლიტერატურისმცოდნეებმა არა ერთი კარგი წიგნით გაამდიდრეს მკითხველის წიგნის თარო. მათ რიცხვს ახლახან მოემატა სერგი ჭილაიას „წინაპრები და მეგობრები“, რომელიც „ლიტერატურა და ხელოვნებამ“ გამოსცა. ამ წიგნში ავტორი აღნიშნავს: „ჩვენს თანამედროვე ლიტერატურისმცოდნეობას და კრიტიკას არ გამორჩენია არც ერთი თანამედროვე საბჭოთა მწერალი, რომლის შემოქმედებას გარკვეული შეფასება არ ჰქონდეს მიცემული“ (გვ. 256).

სრული სიმართლეა. ჩვენს ლიტერატურულ კრიტიკას უნდა ვუმადლოდეთ, რომ ბევრი ქართველი მწერლის რომანი, მოთხრობა, ლექსი თუ პოემა მკითხველთა შორის პოპულარული გახდა და გავიდა საქართველოს ფარგლებს გარეთ, მოძმე რესპუბლიკებში. უფრო მეტიც: ქართული კრიტიკული აზროვნება, ქართული კრიტიკა დაეხმარა ბევრ ჩვენს მწერალს, რათა მათი ნაწერები მსოფლიო ასპარეზზე გასულიყო.

ყველაზე მეტი დახმარება, ყველაზე მეტი ხელშეწყობა, სწორი გზის ჩვენება, უდავოა, რომ ახალგაზრდა მწერალსა სჭირდება. ს. ჭილაიას ზემოხსენებული წიგნი ამ მხრივ ბევრ საგულისხმო სტატიას შეიცავს: აქ არის წერილები რევაზ ინანიშვილის, მორის ფოცხიშვილის, მედეა კახიძის, ოტია იოსელიანის, ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებებზე; ამ წერილებმა თავის დროზე კარგი როლი შეასრულეს ახალგაზრდა ოსტატების ფორმირების პროცესში.

სერგი ჭილაიას „წინაპრები და მეგობრები“ შინაარსის მხრივ მეტად მრავალფეროვანია. წიგნი შედგება ექვსი განყოფილებისაგან: „წინაპრები“, „მეგობართა ხმები“, „ზოგადი საკითხები“, „რუსი მწერლები“, „კარის მეზობელი“ და „მოგონებათა სალამოები“. აღსანიშნავია, რომ ავტორი წარსულის შესწავლას იმ ასპექტიდან იწყებს, თუ როგორ მონაწილეობენ ჩვენი კლასიკოსების უკვდავი ნაწარმოებნი ჩვენი საბჭოთა კულტურის მშენებლობაში. ამ მხრივ დამახასიათებელია ავტორის დებულება: „ქართული საბჭოთა მწერლობა სწავლობდა და კვლავაც მიმართავს ილიას დაუშრეტელ პატრიოტულ მგზნებარებას და მებრძოლ სულისკვეთებას. მასში ხედავს მაგალითს საბჭოთა საქართველოს უმწიკვლო სამსახურისა“; ამავე თვალსაზრისით იხილავს მკვლევარი გრ. ორბელიანის, ნ. ბარათაშვილის, აკაკი წერეთლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რა არის ჰიპნოზი

ჰიპნოზს ჯერ ისევ კაცობრიობის ისტორიის გარიჟრაჟზე, ძველ ეგვიპტეში მიაქციეს ყურადღება, მაგრამ ათასეული წლების მანძილზე იგი რჩებოდა მიუწვდომელ და ამოუცნობ საიდუმლოებად. ამიტომ იყო, რომ მას მარჯვედ იყენებდნენ ყველა დროისა და ყველა ქვეყნის ღვთისმსახურნი, ქურუმები და „ჯადოქრები". მაგრამ აი, აქა-იქ გაიელვეს პირველმა სუსტმა ყლორტებმა ცოდნისა, რომლებსაც ნამცეც-ნამცეც კრებდნენ ბუნებისმეტყველები და ექიმები. მეცნიერება სულ უფრო გაბედულად სტაცებდა მისტიკას ხელიდან ჰიპნოზს და ადამიანთა, ავადმყოფთა სასარგებლოდ იყენებდა მას. მე-16 საუკუნეში ჰიპნოზი თავის კვლევის საგნად აქცია გერმანელმა ექიმმა პარაცელსმა. „უნდა იცოდეთ — ამბობდა იგი, — ნებისყოფის ძალა, რისიმე შთაგონება ადამიანთათვის — მათი მკურნალობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალებაა". მაგრამ პარაცელსის ნააზრევში ბევრი რამ არამეცნიერული იყო; ის, მაგალითად, მაგნიტითაც „ჰკურნავდა" ადამიანებს, ფიქრობდა, რომ „სასწაულებრივი ძალა" ადამიანში კი არა, მაგნიტში იყო.

ორასი წლის შემდეგ, მე-18 საუკუნეში ფრანც მესმერმა ამავე ხერხს მიმართა. იგი შეძლებული კაცი იყო, ხელგაშლით ცხოვრობდა თავის მდიდრულად მოწყობილ სახლში, ვენის გარეუბანში. მას იტაცებდა მუსიკა, ფილოსოფია, სამართალი. მის სახლში კონცერტებს მართავდა მოცარტი. ერთხელ მესმერმა ყური მოჰკრა, რომ ვილაც დიდგვაროვანი ქალი მაგნიტის საშუალებით განკურნეს მძიმე ტკივილებისაგან. ადგა და თვითონაც მიჰყო ხელი ამგვარ „მკურნალობას". მესმერი მიადებდა ხოლმე მაგნიტს ავადმყოფს და ხანდახან ავადმყოფი, მართლაც, შვებას გრძნობდა. ქალი თუ კაცი, მოხუცი თუ ახალგაზრდა მოაწყდა მესმერის სახლს. ათი-თხუთმეტი კაციდან სულ ორიოდე თუ იგრძნობდა ხოლმე ტკივილების შემსუბუქებას, მაგრამ ადამიანებმა ქვეყანას მოჰფინეს ხმა მესმერის სასწაულმოქმედი ნიჭის შესახებ.

მაგრამ მესმერმა უცნაური რამ შენიშნა.

ზოგიერთი ავადმყოფი კარგად ხდებოდა იმისაგან დამოუკიდებლად, მიადებდა ექიმი სხეულზე „მკურნავ" მაგნიტს თუ არა. მეტად გაოცებული მესმერი დარწმუნდა, რომ მაგნიტი არაფერ შუაში არ იყო, საკმარისი იყო ხელის უბრალო შეხებაც; ასე დაიბადა მესმერის ნახევრადმისტიკური „თეორია" „სასიცოცხლო მაგნიტიზმის" შესახებ.

მესმერის აზრით, თითქოსდა მთელს სამყაროში გაფანტულია „მაგნიტური ფლუიდი", რომელიც შეიძლება დაგროვდეს ყველა ცოცხალ ორგანიზმში; ეს თითქოს და, უზრუნველყოფს მათს სიცოცხლისუნარიანობას. არსებობენ ფლუიდით მეტად მდიდარი პიროვნებები, რომლებსაც შეუძლიათ გაუნაწილონ იგი სხვებსაც. და აი, თავისი თავიც ასეთ იშვიათ პიროვნებად მიიჩნია.

აღფრთოვანებული მესმერი სულ უფრო ფართო ასპარეზს უქმნის თავის საექიმო პრაქტიკას. მაგრამ მას მოწინააღმდეგენიც ბლომად აღმოუჩნდნენ. ასეთი ექიმობა, უწამლოდ და უინსტრუმენტებოდ, მათ წმინდა თაღლითობად მიაჩნდათ.

მაგრამ ყოველივე ეს, როგორც ჩანს, იყო მხოლოდ ჩვეულებრივი მკურნალობა ჰიპნოზითა და შთაგონებით.

* * *

მეცნიერები კვლავინდებური სიჯიუტით განაგრძობდნენ ბუნების ამ დიდი საიდუმლოების არსის გარკვევას, განსაკუთრებით თავდადებით მუშაობდა ინგლისელი ჯეიმს ბრედი. იგი, მესმერისტებისაგან განსხვავებით, მის მიერ შთაგონებულ ძილს თვლიდა არა მაგნიტურ, არამედ ნერვულ ძილად. მალე ბრედი პოულობს ამ ძილისათვის სპეციალურ ტერმინს, რომელიც შემდეგ სამუდამოდ შევიდა მეცნიერებაში და ყოველდღიურ საუბარში — ჰიპნოზი, რაც ბერძნულად სწორედ ძილს ნიშნავს.

1880 წლის იანვარში გერმანელმა პროფესორმა ჰაიდენჰაინმა თავის ლექციაში დაასაბუთა, რომ ჰიპნოზის დროს შესაძლებელია თავს მოახვიო პაციენტს საკუთარი ნება, ამასთან, მკვეთრად ეცემა მისი ტკივილის გრძნობა.

ამრიგად, გამოჩნდა გზა იმისაკენ, რომ ჰიპნოზი გამოეყენებინათ ადამიანის საკეთილდღეოდ.

ამავე დროს, მთელი მსოფლიოს ჰიპნოტიზიორთა ცდებმა დაამტკიცეს, რომ ჰიპნოზით ვერ ხერხდება არამარტო ის, რომ აიძულო კაცი დანაშაული ჩაიდინოს, არამედ ისიც, რომ გააკეთებინო რაღაც ისეთი რამ, რაც ეწინააღმდეგება ჩვეულებრივ საყოფაცხოვრებო ნორმებს.

ექიმმა კოკემ ერთხელ პაციენტს, ჰიპნოზის დროს, ხანჯლის მაგივრად, პანქოს ქაღალდი დააჭერინა ხელში და უბრძანა გული გაეგმირა მისთვის; პაციენტმა დაუყოვნებლივ შეასრულა ბრძანება. მაშინ კოკემ დანა მისცა და გაუმეორა ბრძანება. პაციენტმა აღმართა ხელი, დანა გააგდო და კრუნჩხვები მოუვიდა. დე იონგმა ვერა და ვერ მოახერხა აეძულებინა ჰიპნოტიზირებული ახალგაზრდა ქალი, რომ მას მელანი გადაესხა თავის ახალ კაბაზე, თუმცა პაციენტმა ერთი პირობა დააპირა ამის გაკეთება, მაგრამ დახმლია თავი.

ამგვარად, ჰიპნოზში ადამიანი არ ღალატობს თავის თავს, თუ მას აქვს მტკიცედ გამომუშავებული მორალი და ღრმად განმსჭვალული გრძნობები — სიყვარული, სიძულვილი და ა. შ. დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ჰიპნოზის მეოხებით მათი შეცვლის ყოველგვარი ცდა უშედეგოდ დამთავრდება.

* * *

და მაინც, მეცნიერები დიდი ხნის მანძილზე ბოლომდე ვერ ხსნიდნენ ბუნების ამ დიდ საიდუმლოებას. მისი ამომწურავი შესწავლა შესაძლებელი გახდა მხოლოდ ჩვენი საუკუნის დასაწყისში და იგი მოგვცა დიდმა რუსმა ფიზიოლოგმა ივანე პეტრეს-ძე პავლოვმა.

მრავალრიცხოვანი, ზუსტი და ნათელი ცდებით პავლოვმა და მისმა მიმდევრებმა დაამტკიცეს, რომ ჰიპნოზი სხვა არა არის რა, თუ არა არასრული, ნაწილობრივი ძილი. ჩვეულებრივი ძილის დროს თავის ტვინი, ასე ვთქვათ, დამუხრუჭებულია, მისი შემადგენელი ყველა ნერვული უჯრედი ისვენებს. ჰიპნოზის დროს ტვინის დამუხრუჭებულ, „მძინარე" უბნების მასებს შორის რჩებიან ცალკეული ფხიზელი ანუ, როგორც პავლოვი უწოდებდა, „საგუშაგო", „მორიგე" პუნქტები. ეს პუნქტები ეხმაურებიან მხოლოდ განსაზღვრულ ხმებსა და ბგერებს. ასეთ არასრულ ძილზე რომ წარმოდგენა ვიქონიოთ, შემდეგი მაგალითი უნდა გავიხსენოთ: დაქანცულ დედას, ზოგჯერ არ ესმის დიდი ხმაურიც კი, მაგრამ საკმარისია ბავშვი გაფაჩუნდეს, რომ მაშინვე იღვიძებს.

სწორედ ასეთი მორიგე პუნქტების არსებობას ჰიპნოტიზირებულის ტვინში ამტკიცებს ის ფაქტი, რომ მას, არ აღიქვამს რა არავითარ გამაღიზიანებელს ირგვლივ არსებული გარემოდან, კარგად ესმის ჰიპნოტიზიორის შთამაგონებელი ხმა.

ცდებმა ამოხსნეს ჰიპნოზის სხვა საიდუმლოებანიც. მაგალითად, ოდითგანვე ცნობილი იყო, რომ თუ ღრმა ჰიპნოზში მყოფ ადამიანს მისცემდნენ მწარე წამალს, ვთქვათ ქინაქინს, და ამასთან შთააგონებდნენ, რომ იგი შაქარია, ჰიპნოზში მყოფი აღარ გრძნობს მწარე გემოს. თუ ჰიპნოზში მყოფს, რომელიც თბილ ოთახშია, ჩააგონებთ, რომ მას სცივა, ამით ნამდვილად შეიძლება მასში გამოიწვიოთ კანკალი და ა. შ. დადგენილი იქნა, რომ ყოველივე ამას იწვევს ტვინის მუშაობის თავისებურებანი, როცა იგი იმყოფება ძილღვიძილში, ანუ ძილისა და სიფხიზლის მიჯნაზე. ჰიპნოზიც სწორედ ასეთ გარდამავალ მდგომარეობას წარმოადგენს. ჩვეულებრივ, ფხიზელი ადამიანის ტვინი უპასუხებს გამღიზიანებელს გაღიზიანების შესაბამისი ძალით. ძლიერ გაღიზიანებაზე — ძლიერი პასუხით, სუსტზე — სუსტით. ჰიპნოზის დროს მდგომარეობა მკვეთრად იცვლება. ტვინის დამუხრუჭებული ნერვული უჯრედები ერთნაირად უპასუხებენ როგორც ძლიერ, ისე სუსტ გამღიზიანებლებზე, ზოგჯერ კი ძლიერზე უპასუხებენ უფრო სუსტად ან სულ არ უპასუხებენ.

სიფხიზლეში რეალური საგნები ადამიანის უფრო ძლიერ რეაქციას იწვევენ, ვიდრე მათი სიტყვიერი აღწერილობა. მდგომარეობა ძირფესვიანად იცვლება, როცა სიტყვა მიმართულია ჰიპნოზში მყოფი ადამიანისადმი. აქ სიტყვა უფრო ძლიერად მოქმედებს, ვიდრე საგნის უშუალო აღქმა, ხოლო სიტყვის ეს ძალა ექიმებმა გამოიყენეს სამკურნალო მიზნებისათვის. ბრმებისათვის თვალის სინათლის დაბრუნება, დამბლადაცემულების, დავრდომილების, ნევრასტენიკებისა და სხვათა განკურნება ჰიპნოზის საშუალებით დღეს ჩვეულებრივ ამბად იქცა. ჰიპნოზმა მტკიცედ დაიმკვიდრა ადგილი სტომატოლოგიაში, თერაპევტიაში, მეანობასა და ქირურგიაში.

ეჭვის გარეშეა, რომ ჰიპნოზის გამოყენება ფსიქოლოგიასა და მედიცინაში კიდევ უფრო გაფართოვდება. პედაგოგიკაში ჰიპნოზი გამოვა და უკვე გამოდის კიდეც როგორც ყურადღებისა და მეხსიერების ეფექტური გამაძლიერებელი.

ამგვარად, ხალხის პირველი დაკვირვება, მერე რელიგია და მკითხაობა, შემდეგ მედიცინა, და ბოლოს გამოყენებითი ფსიქოლოგია — ასეთია ჰიპნოზის გზა მისი არსებობის მანძილზე, და ჩვენ სრული საფუძველი გვაქვს მოველოდეთ მისგან კიდევ მრავალ ახალ საოცრებას.

---

შემოქმედებას; იგი გვიჩვენებს ჩვენი წარსულის დიდოსტატებს, როგორც დაუცხრომელ ნოვატორებს და წარბშეუხრელ მებრძოლებს ყოველივე იმის წინააღმდეგ, რაც ხავსმოდებულია და რაც წინსვლას ხელს უშლის. 1878 წელს გაზეთ „დროებაში" აკაკი წერეთელი წერდა: „ძველი თაობის კაცად ის მიგვაჩნია, ვისაც თავში აზრები დამპალი აქვს და გულში გრძნობები აყროლებული, გინდ ოცის წლისა იყოს ამგვარი კაცი და გინდ სამოცისა, სულერთია!"... მაშასადამე, აქ ასაკზე კი არ არის საქმე, არამედ სულიერ სიჭაბუკეზე და წინა პლანზე წამოიწევა ის, ვინც გამსჭვალულია ახლის გრძნობით და ვისაც წინ მიჰყავს ისტორია.

საინტერესოა ხერგი ჭილაიას წერილები ანტონ ფურცელაძეზე („მაცი ხვიტიას" ავტორი), დავით კლდიაშვილზე („ცხოვრების მართალი მხატვარი") და იროდიონ ევდოშვილზე („პოეტი-ტრიბუნი"). შემდეგ ის არჩევს შალვა დადიანის, გალაკტიონ ტაბიძის, ირაკლი აბაშიძის, დემნა შენგელაიას, ალ. ქუთათელის, ი. ლისაშვილის, გ. შატბერაშვილის, რ. მარგიანის, ი. ნონეშვილის და სხვათა ნაწარმოებებს, კონკრეტულად გვიჩვენებს, თუ რა შემატეს მათ ახალი ქართულ საბჭოთა ლიტერატურას.

განყოფილებაში „ზოგადი საკითხები" არა ერთი საინტერესო საკითხია დასმული და გადაწყვეტილი. ამ მხრივ უნდა აღინიშნოს წერილი „ქართული საბჭოთა ნოველა", „ერთი საგნის ორი სახელი", „ჩვენი ახალი თაობა" და სხვა. ეს წერილები ჩვენი ლიტერატურისმცოდნეობის საინტერესო დოკუმენტებს წარმოადგენენ.

ალ. სიგუა

ჟურნალი „ცისკარი" - 1964

ამერიკის შეერთებულ შტატებში ტექნოლოგიური ინსტიტუტის თანამშრომელმა ფელიქს კალბინმა ე. წ. „ქიმიური საათი“ დაამზადა. ეს საათი ჩვეულებრივ ქაღალდს წარმოადგენს, რომელიც სინათლემგრძნობიარე სითხითაა გაჟღენთილი და დროის ყოველ გარკვეულ მონაკვეთში სხვადასხვა შეფერილობას იღებს.

ქაღალდის ფერის მიხედვით მომხმარებელს შეუძლია მაშინვე გაიგოს, თუ რა ხნისაა პროდუქტი, რომელიც „ქიმიურ საათშია“ გახვეული.

•

ინგლისში, სპეციალურად აგებულ ქარხნებში დაიწყეს ახალი რეცეპტით დამზადებული... თევზის ქონის გამოშვება. თევზის ქონს პიტნისა და შოკოლადის სასიამოვნო სუნი უდის და ბავშვები სიამოვნებით სვამენ.

•

უცხოეთის ერთ-ერთ ზოოპარკში საინტერესო ცდა ჩაატარეს: ვოლიერში ადამიანები ჩაამწყვდიეს, მაიმუნები კი თავისუფლად გაუშვეს გარეთ.

მაიმუნები ცდილობდნენ ყველაფერში მიებაძათ ადამიანებისათვის: ისინი ორფეხა ტყვეებს დასცინოდნენ, ენას უყოფდნენ, ჯოხით აღიზიანებდნენ მათ, მჟესუმზირასა და ხილის ნაფცქვენებს სთავაზობდნენ.

•

მილიარდი წლის წინათ ცენტრიდანული ძალის გავლენით ჩვენს პლანეტას მოზრდილი „ნაჭერი“ მოსწყდა და მთვარედ გადაიქცა. ეს ჰიპოთეზა, რომელიც ჩარლზ დარვინის შვილს ასტრონომ ჟორჟ დარვინს ეკუთვნოდა, ამას წინათ კვლავ წამოაყენა გერმანელმა სწავლულმა ჰ. კვირინგმა.

მისი აზრით, მთვარე ჩვენს პლანეტას წყნარი ოკეანის მხრიდან მოსწყდა, ამ მონაგლეჯის „ჭრილობა“ კი დედამიწაზე წყნარი ოკეანის ვულკანური სარტყლის სახით დარჩა (კამჩატკა, კურილიისა და იაპონიის კუნძულები, ფილიპინები, ამერიკის ანდები, ინდონეზია).

•

მანქანა, რომელსაც ხმით მართავენ! — ასეთია კიბერნეტიკის უახლოესი მომავალი. მეცნიერების წინაშე დაისვა საკითხი: შესძლებს თუ არა მანქანა მრავალ ხმაში მხოლოდ თავისი „უფროსის“ ხმა ამოიცნოს და მის ბრძანებაზე მოახდინოს რეაგირება?

როგორც გამოირკვა, ასეთი რამ სავსებით შესაძლებელია. სპეციალისტებმა დაამზადეს კიბერნეტიკული მანქანები, რომლებიც ასეულ ხმაში მხოლოდ თავისი „უფროსის“ ხმას სცნობენ.

•

დანიაში აგეს მსოფლიოში უდიდესი ბორანი — „არვეპრინს-კნუდი“, რომელზეც 400 ავტომანქანა ეტევა. ავტომანქანების გარდა ბორანზე თავისუფლად შეიძლება მოთავსდეს 1.500 კაცი.

•

ამერიკის შეერთებულ შტატებში ამას წინათ სენსაციური ქურდობა მოხდა. ოგაიოს შტატის საგზაო პატრულებმა ბრძანება მიიღეს სასწრაფოდ მოეძებნათ ქურდები, რომლებმაც... ხიდი მოიპარეს.

როგორც გამოირკვა, ქურდებმა აცეტილენის საჭრისით კლივლენდის მახლობლად ნაწილ-ნაწილად დაჭრეს 17 მეტრის სიგრძის რკინის ხიდი, ნაჭრები თან წაიღეს და უგზო-უკვლოდ მიიმალნენ.

# უცხოური იუმორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მარიუშ კვიატკოვსკი

## მინისტრიც ადამიანია

მინისტრი ჩამოვიდა დასასვენებლად, მაშინვე შემოიარა მთელი აგარაკი. სალამო ხანი იყო. მეორე დილით კი, საუზმის დროს, მთელი სანატორიუმი ამაზე ლაპარაკობდა.

ყველა საუზმობდა რაც შეიძლება ჩქარა: დედები თავიანთ ბავშვებს გასძახოდნენ:

— ჩქარა, ნუღარ იგვიანებთ, წადით მინისტრის სანახავად!

დამსვენებელი პრანჭია ქალები დიდის მონდომებით ლამაზდებოდნენ.

და აი, მინისტრი გამოვიდა სასეირნოდ: ორი ნაბიჯიც არ ექნებოდა გავლილი, რომ გარშემო უკვე მთხოვნელები ეხვივნენ.

— ამხანაგო მინისტრო, მე უკვე მთელი წელიწადია ვუცდი ბინას! — მიმართა პირველმა და ხელში საჩივარი შეაჩეჩა.

— პან მინისტრო, ტრესტში მჩაგრავენ, ავანსს არ მაძლევენ, აი აქ ყველაფერი დაწვრილებითა მაქვს აღწერილი, — გადააწოდა წერილი მეორემ.

სადილის შემდეგ მინისტრი წავიდა ტყეში, წყნარად მისეირნობდა, გასცილდებოდა ერთ ხეს და მეორესთან კი მთხოვნელი დაუხვდებოდა.

მეორე დღეს მინისტრმა აუზს მიაშურა, ჯერ წყალში ჩასული არ იყო, იწვა ტახტზე და წიგნს ჩასცქეროდა, აიხედა და, ისევ მთხოვნელი დაინახა.

შეკრთა მინისტრი. მოსწყდა ადგილიდან და წყალში ჩახტა. ორი მეტრიც კი არ გაეცურა, რომ მარჯვნიდან და მარცხნიდან მთხოვნელები შემოეხვივნენ, ზოგი მხარულით მიცურავდა, ზოგიც ბაყაყურად მოარღვევდა წყალს.

— მე თქვენი უერთგულესი ადამიანი ვარ, პან, — შესძახა მან, რომელიც მარჯვენა მხრიდან მოსდევდა.

— არ გჭირდებათ თქვენ დირექტორი? — ეკითხებოდა ვილაც მარცხენა მხრიდან.

— პირადად მე... — იწყებდა მესამე, მაგრამ პირი წყლით ევსებოდა.

მისგან ხელმარცხნივ მყოფმა შესჩივლა:

— 1945 წელს მე ცილისწამების მსხვერპლი გავხდი.

ჩაყვინთა მინისტრმა, წყალი მომწვანო იყო, ირგვლივ სიჩუმე იდგა. უცებ, მის გვერდით რაღაც ლანდმა გაიელვა.

— ბულ, ბულ, ბულ! — მიაჩეჩა ვილაც საბანაო კოსტუმში გამოწყობილმა წყალგაუმტარი მასრა, რომელშიც რაღაც განცხადება იდო.

ატირდა მინისტრი, მაგრამ ეს არავის არ შეუნიშნავს, იმიტომ რომ წყლის ქვეშ იყო.

სალამოს დაბრუნდა სანატორიუმში... დილით კი, საუზმის დროს ყველა დამსვენებელს მხოლოდ ერთი ჰქონდათ სალაპარაკო:

— მხოლოდ ორი დღე დაჰყო და წავიდა!

—მოდი და ასეთ ადამიანს ეცი პატივი!

(პოლონური ჟურნალი „შპილკი“).

თარგმნა დოდო გოჯგუამ

გარეკანის პირველ გვერდზე: მალე მოუსმენენ შორეულ სამყაროებს. ფოტო ო. თურქიასი და ე. პესოვისა. გარეკანის მეოთხე გვერდზე: შემოდგომა. ფოტო თ. ფურცხვანიძისა. ჩანართის პირველ გვერდზე: იალალებზე. ფოტო ო. თურქიასი და ე. პესოვისა.

რედაქტორი გ. ნატროშვილი.
პ/მგ. მდივანი თ. გოგოლაძე.
სარედაქციო კოლეგია: ი. გიგინეიშვილი, ს. დურმიშიძე, მ. საკაშვილი, ი. ტაბაღუა, ი. ციციშვილი, რ. ჩხეიძე, უ. ჯაფარიძე.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა | მხატვარი-რედაქტორი დ. ნოდია. ტექრედაქტორი დ. სეფიაშვილი. კორექტორი ნ. ქუთათელაძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, IV სართ. ტელ. — რედაქტორის 3-34-66, პ/მგ. მდივნის — 9-82-69, განყოფილებების — 3-28-42

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. ფასი 30 კაპ.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 2/IX-64 წ. გამომც. № 86, ქაღ. ზომა $70 \times 108^1/_8$. 1,5 ქაღ. ფურც. ნაბეჭდი ფურც. 4,11. საავტორო ფორმათა რაოდ. 4,79. პირობით ფორმათა რაოდენობა 4,8. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 4,8. ტირაჟი 22.000. შეკვ. № 2259, უე 04535

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша“ (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. №14.

# უცხოური გაზეთები

ნახატები
გივი ლომიძისა.



## ესეც ბიზნესია

საუდის არაბეთიდან ბეირუთში ჩასულ ახალგაზრდა პრინცს ქუჩაში მოსეირნე ლამაზი ქალი მოეწონა და გადაწყვიტა, რადაც არ უნდა დაჯდომოდა, ცოლად შეერთო; ქალი ლიბანელი მილიონერის ცოლი აღმოჩნდა. პრინცმა არც აცხელა, არც აცია და მილიონერს კაცი მიუგზავნა: ოღონდ შენს ცოლზე ხელი აიღე და რაც გინდა მთხოვეო. ბიზნესმენმაც იგრძნო, რომ აქ ფულის გაკეთება შეიძლებოდა და თავისი ცოლი მილიონ დოლარად დააფასა. პრინცს საჩეკო წიგნაკზე მხოლოდ ასი ათასი დოლარი აღმოაჩნდა; ცოტა ხნის მოლაპარაკების შემდეგ ორივე შეთანხმდნენ იმაზე, რომ მილიონერი უთმობდა პრინცს თავის ცოლს ასი ათას დოლარად მხოლოდ... ერთი ზაფხულის სეზონით.




## აირჩიეთ რომელიც გნებავთ

საფრანგეთსა და ესპანეთს შუა მდებარეობს პაწია სახელმწიფო — ანდორა, სადაც 12 ათასი კაცი ცხოვრობს. ამ სახელმწიფოს თავისებური სასამართლო წესები აქვს: მათ დაწერილი კანონები არ გააჩნიათ და მოსამართლენი საქმეს სწყვეტენ პირდაპირ, რასაც მათ თავიანთი ჭკუა და გონება უკარნახებთ. როცა მოსამართლენი განაჩენს გამოიტანენ, თავაზიანად ეკითხებიან დამნაშავეს: სად სურს მას მოიხადოს სასჯელი — საფრანგეთის თუ ესპანეთის საპყრობილეში?!



## „ფერი ფერსა, მადლი ღმერთსა“

სან-ფრანცისკოს „ძროხის სასახლეში“ შემდგარმა რესპუბლიკური პარტიის წინასაარჩევნო ყრილობამ ხმის უმრავლესობით პრეზიდენტობის კანდიდატად სენატორი ბარი გოლდუოტერი დაასახელა.

ჭეშმარიტად საცირკო სანახაობას წარმოადგენდა სან-ფრანცისკოში ყრილობის პატივსაცემად გამართული ალლუმები და ჩირაღდნებით მსვლელობა. ქუჩებში ოთახის ძაღლებიც გამოიყვანეს, რათა მათაც მიეღოთ ალლუმებში მონაწილეობა; ძაღლებს გაკეთებული ჰქონდათ პრეზიდენტობის კანდიდატის — ბარი გოლდუოტერის სახის პარიკი ცხვირზე წამოცმული სათვალეებით; მათს საყელურებს კი ამშვენებდა წარწერა: „ხმა მომეცით!“



## მისი გაძევება შეუძლებელია

აზარტული სათამაშოების ექსპერტსა და ნარკოზით მოვაჭრე ჩიკაგოელ ბანდიტს პოლ რიკას მისჯილი აქვს შეერთებული შტატებიდან გაძევება, მაგრამ ამერიკის მთავრობას ჯერჯერობით ვერ გამოუნახავს ისეთი სახელმწიფო, რომელიც ამ განგსტერს მიიკედლებდა. როგორც კი რომელიმე სახელმწიფო თანხმობას განაცხადებს, რომ რიკას თავშესაფარს მისცემს, ის მაშინვე უგზავნის იმავე სახელმწიფოს შინაგან საქმეთა მინისტრს თავისი განგსტერული „მოღვაწეობის“ ვრცელ ნუსხას და საქმეს თავის სასარგებლოდ ამთავრებს. ამრიგად, რიკამ შესძლო ის, რომ 53 სახელმწიფომ უარი განუცხადა ამერიკის მთავრობას მისცეს თავშესაფარი მის მოქალაქეს.



## გათხუპნული ბალიში

ვენეციის ოცდამეთორმეტე საერთაშორისო მხატვრულ გამოფენაზე (იტალიაში მას ბიენალის უწოდებენ) პირველი საპატიო საერთაშორისო პრემია მიეკუთვნა ამერიკელ აბსტრაქციონისტს — რობერტ რაუშენბერგს; მან გამოფენაზე წარადგინა საღებავებით მოთხუპნული ბალიში. ყველაზე უფრო საკვირველი ის არის, რომ ეს ამბავი მოხდა იმ ქალაქში, რომელსაც თავისი ქმნილებებით სახელი გაუთქვეს ჯორჯონემ, ტიციანმა, ვერონეზემ და ტინტორეტომ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ИНДЕКС 76056



ეროვნული ბიბლიოთეკა